


ანგუშა

ღიათერატურული ჟურნალი
№ 4, 2016



ეს აკთი დეცოდება
ღამისთვის აკ გამარა...






რევაზ ინანიშვილს

სულის ტკივილია ხაშმი,
ცრემლით საგოდებელს გაშლის
ყველა ნაბილიკარს ვჩემობ,
როგორ დაბზარულხარ, ჭერო...
ქარი სამერცხლურებს არ შლის,
მთელი სამყაროა ვალში...
ამ მზის, ამ მთების და... სევდის,
ივრის ჩქერალებში შემხვდი,
ივრის ყაყაჩოებს შავშლილთ
რიდეს მოულოცავს შაშვი...
სადღაც ცისკიდურთან ახლოს,
ნისლის ენძელებთან სახლობ...
სულის საგოდებელს გავშლი –
ჩემი სიმღერაა ხაშმი...

თამარ შაიშმელაშვილი



ნინო ალბუთაშვილის ნამუშევრები



შურნალ „ანეულის“ შემომწირველია:
საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900



ანალიზი

№ 4. დეკემბერი. 2016 წელი

ლიტერატური

ე თ ხ ნ ა ლ ი

„ერთი მოთხოვბის“ კონკურსი მეშვიდედ გაიმართა	3
ჩვეულები - 90 ინფორმაცია	4
საუბარი ბესიკ ღვინაშვილთან	8
ბივი ალექსი შუქი სიტყვებიდან გამოკრთოდა	11
იხმა ხახვიძე დიდი მწერალი	13
ლიტერატურული კრიტიკა	
ბერნა ბავალი რევაზ ინანიშვილი „დავითის ხმალი“ (განხილვა)	14
რევაზ ინანიშვილის სახელმის „ერთი მოთხოვბის“ კონკურსის გამარჯვებული მოთხოვბი	
ბერნა ბალაშვილი ხახვები და ნივრები	17
მარა საფაშვილი გზა, რომელსაც მივყავართ	22
ბორის ლონიაშვილი თეოტრი დილა	29
პოეზია	
ნანა სიმეონიძე	33
სალომე ბოგოლიაძე	36
მოგონება რევაზ ინანიშვილი	
ნოშივან კოქაშვილი ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ	41
ერთი ლექსი	
თემატიკური ასახულება ექსპრომტად აკაკი მესაბლიშვილს	44
პოეზია	
ხახა მარიამ გიორგი თბილის გიორგი თბილიშვილი	44
ბახსიანი რემუსი	48
იუმილაშვილი	
ივანე ალექსანდრე შეხედრა გიორგი თბილიშვილი (გაგრძელება)	49
თბილისში წმინდა დომიტრი ყიფანის სახელობის ტაძარი ეკურთხა	54
მარიამ მარიამიძე მეტობელი	
მარიამ მარიამიძე „მინდა, საკუთარი ლიმილიც ავაწყო ბისერებით“	55
სიმონ კათარებიძე -75	56
თამარ გმარინი	
ლეიზ პირი პირი ქადალდის სამყარო (თარგმნა ლელა ზურებიანმა)	57
ერთი ერთსონი, მარიამ სვეტავა, სიცის ალათი თარგმნა ზეინაბ სარიამ	61
ქართველი „ანუკის“ კითილი მისაპინძლები	
ლეიზ პირი პირი სახელის სახელის სიცის ალათი თარგმნა ზეინაბ სარიამ	64
მოგონება	
ლეიზ პირი პირი სახელის სახელის სიცის ალათი თარგმნა ზეინაბ სარიამ	67
თამარ გმარინი - 70	
ქვეყანაზე ლრმად დაფიქრებული შემოქმედი	68
თემატიკური	
მარა აბესაძე ოდა თბილის	69
დიდი კაცი	72
ჯუმბერ ჯიშკარიანი წყალტუბოს საპატიო მოქალაქეა	72

წარმატებულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

ეუქნაღ „ანელთან“ ახსებელი
ღიაქეჩაშესაბამისობა:

თამარ მიქაელ
ლეილა ქიოშვილი –
სახლთხუციშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
განანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხილვაშვილი
თამაზ ხელაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლებაძე
ჯუმბერ ჯიშკარიაძე

მთავარი ხელაქონი

თამარ შაიშმალაშვილი

პასუხისმგებელი ხელაქონი

სოფიო ჯაფარიძე

ცოგოს ავტომანი

ბიოქიბი ზაჟაბიანი

კომპიუტერი უზრუნველყოფა

გოჩა სოჭიაშვილი

გახეკანზე: ნინო აღმათაშვილის ნამუშევარი

ჩატარების ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ეუქნაღი გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებელია ავტომანი

„ერთი მოთხრობის“ კონკურსი მეშვიდედ გაიმართა

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი წელს მეშვიდედ გაიმართა. საქართველოს რეგიონებიდან 81 საკონკურსო მოთხრობა და ნოველა შემოვიდა.

უიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ფილოლოგი და მკვლევარი ნინო ჩხიკვიშვილი, მწერალი და რეჟისორი ჯუბა ღებელი, მწერალი თამაზ ხმალაძე, მწერალი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე (თავმჯდომარე) გამოავლინა გამარჯვებულები.

I პრემია – ბექა ბალაშვილი („ხახვები და ნივრები“);

II პრემია – მაკა სეფაშვილი („გზა, რომელსაც მივყავართ“...);

III პრემია – გოჩა ღვინიაშვილი („თეთრი დილა“).

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორები გახდნენ:

ლელა თოთაძე – „საღამოს ხევის ნაჩურჩულარი“;

ბაჩო კვირტია – „ქვა“;

ნანა ქარდავა – „ჩემი ქმარი და ჩემი საყვარელი“;

ნორა ედიშერაშვილი – „მართას გერები“;

გივი ჩილვინაძე – „მოგონებანი წვიმიანი დღეებისათვის“;

მარიამ ათაბაგი – „უძილობა“.

მათ გადაეცათ დიპლომები და პრიზები. ტრადიციისამებრ, ურნალ „ანეულის“ მეგობარმა მხატვრებმა საკუთარი ნახატები შემოსწირეს კონკურსს. დიდი მადლობა ქველმოქმედ მხატვრებს: რეზო (ემელიანე) ადამიას, თამარ ლომიძეს, ნატო სირბილაძეს, ვასილ ბოსტაშვილს.

დიდი მადლობა – მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლას და მის პედაგოგებს: იზო სამუშაიას და ცისმარი ყურაშვილს, რომელთაც დააწესეს სპეციალური პრიზი.

რევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომრის მომზადებაში უნდა აღინიშნოს საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების წვლილი. ურნალის ეს ნომერი მათი თანადგომით გამოიცა. დიდი მადლობა ბატონ ბესიკ ღვინაშვილს.

საერთოდ კი, მრავალწლიანი თანადგომისთვის განსაკუთრებული მადლობა: თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრს, მის დირექტორს: ზურაბ წერეთელს და ქალბატონ ნანა გიორგაძეს.

მადლობა ყველა იმ ადამიანს, ავტორს და მკითხველს, ვინც უანგაროდ დგას ურნალ „ანეულის“ გვერდით და ელოდება მისი თითოეული ნომრის გამოსვლას. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით „ანეულის“ შემოქმედებითი გაერთიანების წევრებს: თამარ შაიშელაშვილს (მთ. რედაქტორი), ივანე ჯაფარიძეს, თემურ ჩალაბაშვილს, თამაზ ხმალაძეს, ჯუბა ღებელს, თამარ მიქაძეს, ლეილა ქიმოშვილი-სახლთხუციშვილს, ჯუბერ ჯიშკარიანს, ნინო ჩხიკვიშვილს.

მადლობა სტამბას: თამაზ ჩალუნელს და გოჩა სოჭიაშვილს, რომელთა დამსახურებითაც წლებია, ეს ურნალი ახერხებს გამოსვლას.

მადლობა რევაზ ინანიშვილის ოჯახს, ქალბატონ როზა ინანიშვილს – დიდი და საშვილიშვილო თანადგომისთვის!

ყველას გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მშვიდობა და სიკეთე მოეტანოს თქვენი ოჯახებისთვის!



რეზო და როზა ინანიშვილები


ერთხელ კიდევ ვნახავ მზის ჩამოდგომას...

„...სუ ფეხით ჩავალ სიღნაღის გადასახვევამდე... იქა, იმ სიღნაღის გადასახვევთან, ხელმარჯვნივ აღმა-აღმა სული საყანე მიწები როა, იმ მიწებში, შენც გეხსომება, მარტო ხეები დგას აქა-იქ. კოხტები, ღონივრები, თელები, ბერტყენები, პანტებიცა დგას. იმ ხეებში ერთი ბერტყენა აქედანვე მაქეს ამორჩეული, ჩავალ, სუ ფოფხვით მაინც მივალ იმ ხესთან და მივჯდები ძირში. იქ დავუცდი ჩემი სულის აღსასრულს. იქ, იმ საყანე მიწებში, იმ ბერტყენასთან, ერთხელ კიდევ ვნახავ მზის ჩამოდგომას...“

მზე თუ არ იქნება, გათენებას მაინც, თუ გაზაფხული იქნება, მწვანე ჯეჯილებში, თუ ზაფხული იქნება, თავდამბიმბულ ყანებში, თუ შემოდგომა, შავად გადაბნელებულ ნახნავებში, თუ ზამთარი, გადაქათქათებულ თოვლში.

გათენდეს ერთი, ჩამოანათოს მზემ... ერთი ავიდეს თხელი ნისლი და მერე მოვიდეს სიკვდილი“...

რევაზ ინანიშვილი



აევაზ ინანიშვილი – 90

ჭაბუა ამირეჯიბი:

„რ. ინანიშვილი ძალიან დიდი მწერალი იყო, ძალიან ქართველი მწერალი, რომელმაც თავისი ოსტატობით მოახდინა უდიდესი გავლენა სხვა მწერლებზე: ენობრივადაც, აზრობრივადაც, უანრობრივადაც, და საერთოდ, ყოველმხრივ... რეზო იყო თავმდაბლობის ნიმუში და ეტალონი; არ ახსოვს ქართულ მწერლობას მისი ერთი ნაბიჯიც კი, გადადგმული თვითრეკლამის მიზნით“.

თამაზ ჭილაძე:

„თითქოს იმავე თიხით იყო მოზელილი, როგორც მთელი კახეთი – ქვევრი, ჯამი, დოქი, ხელადა, ოღონდ, ცეცხლში კი არა, მზეში იყო გამომწვარი, ხაშმის მზეში, ედო კიდეც მისი ფერი. შეკრული იყო პატარა, მოდარაჯე კოშკივით, როგორიც კახეთში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ.

ლაპარაკობდა დინჯად, მოზომილად, თითქოს უხილავ კრამიტებს აწყობდა ჩვენს ზევით, უხილავ სახურავზე. მის სიტყვას მართლაც კრამიტის სიმბიმე და საიმედოობა ჰქონდა.

რატომდაც უცებ კვეტარას ლურჯი კრამიტი გამახსენდა – თითქოს ანგელოზის ცრემლისგან გაჩენილი“...

გურამ ლოჩანაშვილი:


„დაახლოებით საშუალო ზომის მოთხრობები, ერთი თაბახიდან ორამდე, ქართველებსა გვაქვს 4 ისეთი, რომ მე არ მეგულება და სხვას თუ ეგულება, ღმერთმა მისცეს სხვა ერთს წარმომადგენლებს, ესენია: ბატონი გოგლა ლეონიძის ღვინჯუა „ნატვრის ხიდან“, გურამ რჩეულიშვილის „შაშას რევოლუცია“, ჯემალ ქარჩხაძის „იგი“ და რეზო ინანიშვილის „თოვლი“. ეს საამაყო მოთხრობებია, და თუ ბატონი ჯემალ ქარჩხაძის და ბატონი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები ითარგმნება, ბატონი გოგლა ლეონიძის და ბატონი რეზოს მოთხრობის თარგმნა ძალიან შეუძლებელია. უთარგმნელი მწერლები როგორდაც უფრო დგანან მშობლიურ ნიადაგზე, ვაჟა-ფშაველას თარგმნა ხომ წარმოუდგენელია!“

გურამ ბენაშვილი:

„ის, ჩვენი დიდი თანამედროვე იყო და მისით ნიადაგ იამაყებს თვით გენიალური მწერლობით განებივრებული მე-20 საუკუნე“.

მერაბ კოკოჩაშვილი:

„მანავის ციხესიმაგრეზე ვიღებდით ეპიზოდს. არაჩვეულებრივი პეიზაჟი იშლებოდა, რეზოც იქვე იყო, სასაფლაო და პატარა დანგრეული, მიტოვებული ძელი ეკლესია იყო... რეზოსთან ერთად რომ აველით ზევით, ჩამოჯდა საფლავის ქვაზე... არაჩვეულებრივი საღამო იყო, მზე ჩადიოდა, საკმაოდ დიდხანს უყურა ამ სურათს, მერე შევიდა ეკლესიაში, გამოვიდა, ისევ ჩამოჯდა და გახედა ამ თავის კახეთს, კახეთი მისი სამშობლო იყო, – მერაბ, მოდი ერთი აქ, ერთი რამე უნდა გითხრაო, კაცო, იმ ქვეყნის საოცრებისა როგორ შეიძლება არა გვჯეროდეს, როცა ეს ქვეყანაც ასეთი საოცრებააო. ასეთი საოცარი სიღრმით სავსე დასკვნა ჰქონდა. ალბათ ასე მშვიდად წავიდა, იმიტომ რომ იმქვეყნისაც ისე სჯეროდა, როგორც ამქვეყნისა“.





ოთარ ჩხეიძე:

„მე და რევაზ ინანიშვილი ისე ხშირად არ ვხვდებოდით ერთმანეთსა; თუ შევხვდებოდით, გზას არ ავუქცევდით. შორი სალამი არ გვაკმაყოფილებდა. მას ყოველთვის რაღაც ჰქონდა სათქმელი, რაღაც აწუხებდა და თუ არ გეტყოდა, ვერ მოისვენებდა. ეს „რაღაც“ უფრო საზოგადოებრივი ზნეობის დაქვეითებას შეეხებოდა, რაღა თქმა უნდა, რაც თავისთავად ლიტერატურაზე ახდენდა ზეგავლენასა, სხვა დარგებზედაცა ხელოვნებისა. შეეძლო ამაზე დაუსრულებლად ელაპარაკა და წუხილი გამოეთქვა, გაუნელებელი წუხილი, უსაზღვრო წუხილი.... ის წრფელი იყო, აღალი, გულითადი, უშუალო, და შეუმდვრეველი შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიცა. ამიტომაც უჭირდა, წუხედა და მისი საუბარი უფრო წუხილი გახლდათ ამიტომაცა. და შესაძლოა მისი ძნელი უკურნებელი სენი, რითაც აღესრულა, – პო, შესაძლოა: სწორედაც ამ გაუწელებელი წუხილის ბრალიც იყო“.

ბექა ქურთული:


„...ამ მაგიდაზე ვწერ. ხან აქედან მივუჯდები, – ხან იქიდან... კედელზე მაჯისსიმსხო დაღესტნური ხალიჩა ჰკიდია... ხალიცაზე პაპიჩემისეულა, ვადამორყეული ხანჯალია ჩამოკიდებული... ხანჯლის მორყეულ ვადაზე ნაჩუქარი ვაინაზური, დაზარნიშებული ფესკა ჰკიდია... თუში ზაურ აჭაძისეული, თუშურად ამოწნული, ტარდაჩუქურთმებული ბალთიანი მათრახიც – ეგრევე ამ ყველაფერთან ერთად ოოფ-იარაღში ჩამჯდარი და ცალთვალჩამოხეული ვაჟა-ფშაველას ფოტო. ავად იყურება ჩამოფხატული ფაფაზიდან. აქეთ, წიგნის თაროზე რეზო ინანიშვილის უცნაურად

განათებული სურათია. არც რეზო ინანიშვილი იყო მშვიდი, მაგ ნათელმა და ღიმილმა არ მოგატყუოს. – იმდენი რამე ირეოდა მის სულში, სამ პლანეტას გაჰქრავდა... სუ ქრი ქრის მაგის მოთხრობებში, სუ აწეული აქვთ პალტოს საყლო, უბრალოდ, უშიშარი კაცი იყო და მაინც ზევიდან უყურებდა ყველაფერს, უშიშარი და სევდიანი ღიმილებით... ამათ ზევით თითქოს წინასწარ გლოვის ჯარზე ჩამომჯდარი გაბრიელ ჯაბუშანურის ფოტო დევს: „პო, ღილლოს დაღრუბლულო ცაოს“ აკტორისა. ასახლებული, ინგუშის აულში გადაბარებული, ღილიურში წერდა: „წუხელის დავითვერი და ჩემ მეზობელ აბიკაზე ხანჯლით ვიზიდე“. სუ მაგარი, სუ რაღაცის კვალს მიდევნებული ხალხი ჩანს მაგ მხარეს“.

თეიმურაზ მაღლაფერიძე:

„იდგა დეკემბრის თვე, დასაწვავი დეკემბრის თვე 1991 წლისა, როცა ბედკრულ საქართველოში მმისმავლელი კანის სული კიდევ ერთხელ (მერამდენედ?) აღზევდა და სისხლის ტბები დაყენა. ქუხელნენ ქვემეზები, კაგანებდნენ ტყვიამფრქვევები, იწოდა და ინგრეოდა ქალაქი, იშუუბლდნენ რჩეულ-რჩეული ბიჭები. ერმა დაკარგა არსებობის საზრისი, შუაზე გაიპო, ვის რა უნდოდა, ვინ რას აკეთებდა, თვით მმა-უფალიც ვერ მიხვდებოდა. სწორდებოდა მიწას-თან თაობების ოფლით ნაგებ-ნამუშაკევი. ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათი ჩუმად კვნესოდა ცოდვიან უგუნურთა მიერ ათას ადგილას დაჭრილ-დაფლეთილი. ვინ იყო მტყუანი? ვინ მართალი? არავინ იცოდა, საქართველო რომ უფსკრულისაკენ მიექანებოდა, ამას ყველა გრძნობდა.

აი, ასეთ დროს კვდებოდა რეზო ინანიშვილი, ამბობენ, სიკვდილის წინ ყველა ადამიანს რაღაც ახლზე თავისი, საკუთარი, პიროვნული ეზმანებაო. ალბათ, მართალია. და თუ მართალია, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ რეზოს სიკვდილის წინა ზმანება, სწორედ ისეთი იყო, როგორც ერთ მოთხრობაში აქვს აღწერილი: „თვალები დავხუჭე... აი, ამ ყოფაში შემოვიდა რაღაც საამო, რაღაც ნათელი. გავიხედე და დაბლა დამეცა: იმ თოვლში იმ ბნელ ბურუსში, მკვრივი, არამქვექნიერი ნათელი მოდის, მოპყვება შარავანდედად წვრილ-წვრილი ჩიტებისა და პეპლების მგალობელი გუნდი. ვუყურებ ამ ნათელს და ვარჩევ? ქალ! მთლად ოქროსფერს, თმის



ოქროსფერ ნაკადებში გახვეულს. მოდის, ახლოვდება, მოანათებს თმებით, თვალებით, ყველაფრით, ჟინიანად მოადგის შიშველ, ოქროსფერ ფეხებს, ზეიმით მოაქს პატარა, შეკუმშული, თავშსხვილი ძუძუები, უკანაც თმა მისთრევს, თმაა თუ შუქია ადენებული. წინ მიუძღვის ჩრდილისფერი, გრძლადაძაგრული ორი ვეება მგელი, ნაბიჯი ნაბიჯთან აქვს შეწყობილი, ჩემკენ შემობრუნებული თვალები ყურადღებით აქვთ საგსე, მოანათებენ თეთრ ლოჯებს. ქალი ესევე, სიარულ-შივე მოიხედავს ჩემკენ... რა სიხარულის ცისფერი სინათლე ედგა თვალებში, რა სიკეთის ღიმილით ეღიმებოდა აქეთ-იქით ოდნავ მაღლა აზიდული ტუჩებით! წავიდა ისევე გაბრწყინებული, გაუძრვნენ წინ ნაბიჯ შეწყობილი მგლები, გაპყვნენ მგალობლები, ჩიტები თუ ოქროსფერი პეპლები“.

წავიდნენ და თან წაიყოლეს რეზო ინანიშვილის ნათელი, გამჭვირვალე სული.

დასაფლავების დღეს, 31 დეკემბერს, მსუსხავი ქარი უბერავდა და ხოშორი თოვლი აყრიდა. განუწყვეტლად ისმოდა ჭურვების ბათქი და ტყვიების თარსი წუილი.

რეზო იწვა მშვიდად, ოდნავ იღიმებოდა.

მე მიყვარდა ეს კაცი!

მიყვარდა მისი მწერლობა: მაღალნიჭიერი, კეთილი, დიდი ოსტატობით აღბეჭდილი.

მე მიყვარდა მისი ცხოვრების ნირი: მართალი, სადა, ალალი...

ღმერთმანი, ბედნიერი ყოფილა იგი, ჩვენი, ქართველების ასეთ სიბეჩავესა და სიღუხჭირეს რომ არ შეესწრო. მართლაც: „გაგვიბატონდა, მგოსანი, სირევენე შეუწონარი“.

აქვს რეზოს ერთი ჩანაწერი:

„არაფერია იმაზე კარგი მიცვალებულისათვის, ორიოდე კაცმა მიაცილოს სასაფლაოს მყუდრო კუთხეში, რაღაც წაიპუტუნოს თავისთვის სამოსაქუცულმა მღვდელმა, ჩაუშვან მიცვალებული მიწაში, იქვე წაუქციონ თითო ჭიქა და წაგიდნენ საქმემორჩენილებით თავთავიანთი გზით. ცოტა სანში შემსმარმა ფოთლებმა დაფარონ საფლავის ბორცვი. ასეთი ბედნიერები იყვნენ მოცარტი და ფიროსმანი“. ასეთი ბედნიერი იყო რეზო ინანიშვილიც, – დავუმატებდი მე, რამეთუ ყველაფერი აუხდა, რაც ინატრა და იწანასწარმეტყველა: იყო სასაფლაოს მყუდრო კუთხეც, მღვდელიც, ჭიქის წაქცევაც მხოლოდ ხმელი ფოთლების ნაცვლად, ფიფქებში დაფარეს მისი ობოლი სამარე“.

ინტერვიუ

„ჩვენმა სამსახურმა დავუკვეთეთ რეზო ინანიშვილის
სახლის რეაბილიტაციის პროექტი,
რომელიც უახლოეს მომავალში იქნება მზად“

თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრა საგარეჯოს კულტურის ობიექტების
გაერთიანების დირექტორი ბესიკ ღვინაშვილი

— საგარეჯოელი ბრძანდებით. რევაზ ინანიშვილის სახელი ყველა ქართველისთვის და, უწინარესად, საგარეჯოს რაიონში დაბადებულისთვის ბევრს ნიშნავს. როდის გაიცანით რევაზ ინანიშვილის შემოქმედება პირველად?

— რეზო ინანიშვილი სავიზიტო ბარათია ჩვენთვის, გარეკახელებისათვის. ჩვენც და ჩვენი შვილებიც, მინდა გითხრათ, ქართული ლიტერატურის, საერთოდ, ქართული მწერლობის გაცნობას მისი მოთხოვებით ვიწყებთ. მეც, ჯერ კიდევ პატარას, დედაქემმა, ჩემი სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა დაწყებითი განათლების კლასებში დამაწყებინა წიგნის კითხვა — ეს დიდი გოგლა და ჩვენი რეზო ინანიშვილის შემოქმედება იყო, ქართული ძარღვიანი სიტყვის, ქართული ლექსისა და მოთხოვების მეჩუქურთმენი.

წლები გავიდა და დღესაც მახსოვს მისი პირველი კრებული „მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან“; შემდეგ კრებულები: „წვეთები ფოთლებზე“, „ცისფერი გორგალი“, „საღამო ხსნის ჩანაწერები“, დიდი ინტერესით ვკითხულობდი საყმაწვილო წიგნს: „ბედნიერი მთა“, „ბიბო“, „საღ ცხოვრობს მეზღაპრე“, „მგლის ლეკვები“.

წიგნს მალე ფილმებიც მოჰყვა: „არდადაგები“, „დაბრუნებული ღიმილი“, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „ფერმა მთაში“, „ზაფხული სოფლად“. ჩემთვის სასიხარულო იყო მისი წიგნისთვის „შორი თეთრი მწვერვალი“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭება.

მართალია, საგარეჯოს რაიონი იჩემებს რეზო ინანიშვილს, მაგრამ ის ყველა ქართველისაა, ყველა იმ ადამიანის ახლობელი და მოყვარეა, ვისაც თუნდაც მისი ერთი მოთხოვობა წაუკითხავს. არ მავიწყდება უერნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი მისი ნარკვევი „ცეტები“, რომლის გამოქვეყნებამ დიდი სიხარული, სიცილი და სიყვარული შემოიტანა სრულიად საქართველოში. აქ ხომ ერთი ჩვეულებრივი კახური ცხოვრებაა გადმოცემული, იუმორნარევი, თავისი ყოველდღიურობით.



— ყველამ ვიცით საშში რეგაზ ინანიშვილი-სეული სახლის ბედი. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია იქ მუზეუმის გახსნა და რა არის საჭირო ამისთვის?

— გული მტკივა და სირცხვილის ალი მივლის რეზო ინანიშვილის ხსოვნის წინაშე, როცა საშში მისი სახლის ჩამქრალი კერა, ჩამოქცეული ჭერი და კედლები მახსენდება. ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე იფიქრა მისი რეაბილიტაცია, მაგარამ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. რატომდღაც მგონია, რომ ცხოვრებაში მორიდებული პიროვნება სიცოცხლეშიც ვერ დაგაფასეთ და ახლაც ასეა. მეკითხებით, რამდენად რეალურია იქ მუზეუმის გაკეთება და რა არის ამისათვის საჭირო? გიპასუხებთ, რომ ჯერ ერთი, ჩვენი პატივისცემა, სიყვარული და მოვალეობა ამ კაცური კაცის ხსოვნისადმი გვავალდებულებს — დავუბრუნოთ ძველი სახე მის სახლს, მეორე — ჩვენი მონდომებაა და ჩვენი პასუხისმგებლობის შესსენება მისი სახლის წინაშე.

ჩვენმა სამსახურმა დავუკვეთოთ რეზო ინანიშვილის სახლის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება მზად. ვნახოთ, იმდეს ვატოვებთ, რომ გამოჩნდებიან მხარდამჭერები აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. მით უმეტეს, რომ ოჯახთანაც შედგა მოლაპარაკება, მისი შემდგომი მესაკუთრეობის შესახებ.

— წლებს პირველად საშში რეგაზ ინანიშვილის ხსოვნის დღე დაწესდა და აღინიშნა. სპეციალური ნახატიც კი შეიქმნა... ვინ არის ამ ნახატის ავტორი? როგორ ემზადებოდით ამ დღისთვის, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ, რომ ამ დღეს უფრო მასშტაბური სახე მიეცეს? მწერალი 20 დეკემბერს დაიბადა და 26 დეკემბერს გარდაიცვალა, რატომ დაწესდა 10 ივნის?

— ნახატის ავტორზე მეკითხებით. ეს სურათი ინტერნეტიდან მოვიძიეთ და ჩვენებური ელფერი მივეცით. ისე, რომ ავტორი ამ ნახატის, ფიქრობ, თავად ქართველები, ჩვენ — საქართველო ვართ. ისე, შემორჩენილია რეზო ინანიშვილის ნახატებიც; ეს — ეზო ავტორტრეტიც. ჩვენ 10 ივნისი დავაწესეთ მისი ხსოვნის დღედ.

არ ვიცი, როგორ აგიხსნათ, მაგარამ ივნისი ყველაზე ლამაზი თვეა ჩვენს რაიონში მართალია, გოგლაც დეკემბერშია დაბადებული, მაგრამ მისი ხსოვნის საღამო ათწლეულებია მაისში იმართება — ამ დროს ყვავის ჩვენთან ყველა ყვავილი, ცაც ლამაზია, განწყობაც, კლიმატიც ხელს გვიწყობს და განწყობაც.

— ვიცი, რომ თქვენთვის რეგაზ ინანიშვილი გამორჩეული მწერალია. ყველაზე მეტად მისი რომელი ნაწარმოები გიყვართ?

— რეზო ინანიშვილი, მართლაც, გამორჩეული

მწერალია. მისი ნაწარმოებიდან ჩემს სულს რატომდაც მწარე მოგონებად რჩება მოთხოვბა „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, რომელიც მისი ბავშვობის მოგონებებია. აյ ხომ მოთხოვბილია ის ტკივილი, რაც მან განიცადა 1937 წლის ტერორის დროს, ახალც მაწვება თვალებზე ცრემლი, როცა ვიხსენებ, როგორც შეავლო პატარა ბიჭმა თვალი თავის დაპატიმრებულ მამას, როცა ჩეკადან სასამართლოში გადაცემდათ. გული მეკუმშება იმ ადგილის წაკითხვისას, როცა ვერ იცნო ნაშიძე-შილები და ნაწამები მამა. მაინც როგორი თბილი იყო ის ღიმილი, რომლითაც ნაწამებმა მშობელმა პატარას გაუღიმა?!

მეცოდება მიწურში მცხოვრები რეპრესირებული დედა-შვილი. მათთან ერთად ბებია. მოსვენებას არ მაძლევს ის, როგორ განიცდის ეს პატარა ბიჭი ნათესავებისგან გულგრილობას, მათ ოჯახთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. ცრემლებამდე მივყავარ პატარა ბიჭის ხელით, შავი ფანქრით დახატულ „დიდი კაცის“ პორტრეტს, „რომელიც უბრალოდ, გაუთვითცნობიერებლად შავი ფანქრით დახატა, „შავი ვარსკვლავები და შავი პეტლიცებიც“. ნახატი, რომელიც მოულ საბჭოეთს „შეძრავდა“, ნახატი, რომლის დანახვაზე მებველმანებმც უკანიზუხედავად დატოვეს მათი მიწური.... მე ეს მოთხოვბა კი არ მიყვარს, გულზე ნაწიბურებს მიჩნენ მისი ყოველი წაკითხვა, მაგრამ გამორჩეულად მაინც მას დაგისახლებთ, უბრალო მიზეზის გამო — ყოველ წაკითხვაზე თანავუგრძნობ და მეცოდება ის პატარა ბიჭი — რეზო ინანიშვილი თავისი გამწარებული ბავშვობით.

— რას ფიქრობთ ჩვენი უურნალის მიერ დაარსებულ რეგაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხოვბის“ კონკურსზე?

— მინდა ამ კონკურსს წარმატებები ვუსურვო — გამოემზეურებინოს რეზოსნაირი პატრიოტი, ქართული სიტყვის მეხოტებე და მეჩუქურომენი. კონკურსში, ჩემი აზრით, ყველა ასაკის ადამიანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა და რაც შეიძლება, ფართო მასშტაბი უნდა შეიძინოს.

— ერთხელ მითხარით, რომ რეგაზ ინანიშვილს არ უღალატებთ. საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანებას ხელმძღვანელობთ. რას აპირებს სამომავლოდ თქვენი გაერთიანება, რომ რეგაზ ინანიშვილი სათანადოდ დაფასდეს და საშში მისი სახელობის მუზეუმი არსებობდეს?

— ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ სახლის რეაბილიტაცია მოხდეს. ჩვენ, ჩვენი თანამშრომლები ფიზიკურადაც შევძლებთ იქ მუშაობას, ოღონდ გამოჩნდეს თანხები, რითიც დაიწყება შშენებლობა — რეაბილიტაცია და შემდევ მოული რაიონი მიიღობს მასში მონაწილეობას. ჩვენ ამ სახლის სურათიც გვაქვს, თავისი ეზოთი, წინა ფასადით..

რეზო, როგორც აღვნიშნე, ძალიან მორიდებული

პიროვნება იყო, ჩუმი, გულჩათხრობილი, მაგრამ ხალისი იუმორით სავსე. თუ მისი საიუბილეო საღამო უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდება, იმაზე კარგი რა შეიძლება იყოს? საიუბილეო საღამოზე დამსწრე თუნდაც ერთი ახალგაზრადა რომ გაეცნობა მის ცხოვრებას, შემოქმედებას, ამაზე სასარგებლო რა შეიძლება იყოს? რეზო ხომ ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველას შემდეგ ის იშვიათი შემოქმედია, რომელიც გვაზიარებს პირველქმნილი ბუნების მშვენიერებას მთისა და ბარის, წყლის სათავეებისა და ჭალის ფერების, ტყის ხმებისა და მინდვრის სურნელს, წელიწადის დროთა განუმეორებელ ზიბლს. რეზო ხომ თავისებურად, დიდი სიყვარულით, „მსოფლიო – სიყვარულით“ შეეხმიანა ისტორიას და მის კუთხე-კუნჭულს. მე თამამად და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ იღიას და გოგლას შემდეგ, კახეთს მისნაირი, შეუდარებელი და სწორუპოვარი მხატვარი არ ჰყოლია.

დიახ, ის ხაშმელია, საგარევოელია კახელია, ქართველია და სრულიად საქართველოსია და ჩვენც მოვალენი ვართ – გვიყვარდეს, ვაფასებდეთ.

– თქვენს დიდ და ქართულ ოჯახზე გვიაშეთ, საღაც, დარწმუნებული ვარ, არა მხოლოდ რევაზ ინანიშვილის, არამედ ქართველი მწერლების და ქართული სიტყვის ფასი იციან. თქვენი მეუღლე ზომ მშვენიერი ლექსებისა და სიმღერების ავტორია...

– როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დედა ბიბლიოთეკარი იყო და მან ზედიმიწენით კარგად იცოდა, ვის რა და როდის უნდა წაეკითხა. ამიტომ, პირველ რიგში, ქართული ლირებულებები იყო მთავარი და ჩემი შვილებიც ამას იღებდნენ, როგორც უდიდეს სულიერ საზრდოს.

გარდა ამისა, უფალმა, ზოგადად, მუსიკის სიყვარული და ნიჭიც დაგვანათლა ყველას. როცა ბავშვი ასეთ გარემოში იზრდება და გენეტიკაც ხელს უწყობს, უპვე ყველაფერი რიგზეა.

1995 წლიდან მოყოლებული მთელი ოჯახი სისტემატურად გამოდიოდა სხვადასხვა კონკურსზე და ფესტივალზე. გრან-პრიდან მოყოლებული, ყველანაირი ჯილდოს მფლობელები ვართ, შვილები 4-ჯერ იყვნენ პრეზიდენტის სახ. სტიპენდიანტები, დღეს კი პროფესიონალურ სცენაზე განაგრძობენ მოღვაწეობას.

როგორც უპვე თქვენ აღნიშნეთ, მეუღლე – მარინა შანიძე უამრავი ლექსისა და სიმღერის ავტორია. რამდენიმე უპვე აუღერდა რადიო-ტელევიზიაში, ლექსები კი იბეჭდებოდა და ახლაც იბეჭდება სხვადასხვა ურნალ-გაზეთში.

– რევაზ ინანიშვილის 90 წლის იუბილეა. კარგია, რომ თბილისში გაიმართა მწერლის საიუბილეო საღამო, მაგრამ, ვფიქრობ, ეს საღამო უფრო მასშტაბური უნდა ყოფილიყო...

– რაც შეხება საღამოს მასშტაბურობას, უნდა აღვნიშნო, რომ იქ იყვნენ საქართველოში ცნობილი სახეები, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები. დარბაზი სავსე იყო, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო უფრო დიდ დარბაზში ჩატარებულიყო და, საბედნიეროდ, დღეს მრავლად არის საქართველოში ხალხი, რომლებიც დიდი სიამოვნებით დაესწრებიან მსგავს ღონისძიებებს.

ჩემი აზრით, ის საღამო განიცდიდა ახალგაზრდების ნაკლებობას და მათ ჩართულობას, რაც ალბათ ჩვენ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ სამომავლოდ.

ბოლოს, რა შემიძლა ვთქვა – რეზო ინანიშვილი ის მწერალია, რომლის ნაწარმოებები ნებისმიერი ასაკის ადამიანმა შეიძლება იკითხოს. თუმცა ყველა თავისებურად აღიქვამს ასაკისდა მიხედვით. ამას წინათ, ბატონი რეზოს ერთი მოთხოვნა, რომელიც ბავშვობაში მქონდა წაკითხული, ხელმეორედ წავიკითხე, შეშის მჭკრელმა, რომელმაც ვერ მოასწრო სამუშაოს დასრულება, რადგან ცუდად გახდა, ანდერძად დაუტოვა შვილიშვილს, რომ ის შეშა დაეჭრა ან ფული დაებრუნებინა პატრონისთვის. აღარ მახსოვს ბავშვობისდროინდელი რეაქცია, როდესაც ეს ნაწარმოები წავიკითხე, მაგრამ ახლა გეტევით, რომ მთელ დღეს ცუდ განწყობაზე ვიყავი, ვერ ვხვდებოდა, რა მინდოდა. დღის ბოლოს გამახსენდა ის წაკითხული ნაწარმოები და მივხვდი, რაც მაწუხებდა.

ბევრს უთქვამს, რომ ბატონი რეზო პოეტია, პოეტურად წერს და კიდევ ბევრი სხვა რამის თქმა შეიძლება მისი ნიჭიერების აღსანიშნავად. ჩვენ – ყველა მისი ხსოვნის წინაშე ვალდებული ვართ, ჩვენი წილი აგური დავდოთ იმ საქმეში, რასაც რევაზ ინანიშვილი ჰქვია.

ჩვენი ინანიშვილი:

„სულ მაღლე ვერავითარი დღემდე არსებული სახელმწიფო წყობილება ვეღარ შეძლებს პიროვნების დაცვას. ყოველ ჩვენგანს ცალ-ცალკე დაგვჭირდება ბრძოლა მტაცებლობის, ძალადობისა და მპყრობელობის წინააღმდეგ“.

ბიზო აცხაზიშვილი

შუქი სიტყვებიდან გამოკრთოდა

რეზო ინანიშვილის „სამაგიდო რვეული“ ბიჭვნიაში, მწერალთა სახლის ერთ-ერთ ოთახში ვნახები ზაფხულს ბედმა გამიღიმა და რეზო ინანიშვილს ძალიან დავუახლოვდი.

რომელი წელი იყო, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ერთმანეთის მეზობლად ვცხოვობდით ბიჭვინთაში, მწერალთა სახლის მეზუთე სართულზე, მაშინ ქართველ მწერლებს მეზუთე სართული გვქონდა დათმობილი.

ბატონმა რეზომ თავის ოთახში მიმიწვია. აივანზე ათლიტრიანი ბოცა ედგა მზისფერი კაზურით სავსე. საოცრად გულწრფელი საუბარი გამოგვივიდა, მეტად უშუალო და ბუნებრივი. ნელ-ნელა ვწრუპავდით ღვინოს, სვენებ-სვენებით, ლაპარაკ-ლაპარაკით.

საწერ მაგიდასთან ვისხედით, სხვა მაგიდა, როგორც მახსოვს, იქ არ იყო. თავის სამაგიდო რვეულზე წამოიწყო საუბარი, „სამაგიდო რვეულიც“ იქვე, შეა მაგიდაზე იდო. ვთხოვე, რამე წაეკითხა. ამყვა, როგორც ჩანს, თვითონაც გაუჩნდა მსჯავსი სურვილი. კითხულობდა დონჯად, თითქოს აუღლებლად, თავდაჯერებულადაც კი, მაგრამ ხმაში მაინც იგრძნობოდა მიმაღლული მღელვარება. რომელიმე ჩანახატს რომ ჩაამთავრებდა, მერე ზეპირ კომენტარსაც მოყოლებდა. იმ „სამაგიდო რვეულში“ (როგორც მერე შევიტყვე, სხვა რვეულებიც ჰქონია ბატონ რეზოს), იყო მცირე პროზის ბრწყინვალე ნიმუშები და იყო პუბლიცისტური ჩანაწერებიც.

პუბლიცისტური ჩანაწერები, ფაქტობრივად, ყველა უსამართლობას თუ უმსგავსობას, ნებისმიერ კონიუნქტურულ პუბლიკაციას თუ ლიტერატურულ უსინდისობას ეხმიანებოდა მკაცრად, დაუნდობლად, თავის სახელს არქევდა ნებისმიერ მოვლენას. მითხვა კიდეც ბატონმა რეზომ: ჩემს სიცოცხლეში ამებს ვერ გამოვაქვეყნებ, სიკვდილის მერე კი, ალბათ, გამოუჩნდება დამბეჭდავიო... „სამაგიდო რვეულისკენ“ ცალი თვალი გავაპარე და აღმოვაზინე, რომ ხელნაწერს კი არა ხელრთვას წააგავდა, იმდენად ლამაზად დაეხატა, კი არ დაეწერა. მახსოვს მაშინდელი გაოცება, დღემდე თვალწინ



მიდგას ჩაწიკწიკებული ასო-ნიშნები, ყოველი ასო, ყოველი სიტყვა სიყვარულით იყო გამოგვანილი. სიტყვებს ის სილამაზე გადასცემოდა, ის მშვენიერება გამოეხატა გრაფიკულად, რაც შთაგონებიდან გადმოჰყოლოდა, თან ისე ბუნებრივად, ყოველგვარი ძალადატანების გარეშე...

ბოლო წლებში ბატონი რეზო ხშირად აქვეყნებდა სალიტერატურო პრესაში „სამაგიდო რვეულიდან“ მცირე პროზის ცალკეულ ნიმუშებს.

ერთხელ უჯარმაშიც ვესტუმრე. არ დამავიწყდება, როგორ გაუხარდა, საიდანლაც მწვადებულ გააჩინა, საზამთროც, ხინკალიც, სხვა რამეებიც. ეზო დამათვალიერებინა, პატარაცა და დიდიც. დიდი ეზო სახლის მოშორებით იყო, სულ რაღაც რამდენიმე ათეულ მეტრს იქთ; მახსოვს, რა სიყვარულით მიამბობდა ხებზე, როგორც თანამოძმებზე, უახლოეს ადამიანებზე: ეს კაკლები ქარში ისე გრიალებენ, ეს ბლები გაზაფხულზე რომ აყვავდებიან, ეს კომში რომ ჩაქარვისფერდება, ეს ჭანჭური რომ... ჩამეწერა მაინც, განა იმ ნაამბობის დავიწყება იქნებოდა? ჩვენი მეხსიერება ლამის პოლიტიკურ სანაგვედ იქცეს თუ არ გავიზენებთ ნიჭით განათებულ გულებს.

მახსოვს ბატონი რეზოს სახლი უჯარმაში, პატარა, მაგრამ მკვიდრად ნაშნი, ციხის გალავანიკით სქელი, ქვითკირის კედლები. მშვიდი, მშვიდი საღამო და რეზოს ჩალაპარაკება: კარგია, რომ შენი ქნენაც წამოიყვანე. ბიჭვინთის შემდეგ, რამდენჯერ არ შევხვდით, არ დავიწყებია ჩემი მეუღლის მოკითხვა: შენი კნეინა როგორ არის?

რეზო საშმიდანაა, იქ გაიზარდა. მერე კი

უჯარმაში მეუღლის, ქალბატონ როზას სოფელში დამკვიდრდა. ქალბატონი როზა გვმასპინძლობდა და შევყვით ტკბილ საუბარს..

უცნაურია, მაგრამ ახლა, როცა ვცდილობ, გავიხ-სენო ეს დღე, წარსულის ფერფლი მოვაცილო და წარმოვიდგინო, ალენდგინ ბატონ რეზო ინანიშვილთან ჩემი მრავალი საქმიანი თუ ჩევულებრივი შეხვედრა თუ საუბარი, ყოველთვის მახსენდება ბიჭვინთა და უჯარმა.

ბიჭვინთაშიც შემოგვალამდა და უჯარმაშიც. თითქოს შუქი არც იქ აგვინთია და არც აქ. თითქოს იქაც და აქაც სანთელი ენთო, თავისთავს და მაგიდას რომ ძლივს ანათებდა. თითქოსო, იმიტომ ვამბობ, რომ სანთელიც არ ენთო, მაგრამ სანთლის შუქი კი დალაციცებდა ოთახში. შუქი მისი სიტყვებიდან გამოკრთოდა.

რომელიდაც შეხვედრაზე, სადაც მეც მომიწია ლექსების კითხვა, რეზომ თავისი ნოველა წაიკითხა. დარბაზი გასუსული უსმენდა, მაგრამ მე მომეჩვენა და ცამდე მართალი ვიყავი, რომ რეზო ათასჯერ, თუ მეტჯერ არა, უკეთ წერდა, ვიღრე კითხულობდა თავის ნაწერებს. როცა ვამბობ: წერდა ხელრთვას, არც ასო-ნიშნების სილამაზეს არ ვგულისხმობ, მწერლურ ტალანტსა და ოსტატობაზე ვამახვილებ ყურადღებას. აქვე გამოგიტყდებით, რომ ერთ-ერთი საუბრი-

სას გავუმხილე კიდეც რეზოს, რასაც ვფიქრობდი: ბატონი რეზო, თქვენ მრავალგზის უკეთ წერთ, ვიდრე კითხულობთ თქვენივე ქმნილებებს. იწყინა, არ შეიმჩნია, ვითომც აქ არაფერიო, მაგრამ შევნიშნე, რომ იწყინა. ამ ფრაზას არასოდეს შეუშლია ხელი ჩვენი ურთიერთობისთვის, პირიქით, ვიცი, რომ რეზო იოლად მიხვდა, რაც ვუთხარი და დაიმორცხვა კიდეც, რადგან იგი შესანიშნავად კითხულობდა თავის ნოველებსა და მცირე პროზას, მაგრამ მრავალგზის უკეთ წერდა.

რეზო ინანიშვილის პროზის თავისებურება და მიმზიდველობა სუფეს უცნაურ უანრში, რომელიც პროზასა და პოეზიას შორის არსებობს და იუველირის სიზუსტით გრძნობს, როგორ გადმოსცეს სულიერი რხევები, მკითხველზე რომ ზემოქმედებს მძლავრად, პირველადი განცდის უტყუარი ეფექტით.

რეზოს მუღამის ათვისება და დაუფლება კარგა ხანია, მის სიცოცხლეშივე მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება. ჩნდება ვარიაციები რეზოს პროზის მიხედვით, მცირე პროზაც უქცევიად მისაბად მაგალითად და ამაში არაფერია ცუდი, თუმცა სივრცე, რეზომ რომ შემოსაზღვრა, თვითონვე დაპატენტა...

ჩვენი ინიციატივი:

* * *

„მწერალში, ნამდვილ მწერალში, მრავალი ტბორი დგას, მრავალი დინება მიედინება აქეთ-იქით, ზოგი ტაატით, ზოგი აჩქარებით... ნამდვილ მწერალში მუდმივად თოვს, წვიმს, მზედ, ქარი ქრის. ვიღაცა ტირის, ვიღაცა მღერის, ვიღაცა იცინის. რაღაცები იწყება, რაღაცები თავდება, აღმართია ასასვლელი, ანდა, პირიქით, დაღმართია ჩასასვლელი. ამიტომა, რომ ნამდვილი მწერალი თითქოსდა ყოველთვის დუმს, მისი დიდებული თვალები კი გამოაშუქებენ უამრავნაირ გაოცებას“.

* * *

„დიდუბის ხიდის იქით, ქუჩის პირას, ჯერ კიდევ დგას ხმელი თელა – ნუჟრიანი, ტოტებმიმოგრეხილი, შავი ბურუსივით ასული ცისკენ. აქეთ-იქედან აღუმართეს თოთხმეტსართულიანი სახლები, და იგი დაპატარავდა, გასაწყლდა, გასაცოდავდა. სულ მალე ან თვითონ წაიქცევა, ან მოსჭრიან. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, არავის დაენანება“.

* * *

„დედამიწა გუგუნითა და ჭექა-ჭუხილით მიპქრის კოსმოსურ შავეთში. იგი ერთ-ერთი გზააბნეული ცოომილია მილიონთა შორის. მაგრამ რანაირადაც პატარად არ უნდა წარმოვიდგინოთ, სულ ერთია, უჩემოდ ვერ ვახერხებ მის წარმოლგენას. ეს მე ვარ, მე ვდგავარ იმ წერტილში, რაზედაც ამ წუთში დაპყრობილი მაქვს თვალი“...

כְּפָרָנִים כְּהַע



დიდი მწერალი

ბატონი რევაზ ინანიშვილი არა მხოლოდ დიდი მწერალი, დიდი ადამიანიც იყო. საოცრად კეთილი, სათონ აღალი და გულწრფელი... ვინც ბატონ რეზონს იცნობდა, სხვანაირად ვერ გაიხსენებს მას. სამწუხაროდ, დღევანდელმა ყოფამ ისე დაგვიმზიმა სულები, რომ ისეთი პიროვნების გახსენება, როგორც ბატონი რეზო იყო, სულის სიმშვიდის და, ამავე დროს, სეჭდანარევი ლიმილის მომგვრულია...

დამწეუბი მწერალი ვიყავი, როდესაც ბატონ
რეზოს, მეგობართან ერთად, უურნალ „დილის“
რედაქციაში მივადექი. თავს უფლება მივეცი და
შუამდგომლობა გაუწიე მეგობარს, რომელსაც ლე-
ქსების დაბეჭდვა უნდოდა საბავშვო უურნალში...
ბატონმა რეზომ ჩემი მეგობრის ლექსები მაგიდაზე
მორიცებით დადო, გალიმებული სახით შემომხდა
და ჩამეკითხა: „შენ თავად არაფერი მომიტანე,
გენაცვალე?..“ საგამოდ უხერხულად ვიგრძენი თავი
და ისე ვუპასუხე: „მე, ბატონო რეზო, ბავშვებისთვის
ვერ ვწერ, არ შემიძლია.“ დიდ მწერალს გაეღიმა
და ისევ ჩამეკითხა: „სცადე და არ გამოგივიდა?..“
ამის შემდეგ რაღაც უაზროდ ჩავიბურდლუნე: „არა...
არ მიკლია...“

ბატონმა რეზომ არც მომისმინა, ისე დამიყვავა: „აუცილებლად სცადე, მჯერა, რომ გამოგივა... გელოდები, აუცილებლად შენი საბავშვო მოთხრობა მომიტანეო...“ სხვა რა გზა მქონდა, მართლაც, შევეცადე და დავწერე მოთხრობა „ვაჟკაცება“ და ერთი კვირის თავზე მივადექი უურნალ „დილის“ რედაქტორას. ბაზონმა რეზომ, იქნა ჩემს

თვალწინ, დიდი ინტერესით წაიკითხა. შემდეგ
სათვალიდან გამომხედა და გაღიმებულმა მითხრა:
„აკი, არ შემიძლიათ?...“ იმავე ნომერში დაიბეჭდა
მოთხოვნა. მადლობის სათქმელად, როდესაც
ვეახლე დიდ მწერალს, არც აცია და არც აცხ-
ელა, ისე მომახალა: „არმა, გენაცვალე, მაღლობა
რად მინდა, შენი მადლობა ის იქნება, თუ შემდეგი
ნომრისთვის ორ ზღაპარს მაინც დაწერო.“ გაოგ-
ნებულმა შევხედე და ისე ვუპასუხე: „რა ზღაპარს,
ბატონო რეზო, ზღაპარი არასოდეს დამიწერია“...
ლაპარაკი აღარ გამაგრძელებინა, ისე მიჰასუხა:
„არ დაგიწერია და ახლა დაწერე. შენ ისეთი კარგი
მიგნებები გაქვს, არ გაგიჭირდება, დაწერ!.. იმიტომ
გეუბნები, რომ ნამდვილად მწერალი ხარ, თორემ
ისე, ტყუილად არაფერს არ გეტყოდი“... ასე იყო
თუ ისე, ჩემი ორი ზღაპარიც ჟურნალ „დილის“
შემდეგ ნომერში დაიბეჭდა.

ყოველივე ზემოთ თქმულით იმის თქმა მინდა, რომ იყო იყო პიროვნება, რომელსაც ჰქონდა უნარი ადამიანის, პიროვნების წარმოჩენისა. ჰქონდა უნარი სხვისი ნიჭის დაფასებისა, რითაც თვითონვე განიცდიდა დიდ სიამოვნებას.

დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად
მეამაყება, რომ მქონდა ბედნიერება მასთან ურთ-
იერთობისა. სამწუხაროდ, ადრე დაგვტოვა. მან
ღირსეულად გააგრძელა და ახალ საფეხურზე აი-
ყვანა ქართული კლასიკური პროზის საუკუნოვანი
ტრადიცია. ბატონშვილი რეზომ მოასწრო იმ მთავრისა
და არსებითის თქმა, რითაც იგი გამოირჩევა ყველა
თანამედროვე ქართველი და არაქართველი მწერ-
ლებისგან. იყო თავმდაბალი, სულით მდიდარი. არ
უყვარდა ზარ-ზემი, ხმაური, თავის გამოჩენა. მისი
ალალი შრომისა და ნიჭის ნაყოფია ის, რაც ჩვენ და
ჩვენს შთამომავლობას დაუტოვა. იგი იყო მოამაგე
ქართული ენისა. უყვარდა კახური კილო-კავი, რაც
უხვადაა მის მოთხრობებში და კიდევ უფრო მეტად
უხდება, ამდიდრებს მის ისედაც მდიდარ და ფაქიზ
შემოქმედებას. მისი წიგნები ყველა ქართველი და
არა ქართველი მკითხველისათვის დიდი სამაგიდო
კანიბა.

ბატონი რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას ვინც
კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი ტოლს არ
უდებს ჩეხოვს, ბულგაროვს, პემინგუეის და ა.შ....
იგი ნამდვილად არის მსოფლიო ღონის, დიდი
კლასიკოსი მწერალი, რითაც არა მხოლოდ აწმყოში,
არამედ მიმავალშიც უნდა იამყოს ჩვენმა შთამო-
მავლობამ, სრულიად ქართველმა ერმა.

რევაზ ინანიშვილი — „დავითის ხმალი“

(განხილვა)



მწერლის ყოფიერებასა და სულიერებას პარმონია ეუფლება, როდესაც მასში ადამიანი და შემოქმედი ერთ სიბრტყეზე ივანებს. ეს კი ავითარებს უნივერსალური წარმოსახვის უნარს და აძლიერებს შინაგან წვდომას.

„თუ შეძლო მწერალმა და გაუყალბებლად წარმოაჩინა თავის ქმნილებაში ცხოვრებისეული ჭეშმარიტება, ე. ი. მან გადაარჩინა ნამდვილი ამბავი ხელოვანისაგან“ (სოლოვიოვი).

ბუნებრიობა, ყოველგვარი ზემხატვრულობის გარეშე გადმოცემული ამბავი, გამჭვირვალე წარმოსახვის უნარით შთაგონებული გარდასულ დღეთა რეალობა, მიზეზშედეგობრიობის დინამიკურობა, რევაზ ინანიშვილის შემოქმედების დასურათხატება. ამ თვისებათა გამო მისი მოთხრობები, ნოველები თუ ჩანახატები თანაბრად საინტერესოა ყველა თაობის მკითხველისათვის.

რევაზ ინანიშვილის გრძნობა-გონება სამშობლოს წარსულს დასტრიალებს. მის ყოველ საგმირო ეპოქებს თანამედროვეთათვის საჩვენებელ ეპიზოდად ჩამოქნის ხოლმე. შედეგად, სულიერი სიღრმეების ჭეშმარიტი გავლენის ნათელი ასხივოსნებს მკითხველის საზრისიანობას და ერთდროულად ჰქმატებს მას წარსულის, აწყოსა და მომავლის მიმართ მოწიწებას, ანიჭებს თავდაჯერებულობას, ამბაფრებს მასში გამარჯვებულისა თუ გამორჩეულობის სურვილს. უვითარებს განსაკუთრებულ სიფაქიზეს წინაპართა მიმართ. პატივისცემას მშობლებისა და ახლობლებისადმი. აფიქრებს ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვის გარანტირებულ აუცილებლობაზე.

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები გაუწყვეტელი ძაფია იმ გორგალისა, რომელიც დასაბამიდან ბრუნავს. ამ უწყვეტობის შენარჩუნება და ძაფის მომავალ უსასრულობაში გადაჭიმვის საწინდარია მისი მოთხრობების დედაზრი.

რაოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი სნეულებებშეებილი ქართველობისათვის „დავითის ხმალი“ ორიგინალური ფაბულითა და ორიგინალური ინტონაციით. მოქმედება იმ წარსულში ხდება,

როცა მონღოლები სულს ხდიდნენ ქართველებს. ჯალათობის ფორმათა ფანტასტიკური სიუხვით გამორჩეულები ცხოველსა და ადამიანს თანაბრად ეპყრობოდნენ... ისინი არ ინდობდნენ ძაღლებსაც კი, ალბათ, მათი განსაკუთრებული ერთგულებისათვის პატრონებისადმი. მონღოლის მიერ ძაღლის წამების ეპიზოდი იმდენად ბუნებრივად წარმოაჩინა ავტორმა, რომ ვერ აიცდებს მკითხველი სულიერ გარდასახვას და, როგორც ცხადში, დაინახავს ყოველივეს, რასაც ავტორი გონის საცეცებით ამოქექავს. მართლა იმ საშინელი სურათის შემსწრე კაცის ინტონაციით ყვება რევაზ ინანიშვილი მისი სხეულიდან მოუკვეთელ წინაპარ ქართველთა განცდილსა და გამოვლილს.

წარსულის სურათების ცხადად დახატვა ემოციური ფონის ასამაღლებლად შესანიშნავი ხერხია, მაგრამ ავტორს ერთხელაც ვერ გამოიჭერთ ამის ყალბ მცდელობაში. იგი აბსოლუტურად უემოციოა საკუთარი პიროვნების წარმოსაჩენად, მისი ფიქრები მორდვეულ და მორყეულ ქართულ ღირსებათა გამო მხოლოდ ერის სულიერ გაჯინსაღებაზე ზრუნავენ. იგი ცდლობს, შეუცვლელად გადასცეს ტრადიციები მოზარდებს, ხოლო უკვე ზრდასრულნი ჩაახედოს საკუთარ სულში, აუშალოს სინდის-ნამუსის შემგრძნობი უჯრედები,

მოთხრობა არ არის დიდაქტიკური, მაგრამ იმ ატმოსფეროში, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, ის ითავსებს ამ ფუნქციას და ემსახურება სულიერ აღზრდას. საზოგადოების ზნეობრივ-მორალური არასრულფასოვნება ავტორისათვის ის ძირითადი პრობლემაა, რამაც ერს კაცურ-კაცობის ღირსება წაართვა. წათე, საბა და სეზარი არიან მოზარდები, რომელთა თვალწინაც მონღოლთაგან იღეოდა ქართველი. ავტორი არ მიმართავს ბრძოლის ეპიზოდების გადმოცემას, ის სწორედ იმ საზარელ ყოფაზე მოგვითხრობს, რაც მათ ბატონობას მოჰყვა საქართველოში. მოულოდნელი თავდასხმები, განუკითხაობა ძალადობები, მონღოლთა მოუშძლელი სასტიკი ჩვევა იყო, რომლის ენით გამოუთქმელობის გამოც მწერალი ირიბი ნათქვამის ფორმას იყენებს:

„მამიდამისს თავი ჩამოახრჩობინეს მონღოლებმა“.

— გასაგებია რატომაც.

გმირული სულით მომავალი თაობის გაკაშება უფროსების მთავარი არსი იყო ცხოვრებაში. ამ მოთხოვობაში მეომრად კურთხევის სცენა გულგრილს ვერ ტოვებს მკითხველს. მას ჩვენამდე მოაქეს გარდასულ დღეთა ეროვნული სუნთქვა, წინაპართა გაუტეხლობა. პირდაპირობა. უშიშრობა და თავგანწირვის თანდაყოლილი ნება.

წათესა და საბას სტუმრობა მოხუცთან, აწმყოთი დასეტყვილი ახალი თაობის ქართული სულის შესველრაა ძველი დიდების რელიკვიადექცეულ ნაშთთან, რომელიც წინაპარმა მამაცობისათვის მიიღო დიდგორის ოში. მოხუცის პაპის პაპისა და დავითის ენერგეტიკით დამუხტული ხმლის, როგორც ატრიბუტის, გამოყენება კურთხევისათვის მიზანმიმართული სვლაა აგტორისა და რწმენაა წინაპართა სულებისა. ვაჟკაცობისათვის ხელდასმა მამა-პაპული ჩვეულება ყოფილა, ხოლო მიმდევრობა წინაპართა გმირული წარსულისა-ცხოვრების დანიშნულება.

დაბლოგი აგაბო პაპასა და სეზარს შორის არის ყოველი ქართველისათვის გარდასულ დღეთა ისტორიული მოვლენების მიმართ შეგნებული დამოკიდებულების მაგალითი. ახალბედას კარგად უნდა სცოდნოდა ერის წარსული. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი მოზარდის ხელდასმა, ანუ კურთხევა ოში თუ სხვა სამაცო-საგმირო საქმეებში მონაწილეობისათვის.

ენერგეტიკული ველის ცხადლივ გავლენა, არსად არავის ისე არ გადმოუცია, როგორც ეს რევაზ ინანიშვილმა მოახერხა. დავითის ნაქონი ხმლის შეხების შემდეგ სეზარი „მკლავებს განზე ეწეოდა და თითებს ხან მოკუმშავდა, ხან გაშლიდა. ხარბად ისუნთქავდა ნოტიო ჰაერს. აშკარად გრძნობდა, რომ მკერდიც გაუდიდდა, აუმაღლდა, ფეხება ხომ მთლად დამსუბუქებდოდა, თითქოს ხელების ერთი დაქნევა და, როგორც სიზმარმი უნახავს, მოსწყდებოდა მიწას, აფრინდებოდა მაღლა. წათე ხომ მიდიოდა და მიდიოდა ღონივრად, ბედნიერ თვალებს მოანათებდა ბექც.“

დავითის ხმალმა ერთბაშად შეუცვალა შინაგანი განწყობა ბიჭებს. წინაპართა გმირულ სულთან ზიარება, მართლაც რომ საცნაურია — ერთიანად შემსუბუქებულნი და ენერგიით აღსავსენი ახლა სულ სხვა განწყობით მიუყვებოდნენ იმავე ბილიკს, რომელიც რის ვაი-ვაგლაბითა და შიშით გაიარეს მოხუცთან მიმავალებმა. მხნეობა, აი, მთავარი, რაც აგაბოს პაპის პაპის ნაქონმა დავითის ხმალმა შეკმატა მოზარდებს.

ბექა და წათე, სულდამბიმბულ სეზარს, გზად მოსალოდნელი ხიფათის მიუხედავად, მაინც რომ წარუდგენენ, წინასწარგამიზნული ქმედებაა მათი მხრიდან და გამოძახილია ძველი ტრადიციისა. ის, რომ უფროს-უმცროსებს ზედმეტი ახსნა-განმარტე-

ბების გარეშე ესმით ერთმანეთისა, უკვე ფესვებ-გადგმული წეს-ჩვეულების დასტურია. „თოთხმეტ-თხუთმეტ წლისანი“ იყვნენო, — მიანიშნებს ავტორი და ჩვენდა საოცრად, ამ ასაკში უკვე ჭკუადამჯდარი, მთავარი ღირებულებებისა და ღირსებების დამფასელი, ტრადიციების გამგრძელებელი და ვაჟქაცური სულის პატრონნი, მკითხველის თანალმობას იმსახურებენ.

სულიერად აღზევებული სეზარი, უკან გზობაზე, ანგარიშმიუცემლად ეპვეთება მონღოლს და მოკლავს მას. სისწრაფე და მტრის განადგურების ფორმა, მეორდება. ანუ იმავანაირად, თვალის დახამამებაში სჩადის ამას სეზარი, როგორც დოდგორის ოში ის პაპის პაპა, რომელმაც დავითისაგან ხმალი დაიმსახურა მამაცობისათვის. თითქოს წინაპრის სულები მასში ჩასახლდნენ. ხელს არ უშლის ასაკი, იგი ტოლსწორია ომგამოვლილ მამაცთა და ამ პასაჟით ავტორი ააშკარავებს თანამედროვეთა სიმხდალესა და უსუსურებას. განსაკუთრებით მოზარდი თაობის მოუმზადებლობას ცხოვრების მკაცრ კანონებთან შესარკინებლად.

მათ სამთა შედგომა როულად დასალაშქრავ სახიფათო გზაზე, მოხუცის მიწურისაკენ დაიადი მიზნის განსახორციელებლად, ჩანერგილი წესის აღსასრულებლად, შინაგანი მზაობაა გმირობისა და სიმამაცის მემკვიდრეობით მისაღებად. არის ამაში რაღაც აღმატებული, იმდენად, რომ ადამიანის გონებას მისი აღქმა უჭირს, მაგრამ ცოცხალ და გარდასახულ სულთა მისტიკური კავშირი რეალობაა. მოხუცის შეძახილი — „დივითის სულო“ და „აღავსე, აღავსე, აღავსე! ამერ-იმერის ხილულუხილავი ერთობის რწმენაა, ძალისმომცემია და თავგანწირულობის უტყვი გარანტია.

ბექასა და წათეს სწრაფვონივრული მოქმედება მეგობრის გადასარჩენად, საუკუნეობით ერში ნაწრობი მოსაზრებულობის გამოვლენაა. ამ საქციელში არანაკლებია რიტუალის ემოციური გავლენაც და მოზარდებში განფენილი ვაჟქაცური სულის თავდადებაც. მოხერხებულობა, გასაქცევად გზა-ბილიკის არჩევისას, სრული მზაობაა მათი მხრიდან მმიმესიტუაციებში გასარკვევად.

მწერალი აზრის სხარტად გადმოცემის ოსტატია. ძალიან ერიდება ფუჭსიტყვაობას. მოთხოვობაში ყველა დეტალი გათვლილა და ორგანული ნაწილია სიუჟეტისა. ავტორი კოპტია და ფაქიზია დედაზრის განვითარებაში. წინადადებებს, გარდა იმისა, რომ ამბის თხოვობაში უფექტურობის ხარისხს ანიჭებს, მიზნიბრივ დატვირთვას აძლევს და თანამიმდევრობით კინავს თემის გასაშლელად, ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად.

„მამიდას თავი მოაკვლევინეს მონღოლებმა“, — მოთხოვობის დასასრულს სეზარის მიერ მონღოლის მოკლის საბაბი ხდება. ნიშანდობლივია, რომ საიქეთო გზაზეც შეხვდათ ბიჭებს მონღოლნი, მაგრამ, პირიქით, დაიმაღნენ. სისხლის ყივილის, შინაგანი

ხმის ძახილისა და ხელდების რიტუალით ემოციურ-ფსიქოლოგიურ, მისტიკურ გავლენათა თანხვედრის წერტილი სეზარის არსებაში დედის უდანაშაულო სისხლით გაიუდინთა და ამოხეთქა ამ გაუბედავი ბიჭის არსებიდან შესაშური ძალითა და სიმამაცით.

რევაზ ინანიშვილი არ მიმართავს დეტალურად აღწერით ხერხს მოვლენათა სურათის დასახატად, მაგრამ, კონტექსტის გათვალისწინებით, თუნდაც ერთი ისტყვით შეუძლია მკითხველს სრული წარმოსახვისაკენ უბიძგოს: „მეორე დღის საღამოს, პირველ ბინდისასვე, ქვემოთ წითლად გაშუქდა მოწმენდილი ცა გორებს შორის.“ „წითლად“ ის სიტყვაა, რომლითაც გასაგებია, თუ, რაც მოხდა: სოფელი გადაწვეს მონღოლებმა, რადგანაც ვერ იპოვეს მკვლელი.

მოთხოვანი არ ჩანან მამაკაცები, მოხუცის გარდა. წათეს ნათქვამი – „მამაც აღარა ჰყავს, არავინ აღარ ჰყავს ჩვენს მეტი“ დროის სისასტიკის ნაშუსვრალია. გამოუცდელი ახალგაზრდები ერთი მხრივ, გახიზვნით პოულობენ თავშესაფარს, მაგრამ მეორე მხრივ, უნებლივთ ხდებიან სოფლის ამოწყვეტის მიზეზიც.ა მაშიც დროის შახვრალი ხელი ურევია.

თვითშეგნების ხარისხი მაღალია სეზარში, ის შეეცადა თავისი უბედურების მიზეზთან გამკლავებას, მაგრამ ვერ გათვალა შედეგი, რის გამოც ის ძმებმა დილით ჩამომხრჩვალი იპოვეს.

თთქოს გათვლილი აქვს ავტორს ყველაფერი მისხალ-მისხალ. მაღალია მორალურ-ზნებრივი ფონი, მძიმეა და სასტიკია დროით გაწერილი ბედი, ძლიერია ტრადიციული წეს-ჩვეულებების ფესვები. თუმც არის ერთი დიდი კითხვის ნიშანი.სად არიან მამაკაცები – მამები, დაიხოცნენ თუ გაიხიზნენ? ჩემი აზრით, ისინი დაიმალნენ გარკვეული ტაქ-ტიკის თანახმად (რომ არ ამოწყვეტილიყვნენ). ამთ უკმაყოფილოა აგაბო პაპა: „მაგარი ვაჟუკაცები არიან მონღოლები, ხმალს მეტ ფასს ადებენ, ვიღრე

საკუთარ თავს, ეგერეა, ეგრე! ჩვენ ჩვენი ხორცი გვირჩევინა ყველაფერს.“

მწელბელობის ჟამს მიუღებელია მწერლისათვის სოფლის მიგდება ქალებისა და ბავშვების ამარა. სამწუხაოდ, ასეთი ფაქტებიც ჩაწერილა ისტორიაში. რევაზ ინანიშვილი, მისი თანანმედროვე ყოფით შეძრწუნებული, იმ შორეულ წარსულშიც ხედავს დაშვებულ შეცდომებს და მიმჩნია, ისტორიის გრძელ გზაზე, განსაცდელის ჟამს, მტერს პასუხი უნდა გაეცეს კვალად მოხუცის პაპის პაპისა, რომელმაც ღირსულად დაიმსახურა და ატარა დავითის ხმალი. ვიყოთ დავითის ხმლის მეგვიდრები და ხელ-დებული აგაბო პაპის მიერ – რევაზ ინანიშვილის ანდერძია.

ის სამნი-თოთხმეტი თხუთმეტი წლის ბიჭები, სულიერ გენეტიკური მემკვიდრენი არიან, როგორც გმირი წინაპრებისა, ასევე უშუალოდ საკუთარი მამებისა. ორივე მხარის ნავდრალი თუ ნაგმირალი აისახა უცოდველი თაობის ცხოვრებაში და წარსულსა და აწმყოს შორის გარჩენილები, უნებლივედ, ხდებიან მიზეზ-შედეგობრივი მოვლენების მონაწილენი დროის სისასტიკის წყალობით.

პაროტებთ დაფიქრება მამებს.

„დავითის ხმალი“ ამბავში ამბის მოყოლით განივრცობა, ამთ აეტორი წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიზეზშედეგობრიობის უწყვეტი ჯაჭვის დენადობას წარმოაჩენს.

მწერალი, თხრობის უშუალო ბუნებრიობით, სიუჟეტის განვითარებისას ურთიერთმონაცემელე ეპიზოდების რეალური კადრებით, სულიერ დრამას ისე ავითარებს, რომ თავად ხდები მონაწილე იმ ავადმოსაგონარი დროებებისა და ირგებ პერსონაჟთა სახეებს.

რევაზ ინანიშვილი თვითონაა აგაბო პაპა, რომელიც მამათა საქციელით უგმაყოფილოა და ხელიდან არ უშვებს შანსს ახალი თაობის მოსაგონიერებლად.

ჩვენი ინანიშვილი:

„...მშენებლობად ქცეულ დედამიწაზე, სადაც ერთმანეთზე დაწვავებით აგებენ, ამსხვრევენ, ისევ იწყებენ შენებას, ადიან მაღლა, – როგორ წააგავს დღეს დედამიწა ბიბლიური ბაბილონის გოდოლს! – მწერლისთვის დარჩენილია ერთი ადგილიდა – დარავისა. იგი დარაჯობს წარსულიდან მოყოლილ რაღაცებს – ბალახებიდან ბავშვებამდე. ბავ-შვე-ბამ-დე!..

როგორც ყველა დარაჯს ქვეყნიერებაზე, მწერალსაც უმწეოდ აქვს გაშლილი ხელები, ბავშვები კი დარბიან უთავბოლოდ, ბალახებიც ამოღიან უადგილო ადგილას. შუბლშეკვრით დაპყურებენ ერთთაც და მეორეთაც მშენებლები“.

რეგუდი ინარი ქუთავის სახელმწის „ერთი მოთხოვის“ კონცერტი გამარჯვებული ძოთხოვი

ბეჭ ბალაშვილი

ხახვები და ნივრები*


I

ახალი ოფისი, ახალი იმედები, ახალი თანამშრომლები, ახალი დაბრკოლებები, მაგრამ უცვლელი დაუკმაყოფილებლობა, უცვლელი დაჩაგრულობის შეგრძნება, უცვლელი გამოყენებულობის შეგრძნება, თუმცა უცვლაფერი ახალი მაინც საინტერესოა. ეს სიახლის უინი და ვწება, შეცნობის პირველი ეტაპი გავიწყებს და თვალს გაზუჭინებს მორიგ უსამართლობებზე, რაღაც პერიოდით ჩემად ხარ, მერე ისევ ინტრიგანად შეგრაცხავენ და მერე ისევ უნდა დაიწყო ამბოხი.

ახალ ოფისში დიდი სამუშაო დარბაზი დამზღდა, თეთრი ჭერით და კედლებით. ჩვენი სამუშაო მაგიდები ერთმანეთისგან შავი, „კარდონისმაგვარი“ ჯებირითაა გამოყოფილი, ისე რომ მეზობელს ვერ ხედავ, ვერც წინ, ვერც გვერდით, მაგრამ იცი, რომ იქ ვიღაც არის, იქ ვიღაც მუშაობს, ან შენნაირად მუშაობს, ან შეიძლება შენ გითვალოვალებს. იქაც, ისევე როგორც ყველა სხვა ოფისში, ზოგი მუშაობს, ზოგი კი რაღაც მისიას ასრულებს, ან გითვალოვალებს, ან გაფასებს, ან „შპიონობს“ უფროსთან. ასეთ გარემოში პირველად მიწევდა მუშაობა, დერეფანში შემომავალი ყველა ადამიანი ჩაუვლიდა ორ რიგად დაწყობილ მაგიდებს და ადვილად შეეძლო გადახედა, ვინ რას აკეთებდა.

ახალ ოფისში ტრადიციულად ადვილად ავულე ალლო ყველაფერს, ძალიან სწრაფად ვასრულებდი დაკისრებულ საქმეებს, მერე ცოტა გაბრუებული დერეფანში გავივლიდი და ჩემსავით მობორიალე თანამშრომლებს ვხვდებოდი. მაშინ ვაანალიზებდი, თუ რატომ იღებენ ამერიკელები ამდენ ფილმს ზომბებზე. დიახ, რუტინისგან დადებილებულ თანამშრომლებს თუ შეხედავთ, დერეფანში როგორი მკაფელი სახევბით დადიან, როგორი უსიცოცხლო და უშინარსო თვალებით მიმოდიან, როგორ ერთი მიზანი უტრიალებს ყველას თავში: „თვის ბოლოს ხელფასამდე გამაძლებინა“ – ადვილი იქნება ამერიკული ჰორორზომბების გახსნება. მით უმეტეს, რომ ეს საოფისე გარემო და სისტემა ამერიკაში უფრო მასიურია.

აი, აგერ ჩემი თანამშრომელი გილა, 1 სახეზე წითელი სისხლივით ჩამოსდის ოფლი, მიღიმის და კბილებს ისე აჩენს თითქოს შესაჭმელად გააღო, აგერ ზარაბი თავს იქნებავს ისე ნერვიულად, თითქოს ტვინი გაეხლიჩა და კისერს ისე ატრიალებს, სადა-



ცააა უნდა გადატყდეს, შეხედეთ, ნენო თავს ძირს ხრის და გაიგნორებს, ვერ გამჩნევს, მერე ასწევს და უკან ტყდება, ეს ყველა კადრი ფილმებში არ ხდება, ჩემს ახალ ოფისში ეს ყველაფერი ყოველ-დღიურობაა.

დაკისრებულ დავალებებს მალე ვრჩებოდი და რამენაირად უნდა გამეწელა სამუშაო დღე, ოფისში ყოფნა რომ ასატანი გამზდარიყო... გაითვალისწინეთ, რომ ძალიან ახალგაზრდა და სხარტი ვარ და ჩემს დაკისრებულ მოგალეობას თუ სხვები 5 საათში აკეთებენ, მე ნახევარ საათში ვასრულებ.

ამიტომაც! მოგიიქნე უჩვეულო რამ, ისეთი რამ, რაც ჩემს ცხოვრებისეულ იდეას, ჩემს პიროვნულ არსს გამოხატავდა, ისეთი რამ, რაც ინტრიგინულიც იყო და გამომწვევიც, ისეთი რამ, რაც ადრენალინს გამომაყოფინებდა, რაც ბეჭვის ხიდზე გამატარებდა, გამახალისებდა, გამაცოცხლებდა და განმახლებდა, ის, რაც რამი გზით აქაურობას დამავიწყდებდა, ამ ზომბებს და ზომბომანებს დამაშორებდა, და რა უნდა ყოფილიყო ასეთი რამ?

წიგნები!

დიახ, ყოველ დღე სახლიდან გამოსვლისას ჩემს დიდ ბიბლიოთეკას ავხედავდი, აბა, ახალი წიგნები თუ ძელი? ქართული ლიტერატურა თუ უცხოური? საით წავიდეთ დღე? სად ვიმოგზაუროთ? საფრანგეთში წავიდე? ფრანგ ავტორებს შევეხო? თუ გერმანიაში? ძია ღოსტერებს შევეხო? თუ ავიდე თუ ამერიკაში გავცუროთ? კოლუმბის გზას ხომ არ გავვეთ? სელენჯერი? თუ ფოლკნერი? იქნებ სტაინბეგი? მოიცა, დავრუნდი ევროპაში – რომენ გარზე რას იტყვი? თუ პენაკს შევუდგეთ? – მოიცა, ძია პრუსტი? თუ კამიუ? გერმანულ ტყეს ხო არ მივხედოთ? ჰესე თუ თომას მანი? იქნებ ძია ჰაქსლი ან ორუელი... იყო რამდენიმე დღე, ქართული მშობლიური ლიტერატურა რომ მწყუროდა... ნიკოლო მიწიმვილს მივადექი, ხან პალოს, ხანაც კლდიაშვილი გავიხსნე და ხანაც აკაგის ლექსები. საიდნ სად დაგმოგზაურობდი... ვერ წარმოიდგენთ, ქვეყნები, ეპოქები... მოკლედ ყოველი დილა ბიბლიოთეკასთან

იწყებოდა, პატარა წაბაასებით საკუთარ თავთან, შემდეგ ერთ-ერთ წიგნს მოვხვევდი ხელს, მკლავის ქვეშ ამოვიჩრიდი და როგორც საყვარელ გოგონას, ისე მივაცუხცუხებდი ოფისში. ჩემს მაგიდა-ბუტკაში შევიყეუჯებოდი, იმ დღისთვის სპეციალურად შერჩეული წიგნი კომპიუტერთან ნაზად და მეგობრულად მელოდა, სინამ მე საქმეებს არ მოვრჩებოდი, ის იქ იყო, გადაუშლები, ხელუხლებელი. დასრულდებოდა ჩემი კომპიუტერთან კაკუნი და აი ისიც, აი, ჩემი ნანატრი ლუქმა, აი ჩემი პოეზია და ლიტერატურა... აი, ჩემი სხვა სამყარო! შორს! შორს! დასავლეთი! შემდეგ სამხრეთით, მერე ჩრდილოეთი! და ბოლოს აღმოსავლეთი? (ამ მარშრუტით ვცდილობ, მაგელანის მოგზაურობა გავიხსენო)

მაკრამ

და ეს მაგრამ, ისევ ეს მაგრამ, ოხ, ეს მაგრამ, „მა-გრამისტების სპეციალური სახელმწიფო პროგრამა“, მოკლედ, ამ ჩემს წიგნს და წიგნომანიას მთელი დაბრკოლებები ელოდა...

მაშ ასე, მოვრჩი საქმეებს, შევეშვი კომპს და გადავშალე ჩემი იმ დღის სატრფო – მოდი ვთქვათ და ფონკინოსი, ფონკინოსის „დელიკატურობას“ „ვკითხულობ, ქმარს ეს-ესაა მანქანა დაუჯახა, დეპრესია ჩავარდნილი ჩვენი აკურატული გოგონა (ფილმში ოდრე ტოტუ). გადაშლილი წიგნით ვზივარ კომპიუტერის წინ, წარმოიდგინთ, მთელი ცივლიზაციათა ჯახია, კომპიუტერი პირდაფ-ჩენილი, გაკვირვებული სიცისფრე შემომცეკრის, მე კი, მის წინ ახალი გამოცემის წიგნით ხელში, მივემგზავრები საფრანგეთში. კომპიუტერი დაიჭყლუპუნებს, ხან რა ამოვარდება, ხან – რა, მე კი წიგნში ვარ ჩაფლული, ომი მაქვს გამართული ტექნოლოგიასთან, ჩემი პირადი ბრძოლაა დაქლიავებასთან, დაზომბებასთან და კომპიუტერდამოკიდებულებასთან, მე ახლა ფონკინოსთან ერთად პარიზში დავეხეტები, ჩემ წინ კი ჩემი გაოცებული კომპიუტერი ნერვულ ხმებს გამოსცემს. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, აი მთავარი ახლა იწყებოდა.

გადავშალე წიგნი და თანამშრომელმა ჩაიარა, ოო, შემამჩნია, ჰერნია, უსაქმოდ ვარ, ოო, დაეჭვდა, არ ესიამოგნა, თავი დახარა, საეჭვოდ დაჯდა თავის მაგიდა-ბუტკასთან, ოო, ჩემი წიგნი, შეგვამჩნიეს, ასე თავისუფლად და ლივლივით ვეღარ შევძლებთ ურთიერთობას, ხანდახან უნდა დავიმალოთ, ხანდახან უნდა შევიყეულოთ, რომ ძალიან თვალშისაცემი არ გავხდეთ.

თავისით მოდის გამამართლებელი ფიქრები: „მე ხომ სიგარეტს არ ვეწევი, თქვენ – ყველა ეწევით და ყოველ ნახვარ საათში გადინართ სიგარეტის მოსაწევად, მე არ ვეწევი, მაშ, არ მაქვს უფლება რომ მოწევის მაგივრად ის, რაც მსიამოვნებს, ის ვაკეთო? ჩემთვის მოწევაა წიგნის კითხვა“. ძალიან ბავშვურია.

მოდის უკეთესი ვერსიები: „რომ არ გამოვდებილდე და არ გამოვშტერდე, ასეთი რამ მოვიფიქრე, წიგნს ვკითხულობ ხოლმე დღეში ერთ-ორ ფურცელს“, მაგრამ ამის თქმა არ გამოვა, იმიტომ რომ დღეში

ერთ წიგნს ვამთავრებ და მეორე დღეს უკვე ახალი წიგნი მომაქსს, სხვა რამ უნდა მოვახერხოთ: „აი, ჩემი თანამშრომელი, ხომ არსებობს სტერეოტიპი, რომ საჯარო სამსახურებში რუტინულად მხოლოდ საქმეს ვაკეთებთ, ჩემი ეს წიგნის კითხვა კი პირიქით, დიდი მიღწევაა, უტესტიცებით საზოგადოებას და სამყაროს, რომ საჯარო სამსახურში შესაძლებელია წიგნის კითხვაც, მაშასადამე აზროვნება, მაშასადამე ფიქრი“ და მერე ვინ კითხრა, რომ საჯარო სამსახურებში ისეთი კადრები გვჭირდება, ვინც ფიქრობს ან აზროვნებს? იყო ჩემს თავთან გამართული კამათის პასუხი, მთავარია, რობოტებივით კოპი – პეისტი, კოპი – პეისტი...

ჩემი და ჩემი წიგნების ამბავი სახიფათოდ გადაიქცა, როცა დედაჩემისგან გავიგე, რომ მის უფროსს საკუთარი თანამშრომელი იმისთვის გაუთავისუფლებია, რომ უკრნალის კითხვისას წაასწოო... თურმე ასეთი პრეცედენტი ყოფილა, მე კი არ მინდა უსამსახუროდ დარჩენა, საკუთარი ფულის გარეშე ყოფნა წარმოუდგენელია, მით უმეტეს, რომ კარგა ხანია ჩავები ამ კარიტერისტულ, ვირტუალურ თამაშში. მე დაწინაურება მინდა, სათანადო ხელფასი და დაფასება, მაგრამ წიგნებზე უარს ვერ ვიტყვი, წიგნები ჩემი პირადი ოფისთან, აქაურობასთან, კომპიუტერთან...

ერთ დღესაც ყურებში მაქს გარჭობილი ყურსასმენები, ვუსმენ მუსიკას და თან წიგნში ვარ ჩარგული, ამელი ნოტომისთან ერთად იაპონიიდან მოვფრინავ, რინრის დავშორდით და ბელგიაში გაგვიწევია, რომ ჩემი სამსახურის უფროსი თავზე წამომადგა. თითქოს ერთი თვალი გავაპარე და ვუყურებ მის რეაქციებს, რას იზამს? ახლა ის წამია, როცა ჩემი წინასწარმოფიქრებული ფრაზები უნდა მოვაგროვო და მზად ვიყო ყველანაირი დარტყმისათვის, მზად ვარ, უფროსი ჩემსაცნ მოდის, არ ვწყვეტ კითხვას, ის ახლოვდება, ამელი ბელგიაში ჩადის და დასთან ერთად იწყებს ცხოვრებას, უფროსი ხელს მადებს და მე ყურსასმენებს ვიხსნი.

უხერხული წამი.

– რას შვრები?

– რა ვი, ვკითხულობ.

– რას კითხულობ? ხელს ადგის ჩემს წიგნს, გადაატრიალებს და კითხულობს სათაურს, პირით ჩაიკითხავს „არც ევა, არც ადამი“ და მეუბნება: რამდენი ხანია წიგნი აღარ წამიკითხავს.

ვიცოდი!!! ასეც ვიცოდი!!! ეს ახალი უფროსი საოცარი კაცია! აბა, რომელი სამსახურის უფროსისგან გაიგებდით ასეთ შენიშვნას? მაგრამ თან სერიოზულდება, აბა, ვნახოთ, ახლა რას იზამს, ჩემი ექსპერიმენტების პიგში ვარ, მთელი სოციალურ-ფსიქოლოგიური დაკვირვებები მაქვს. ტუჩებს შმეშნის, სახეს ფაქლავს და მორიდებით გაუბედავად მეკითხება:

– რამდენი გაქვს დაწერილი? უკვე საქმეებს გულისხმობს. იქვე ეშმაკურად ჩაკეცილი პროგრამა კომპიუტერში ერთი კლიკით გავხსენი და ვეუბნები:

- ყველა დავასრულებ.
- პო, კარგია... და მცილდება.

ჩემი პირველი ბრძოლა წარმატებით დასრულდა, ჩვენ გავიმარჯვეთ. მე და ჩემმა წიგნმა საწადელს მივაღწიეთ, დავჯაბნეთ და მთელ უხერხულობებში ვამჟოფეთ ეს ჩვენი უფროსი, რომელიც საკმაოდ კაი ტიპი ყოფილა, ცხოვრებაში პირველად არ გამიმართლდა? ასეთი უფროსი რომ გეყოლება! მაგრამ ისიც ვიზრები, რომ ჩემ გამო თავს არ გაითუჭებს, და ისიც ვიგრძენი, რომ უხარია ასეთი ახალგაზრდა, წიგნისმეტითხველი თანამშრომელი რომ ჰყავს.

მომდევნო დღეს გილბერტ ადერის „მეოცნებენი“ წავიდე, მთელ ახალგაზრდობას ხომ ევა გრინზე და ბერტოლუჩის იმ სამეულზე გვაბოდებს, სამნი რომ გარბიან ლუვრში, რეკორდის დასამყარებლად, მოკლედ, წიგნადაც საინტერესო აღმოჩნდა ფრანგი და-ძმის ამბავი, განსაკუთრებით ამაზრზენად და კარგად აქვს აღწერილი მათი ამ ზეობისა და უსაქმერობის შედეგი, როცა უკვე საჭმელი გამოილებათ, ჭუჭყიანები დადიან, სცივათ და ცხოველებივთ სანაგვე ურნაში იქექებიან, იქნებ რამე ჭამონ, აი სწორედ ამ მომენტში ვარ, როცა მათი ამერიკელი მეგობარიც კუჭამლილი აბაზანაში გარბის, რომ კარში პუპუნა შემოდის, პუპუნა, ოოო!

სულ დამავიწყდა თქვენთვის მთელი იურაქებული სისტემა მომეხსენებინა, მოკლედ, ჩემი სამსახურის უფროსი ჩვეულებრივი უფროსთაგანია, მისი და მისნაირების უფროსი უკვე პუპუნაა, აი პუპუნას და ასეთი დიდი საჯარო სამსახურების უფროსი კი უკვე დიდი თუა გახლავთ, თუას ზევით ვინაა, ნუ, არ გვჭირდება ამ წამს, არაა მნიშვნელოვანი.

ჩემი სამსახურის უფროსი კი კაი ტიპი აღმოჩნდა, მაგრამ ეს პუპუნა კი გამიგია, არც ისე განათლებამოწყურებული კაცი იყოს, უფრო აგდებულად ექცევა ხოლმე თანამშრომლებს.

პოდა, ევა გრინი ტუალეტის კარზე უკაკუნებს ამერიკელს, გამოდიო და ამ დროს შემოდის პუპუნა კარში, წიგნი ნელ-ნელა ჩაგაცურე მკერდის პორიზონტიდან და კლავიატურასთან მივმალე, ყურსასმენები მოვიხსენი და შევხედე, საბედნიეროდ, გარეშემოს ათვალიერებდა და მეც მხოლოდ თვალი მკიდა, დაბზრიალდა ციბრუტივით და უკანვე გავიდა, აი, ეს იყო ყველაზე დიდი ადრენალინი მე და ჩემი წიგნების ისტორიაში. ეს ის მომენტი იყო, როცა მზად არ ვიყავი და ბედს მივენდე, რა მოხდებოდა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიგიჟით მელოდიენ წიგნების ფურცლები, რა მოხდებოდა, რა ექსტაზით დასრულდებოდა ეს ეპიზოდი.

II

იზაბელ ებერარდის „მოგზაურობა მაღრიბში“ მქონდა წამოლებული, დავალებებს თავი დავაღწიე და ამ დაბწეულ და დაკარგულ ქალთან ერთად ვმოგზაურობდი მაროკოსა და ალჟირის საზღვრებთან, უაზროდ მეამბოხე ბედუინების შეხლა-შემოხლას

და ევროპელი კოლონისტების ბოლო, სულისმდავავ დღეებს შევცემოდ უდაბნოში, რომ ამ დროს სტაჟიორები მოიცვანეს...

სტაჟიორების დანახვაზე ჯერ ხომ ჩემი სტაჟიორება გამახსენდა, ამეწვა მთელი კუჭ-მუცელი და მერე თოთოუელზე დავიწყე ძებნა-ძიება, რამდენად გამძლე იქნებოდნენ სისტემისთვის, რამდენად ამტანები, რამდენად კარგი იჯავაზრი და სოციალური სტატუსი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, სტაჟიორებს ადვილად გაუვაე და მათაც თავისიანად აღმიქვეს. უფროსმა რომ დაანაწილა და გავიდა, უკვე გასაუბრებებით, შიდა გადაძახილებით გავერკვით, ვინ ვინ იყო და ვინ რას წარმოადგენდა, ყველა სტაჟიორი პოზიტიური ახალგაზრდა, ოდნავ დაჩაგრული და ცხოვრებაზე გულაცრუბული მეჩენა.

ჩენი მეგობრობა ამ საერთო ნიშით დაიწყო...

დანიელ პენაკის „რომანივით საკითხავს“ კვითხულობდი, რომ სტაჟიორმა სუფომ შემომთავაზა, სასადილოში მათთან ერთად წაგსულიყავი, წიგნმა თითქოს ღიმილით შემომხედა, მიდი, კაცო, მე აქ გელოდებიო, კომპიუტერი ისევ ზერელედ ცისფრად მანათებდა, სადაცაა ბრაზი მოერეოდა, რომ არ ვეკარებოდი. სტაჟიორებთან ერთად ვსადილობდი, რომ მწვავე თემა წამოიჭრა.

— მგონი, ესენი არ აპირებენ ჩვენს აყვანას.

— მგონი, კი არა, არ აპირებენ, ჩემმა მეგობარმა თქვა, ასე, იცი, რამდენჯერ მიულიათ? 5-6 თვე ამუშავეს და მერე პანლური.

— შანსი არაა, ახლა ასე უხელფასოდ უნდა გამაუშავებებ და მერე გაგვიშვებებ?

— მონები ვართ იმენა, ხახვი მაინც მოგვცენ — ერთ-ერთი ცდილობს, იხუმროს.

— თუ ასე მოხდა, რამე უნდა გავაკეთოთ.

— დიდ თუასთან რომ მივიდეთ?

— კაი რა, რა უნდა ქნა, კაი რაა...

— ხო, მაგრამ მაინც შეიძლება სისტემის შიგნიდან შეფუცხუნება — წამომცდა მე.

როცა დასაქმებული ამოილებს ხმას და ასეთ რამეს იტყვის, ახალბედა, სამსახურს მოწყურებული ადამიანების ყურები მაშინვე მისკნ მიტრიალდება.

— როგორ? კითხულობს ერთ-ერთი პირობითად, რომელილაციდან მოდის ეს კითხვა, შეიძლება არც მოდის და მათი მოცეირალი თვალებიდან, საერთო მზერიდან მომესმა „როგორ“ თავის დროზე მე ხომ მარტო ვიყავი და ეს „როგორ“ ვერ ვიპოვე, ახლა კი ამ ახალგაზრდებს უფრო მეტი შეუძლიათ, ისინი ბევრი არიან, ისინი ჩემსავით დაჩაგრულდები და უსუსურები არ არიან, აგერ ეს გოგო მომხიბელელია, აგერ ეს ბიჭი ძლიერი ჩანს, აგერ ეს მაღალია, აგერ ეს მსუქნია, აგერ ეს დაბალი და მოხერხებულია, მოკლედ ამდენი და ასეთი ჭეკვიანი და ფიზიკურად გამოსადეგი სტაჟიორი უფრო მეტს იზამს, ვიდრე ერთი ნიკოლასი თავის ნაჭუჭში გამოკეტილი, მაშ, ჩემი მისია იდეების დარიგებაა, მე, როგორც ინოვატორულმა გენერატორმა, ჩემი აუსრულებელი იდეები უნდა გავცე, ისინი მითხოვენ.

— სისტემა უნდა დაინგრეს არ გამოვა, კი ზე-დავთ რა მივიღეთ მაგით, მეუბნება ერთ-ერთი, მაგრამ სისტემას რომ უნდა უჯიქო, ეგ შართალია, სხვა გზა უკვე არაა...

— კაი რა, შეუძლებელია, ახლა ასე თუ გაგვიშვეს. წუწუნებს გოგო.

— თქვენ შეგიძლიათ მათ რეპუტაციას დაარტყათ. ვაგრძელებ, არ ვჩერდები, ახლა უნდა გადმოვა-ლავო მოელი ფანტაზია, არა ნიკოლას, შეჩერდი, ნუ მოწამლავ ამ ბავშვებს. — ჰო, თქვენ შეგიძლიათ, ერთობლივად ისეთი იდეები გააქლეროთ, რომ სახ-ეები გახდებით, ყველა დაგიმახსოვრებთ, ყველგან მიგიღებენ.

— ასეთი რა უნდა გავაკეთოთ?

— თქვენ ისეთ იდეებს გააქლერებთ, რაც სახ-ელმწიფო პოლიტიკაა, რაზეც დიდი თუა ხშირად საუბრობს, ისეთ თემებს გააქლერებთ, რაზეც ტელე-ვიზიები დაირაზმებიან და, პირველ რიგში, თქვენ მოგხედავენ.

— და ეს ყველაფერი როგორ უნდა ვქნათ? მე-კითხება ოდნავ შეშინებული სუფო, მას აშკარად ურჩევნია, უსისხლოდ და ძალადობის გარეშე მიიღონ სამსახურში.

— ამან რაღაც იცის და არ გვეუბნება, ისევ ზუმ-რობით ცდილობს ნადორი, ვატყობ, რომ ის ფარულ საქმებს კარგად გააკეთებს.

— მართლა, მართლა რას გვეუბნები? სერიოზუ-ლად მეკითხება გაორგი, აი, ეს კი თავი უნდა იყოს ამ ამბობის, ამ ანშლაგის, ასეთი კონკრეტული და პირდაპირი ტიპები მევასება.

— იმედია, ტერორიზმისენ არ გვიბიძებ, ეს თან ზუმრობით ნათქვამია, თან მართლა გულისხმობს, ამ ბიჭს, მგონი რუტი ჰქვია, ამ ბიჭს დავაჯილდოვებ, ისეთებს ჩაიდენს.

— არა, გვითხარი, გვითხარი, რას ამბობ ერთი, თიონამაც გამოყო ფეხი, კი არა და, კუმ ფეხი გამო-ყოო, ასეთი ამბავი დაემართა ამ გოგოს, თუმცა ის ყველაზე მეტადაა წამსვლელი ამ მისიაზე, რადგან უსამართლობის საშინელი გრძნობა გამჯდარი აქვს ყოველ ნაბიჯზე.

— რა უნდა ქნათ და, ქვევით, დიდ სივრცეში, დიდ საკონსულტაციო სივრცეში, ხომ იცით? რამდენი ხალხი მოაწყდება ხოლმე ყოველ დღე?

— კი, მერე?

— მოკლედ, სანამ თქვენ სტაჟირებიდან გაგრშვებენ, და პანლურს ამოგქრავენ, ეს უნდა გააკეთოთ. ორი დიდი დინამიკი უნდა იშოვნოთ, საკონსულტაციო სახლში შემოიტანოთ, დაცვის ბიჭებს შეგიძლიათ უთხრათ რომ საქმეს სჭირდება და რომ აქ მუშ-აობთ, დებილები არიან ადვილად შემოგატანინებენ, ისეთ დროს უნდა ქნათ, როცა დიდი თუა იქნება, დიდი თუა რომ გვეწვევა. ეს ორი დიდი დინამიკი დადგით ცენტრში, შემაღლებულ ადგილას კი ავიდეს ერთ-ერთი თქვენგანი და მიკროფონში თქვას თქვენი მოთხოვნები, თქვით, რომ თქვენ ტერორისტები არ ხართ, გულწრფელად უთხარით ხალხს, მოსულ მოქა-

ლაქებს საკონსულტაციო სივრცეში, უთხარით, თუ როგორ აგიყვანეს სტაჟიორად, როგორ გამუშავებენ და როგორ გაგიშვებენ ერთ-ორ დღეში. მოწვეული უნდა გყვადეთ ტელევიზიები, სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფ-კავშირები, ყველა, ყველა უნდა დარაზმოთ, ყველას უნდა შეატყობინოთ, რომ ჩვენი სამსახურის დიდ საკონსულტაციო მოქალაქეთა მისაღებში იგეგმება დიდი ბრიფინგი, აჯანყებული და ამბოხებული სტა-ჟიორების ექსპრომტი! და რომ ერთ-ორ საათში ისინი იქ უნდა გაჩდნენ.

— და რას ვიტყვით ამ მირკოფონში? კარგი დავუშვათ ეს დინამიკები მოვალეანეთ, ხალხიც მოვი-წვიეთ, მერე რა უნდა ვთქვათ?

— რა უნდა თქვათ, და აი შენ! მივმართავ გაორ-გის, შენ მგონი შეძლებ. დავწეროთ ტექსტი რასაც წაიკითხაგ! აი ახლავე შეგვიძლია ეს დავწეროთ.

— დავწეროთ! — მეღრიჭება ნადო, რუტი კალამს ამოაძრობს, თიონა ფურცელს შემოაცურებს. მე ვი-წევბ ტექსტის კარნახს:

„ნიკოლასის სახელით!

ყურადღება მოქალაქეებო, ყურადღება ქალბა-ტონებო და ბატონებო! მოგმართავთ სტაჟიორები! მოგმართავთ, პარველ რიგში, თქვენ, დიდი თუა, შემდეგ კი მივმართავთ პრეზიდენტს, მივმართავთ სრულიად სამყაროს, ტელევიზიებს!

ნიკოლასის სახელით! ჩვენ აგვიყვანეს სტაჟიო-რებად 6-თვიან პროგრამაზე, უფასო სტაჟიორებაზე და დაგვპირდნენ სტაჟიორების მერე აგვიყვანდნენ სამსახურში! 6 თვე იწურება, თიოთეული ჩვენგანი პირნათ-ლად ასრულებდა დავალებას! თიოთეული ჩვენგანი მუშაობდა დაუღალავად და იმსახურებს სამსახურში აყვანას, შტატის გამოყოფას და შესაბამის ხელფასს! ჩვენ უარს ვამბობთ დასაქმებულებზე უფრო დაბალ ხელფასზე! ჩვენი 6-თვიანი უფასო სტაჟიორება არის საბაძი იმის რომ დაგვინიშნონ ანალოგიური ხელფას! ჩვენ მოვითხოვთ პასუხს! თქვენ წინაშე მოქალაქეებო! თქვენს წინაშე, ტელევიზიებო!

გავრცელდა ხმა რომ ყველას გაშვებას გვიპირებენ! წარმოგიდგნიათ? ჩვენ აქ 6 თვე ვამუშავეთ ხახვისა და ნივრის გარეშე! ჩვენ აქ ვიყავით და ვუძლებდით უშტურ და თვითმარქვია უფროსებს, ხახვისა და ნივრის გარეშე!

დაგვეხმარეთ, მოქალაქეებო! დაგვეხმარეთ, ტელევიზიებო! ჩვენ მოვითხოვთ საკანონმდებლო ცელიებას, ყველა უფასო სტაჟიორება უპირობო დასაქმების გარანტიად!

ხახვისა და ნივრის გარეშე ეგვიპტელი მონებიც არ მუშაობდნენ!

ნიკოლასის სახელით!

ხახვითა და ნივრით, ნიკოლასის სახელით!

არზა დაიწერა, ბავშვები გაოცებულები შემო-ცექრიან, მე გავჩერდი, ჩემივე ნათქვამის არ მჯერა, არადა ყველაფერი წყალივით წავიდა, კარგად აეწყო,

ამდენი იდეა საიდან, რომელ ფილმში ვნახე? თან საკ-
მაოდ შინაარსიანი იდეა! საკანონმდებლო ცვლილება!

— ახლა ამ ყველაფერს სჭირდება დეკორაცია! დეკორაცია იმისთვის, რომ თქვენ სამუდამოდ დარჩეთ
ისტორიაში, მეტიც, ისეთი რამ უნდა მოვიფიქროთ,
რაც გნაპირობებს თქვენს აკვანას სამსახურში,
დიპლომები! ხახვები და ნივრები!

— რაა? უკვე, როგორც გიჟს, ისე შემომცექიან
სტაჟიორები.

— ჰო, ნივრები და ხახვები უნდა გეკიდოთ
კისერზე, ხელში კი თქვენი დიპლომები დაიჭირეთ,
თქვენი უსარგებლო საუნივერსიტეტო დიპლომები,
ოდესმე ხომ უნდა გამოგადგეთ რამეში!

— ჰო, სტაჟიორები იღიმიან, მაგრამ მათ ღიმილს
მხარს არ ვუძავ, ამიტომაც ყველაფერი ნათქვამი
და დაგეგმილი მათში სრული სერიოზულობით
ითქვიფება.

ის დღე ისე გავიდა, სტაჟიორები აღარ მეხმან-
ებოდნენ, ჩემი ნალაპარაკევი ზედმეტად დამცინავად
აღიქვეს, ალბათ, შემეშვნენ, შემრაცხეს ჩვეულ გიყაბ.
ასეც ვიცოდი, ისევ მარტო დარჩი ნიკოლას, ისევ
შეეყუია ჩემს მაგიდა-ბუტყაში და ბებერი ფრანგი
ბაბუის, დანიელ პენაკის წიგნი გემრიელად მივას-
რულე...

წიგნები წიგნებს მისდევდნენ, მიმიხვდით ალბათ,
„ლუჟენის დაცვას“, „თეთრი ძალი“ მოჰყვა, „ლან-
საროტეს“ — „მარადი ქმარი“ და ასე მოვადექი ამ
დღეს, დღევანდელ დღეს ნაცრისფერს, ოქტომბრის
წვიმით მოთენთილს, მდინარის პირას ამერიკული
ოცნებასავით, ნიუ-იორკით და და-მმით.

სელინჯერის „ფრენი და ზუის“ უკვე ვასრუ-
ლებ, დღის ბოლო მოდის, ფრენიმ და ზუიმ მაგრა
დააყარეს ერთმანეთს, ზუი ღმერთზე ელაპარაკება
ფრენის და შეახსენებს, რომ ღმერთი იქ არის, სადაც
დედის გემრიელი მომზადებული სადილი, ამ დროს
ურუანტელმა დამიარა, საქუთარი თავი რომ არ
გამსხვებოდა, ასე არ იქნებოდა, მოკლედ, ფრენისთვის
ერთად მეც აკანკალები და ზუის ვეთანხმები,
ვეთანხმები, რომ ღმერთი აქაა, დედის მომზადებულ
კერძი, აი იქ, აი იმ წვინანში ტივტივებს და უნდა
გავყვე ზუის, ახლა რას მიკიუნებს, რომ რას ვხედავ!
ჩემს კომპიუტერ-ბუტყასთან პუპუნა აყუდებულა და
იღრიჭება.

გამოვერკვიე

პუპუნას უკან დიდი თუა დგას! სელენჯერი ზე-
ლიდან გამივარდა. გამეშებული წამოვდექი. პუპუნას
ბრაზით ეცვლება სახე და მომახლის: „რას აკეთებ?“
ხმას ვერ ვიღებ, ის კი ტრიალდება და დიდ თუას
ეუბნება: „ამას მერე მივხედავ“, ის პატარა წუწუ
ქალი კი უხმოდ დგას და სახე არ ეცვლება, არც
იღიმის, არც ბრაზობს, არც სევდიანობს, არც უხარია,
დაძანახეთ დიდო თუა, ქალდმერთო თუა, მაჩვენეთ
თქვენი რეაქცია, მითხარით რამე...

გადიან და სრულიად უსიცოცხლო, ადგილზე
ვეცემი, ჩემი საქმე წასულია, წიგნების გამო სამ-
სახურს დავკარგავ, ზუი იქიდან მიღიმის, ფურცლე-

ბიდან, თანამშრომლები კი უკვე მოსასამძიმრებლად
შემოუჩებულან ჩემს გარშემო, ხმას ვერავინ ვერ
იღებს, ისევ მე ვამობ:

— ახლა გამაგდებენ.

მართლაც, რამდენიმე წუთში უფროსის კაბი-
ნეტისკენ მიხმობენ. არ მახსოვს, როგორ დავტაცე
ხელი ისევ სელენჯერს, ხელში მიჭირავს და
ვფიქრობ რომ პუპუნას ავეხსნა, თუ რა მაგარი
წიგნია „ფრენი და ზუი“, მოვიფიქრე ისიც, რომ
ციტატები წავუკითხო, და ვუთხრა, რომ ღმერთი
ცოცხლდება, ისო ბრუნდება აქ, ოფისში, ბრუნდება
ამ წიგნის საშუალებით, სახარება! იქნებ რელიგიაზე
აპელირებამ გაჭრას, უფროსებს ხო ასეთი უცნაური
თვისება აქვთ, ღმერთის ბრძან სწამთ, საკრალურად,
ისე როგორც პირველყოფილებში! შეიძლება იმისიც
სწამთ, რომ ღმერთის ხელი ურევია ახალ ბიუჯეტში.

არ მახსოვს, როგორ შევედი პუპუნას კაბინეტში,
სადაც პუპუნა და თავად ის, ის, ჰო დიდი თუა
დამიხვდნენ, დიდი თუა ზის, პუპუნა კი დგას, დიდი
თუა იწყებს:

— თქვენი CV ვნახე, გიმუშავიათ მასწავლებლად,
ჩვენთან სტაჟიორიც იყავით, აგერ უკვე 7 წელია
პირნათლად ემსახურებით სახელმწიფოს, თქვენით
ძალიან კმაყოფილი ვარ, ამიტომ წიგნის კითხვის
გამო კი არ გათავისუფლებთ, არამედ გაწინაურებთ!
თქვენ იქნებით სტაჟიორების მთავარი ზედამხედველი,
მთელი სტაჟიორების უფროსი!

მე ვდგავარ, არა ამას დგომა არ ჰქვია, მიწიდან
ოდნავ მაღლა ავიწიე, სელენჯერი ისევ ხელში
მიჭირავს, ჩემი სიამაყე და ჩემი ღროც დადგა, მაწი-
ნაურებენ, უფროსი გაგხდები! შეიძლიანი მუშაობა
დამიყასდა, თვით დიდმა თუამ შემამჩნია! ახლა
ყველაფერი შეიცვლება! კარგი ხელფასი! კარგი
მანქანა! სახლსაც ვიყიდა! ჩემს ცხოვრებას ავიწყობ!
მე უფროსი ვხდები!

— გილოცავთ, ბატონო ნიკოლას, დიდი თუა
წამოდგება და ხელს გამომიწვდის. სელენჯერი
მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადამაქვს და
მარჯვენას დიდ თუას გავუწოდებ. ის-ისაა უნდა
გავუშვა ხელი, რომ:

ბბრრრუუუ

გარედან ისმის გამჭოლი ხმა, საკონსულტაციო
სივრციდან ხმაური ამოდის, მიკროფონი ჭყრიალებს,
ვიღაც ხმას ამოწმებს. სამივე, მე, პუპუნა და დიდი
თუა უფროსის ოთახიდან გავდივართ და მესამე
სართულის ჯებირიდან ვიყურებით, ქვევით კი ის
ხდება! ქვევით კი უკვე დინამიკები მოუტანიათ,
საკონსულტაციო სივრცეში, მოქალაქეთა მისაღებ
უზარმაზარ დარბაზში ხახვები და ნივრები ყრია,
სტაჟიორებს დიპლომები აუწვდენიათ მაღლა.
ჩემი გეგმა! ეს ხომ ჩემი ამბოხი იყო! ჩემ გარეშე
გადაწყვიტეს ასრულება? ხომ ვუთხარი, დიდი
თუა რომ მოვა, მაშინ-მეტე! და აი, ახლა ისინი
ამას აკეთებენ! ტელევიზიები შემოვარდნენ კარში,
კამერები აჩახახდა, მოქალაქეები იკრიბებიან სტა-



გზა, რომელსაც მივყავართ*

ჟიორნების გარშემო! გაორგი ავანსცენაზე ადის და ჩემს ტექსტს კითხულობს!

„ნიკოლასის სახელით! ყურადღება, მოქალაქეები, ყურადღება, ქალბატონები და ბატონები! მოგმართავთ სტაჟიორნები!“ მე გაოცებული ვტრიალდები პუპუნასგნ, ის გაბრაზებული შემომცერის:

— ეს რა ხდება!?

— სტაჟიორნებს არ მოსწონთ თავიანთი პირობები, ბრძნულად ასკენის დიდი თუა.

ქვევით გაორგი განაგრძობს არზის კითხვას: „ნ თვე იწურება, თითოეული ჩვენგანი პირნათლად ასრულებდა დაგალებას! თითოეული ჩვენგანი მუშაობდა დაუღალავად და იმსახურებს სამსახურში აყვანას“...

დიდი თუა ჩემკენ ტრიალდება:

— მაშ ასე, ბატონო ნიკოლას, თქვენი პირველი დავალებაც უფროსის რანგში! მოაგვარეთ ეს ამბოხი! და მშორდება, პუპუნა უკან გაეკიდება დიდ თუას, მე ვტრიალდები ჯებირისკენ და ვუცურებ სცენას.

„ხახვისა და ნივრის გარეშე ეგვიპტელი მონებიც არ მუშაობდნენ!“ ყვირიან ერთად სტაჟიორნები, დიპლომებს ხელში აფრიალებენ, მოქალაქეები ტაშს უკრავენ, კამერები ყველაფერს იღებენ, სხვადასხვა რაკურსით, გავგიმული უფლებადამცვლები სეირით ხარობენ, გულანთებული სტაჟიორნები ყვირიან:

„ნიკოლასის სახელით! ნიკოლასის სახელით!

ხახვითა და ნივრით, ნიკოლასის სახელით!“

კისერზე ჩამოკიდებულ ნივრისა და ხახვის აცმებს მოიხსინან და ჰერში ისვრიან, დიპლომებსაც ჰერში ააფრიალებენ, დომხალია, ვიღაცამ უნდა დაალაგოს ეს არეულობა! ვეუბნები ჩემს თავს, თან მსიმოვნებს, რა ლამაზი ამბოხი მოვაწყევ! ხელში ისევ სელენჯერი მიჭირავს, ჩემი წიგნებო, სადამდე მიმიყვანეთ, ეს ყველაფერი საიდან დაგროვდა, საიდან გაიძევა? მოქმედების დროა!

ახლა?

ახლა რა უნდა ვქნა? ხომ არ ჯობს, შევუერთდე და ჩემივე გეგმას ჩავუდგე სათავეში? როგორ, მე ხომ ახლა მათი უფროსი ვარ, სიტუაცია უნდა დავაწყიარო, ყველაფერი უნდა მოვაგვარო! კი, მაგრამ მათ ვუდალატო? თუ თავს უნდა ვუდალატო, ამდენწლიანი მუშაობით უფროსობა მოვიპოვე. ახლა რა ჯანდაბა უნდა ვქნა? ვინ ვარ? როგორი ვარ? მეამბოხე თუ სისტემის შეილი?

„იღ კონფორმიზმო“ თუ „მეოცნებენი“?

ოი, ბერტოლეტი!

ოი, შე იტალიელო გარეწარო!

ოი, გვახარია!

ოი, გვახარია!

* გილა — „გილა“, ნაგულისხმევია ქართული სახელი „გელა“, ამ ნოველაში ქართული სახელების კომიკურ ვარიაციებს წარმოვადგენ, ასე რომ, ყველა ქართულ სახელს სახუცლილს შეხვდებით.

დილიდან წვიმდა, მოთოვა კიდეც, ნაძვებზე თოვლი მიყინულიყო და ტალახისფერი მიწა პრიალებდა, სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. მამა იაკობმა მანქანა ეკლესის ეზოში გააჩერა და ტაძარში შევიდა. შიგნით თბილოდა, ყველგან ადამიანები იყვნენ, ზოგი ჩაფიქრებული სახით კედელს მიყრდნობილი იდგა, ზოგი ლოცულობდა და ზოგი კი ერთმანეთში ჩუმად საუბრობდა, აქც, ღვთის სახლში, ადამიანი ჩვეულებრივად ცხოვრობდა.

იაკობი საკმაოდ მაღალი კაცი იყო, ორმოცს გადაცილებული, სახეს მუქი ფერის წვერი უმშვენებდა, ალაგ-ალაგ შევერცხლილი. ახალგაზრდობაში მისთვის რომ ეთქვათ, წლების მერე სასულიერო პირი გახდებიო, მაშინ ალბათ სიცილით მოკვდებოდა. ერთ დროს სპორტში სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია, ჭიდაობაში ჩემპიონი გახდა. ოცდახუთს რომ გადააბიჯვა თითქოს ცხოვრებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. იმ პერიოდში საკუთარ თავს ხშირად ეკითხებოდა, რა აკლდა, სინამდვილეში რა უნდოდა, მაგრამ პასუხი არ ჰქონდა. ღმერთს მთელი გულით სთხოვდა, რომ მისთვის ის გზა ეჩვენებინა, რაც ჰემ-მარიტ ბერძიერებამდე მიიყვანდა. ერთ ძველ ნაცნობს შეხვდა, რომელმაც მოუყვა, რომ ცოტა ხნის წინ ერთ მონასტერში დროებით როგორ იცხოვრა და რა კმაყოფილი იყო. ეს აზრი გონებაში მჭიდროდ ჩაებეჭდა, მერე დიდხანს არ უფიქრია, სადაც დადიოდა იმავე ეკლესიში მივიდა, მამაოს დახმარება სთხოვა და ასე დაიწყო... მას მერე ყველა საფეხური გაიარა და მოძღვარიც გახდა.

საღამოს ლოცვა ჩაატარა, ძალიან დაღლილი იყო. ეკლესის ეზოში გამოვიდა, თოვდა. საღამოს ლამპიონები აანთეს, ყველაფერი შეუწევა აბრჭყვიალდა. ქათქათა თოვლში გახვეული ყვავილების ბუჩქები დიდ გუნდებს მოგაგონებდათ. იაკობი ეზოს კუთხეში გრძელ ხის სკამზე დაჯდა. ტანსაცმელი

ტანზე მჭიდროდ შემოიჭირა. სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ცოტა ხნით თვალები დახუჭა. მილ-ბურანში იყო, რომ უეცრად იგრძნო, დათბა, თვალები გაახილა და რაც დაინახა, დაჯერება გაუჭირდა. ტრიალ მინდორზე იდგა, ცაზე მზე ჭახჭახებდა, ჩიტები ქლურტულებდნენ, არსად ადამიანის ჭაჭანება არ იყო. დაბლა დაიხარა, ბალახი მოწყვიტა და ხელში გასრისა, ნამდვილი იყო, არაფერი არ ეწვენებოდა. გული მოულონტელად შეუტოკა, მთელი ტანით მიტრიალდა და წინ აღმართული ტაძარი დაინახა. ეკლესიის გვერდით ახალგაზრდა კაცი იდგა და უღიმოდა, გარშემო უცნაურ სინათლეს ასხივბდა, ხელშიც რაღაც ეჭირა, შეტრიალდა, ტაძარში შევიდა და გაუჩინარდა. იაკობმა ფეხი გადადგა და მისკენ წავიდა, მაგრამ ვერ მოუახლოვდა, მანძილი მასა და ეკლესიას შორის არ ილეოდა, მირბოდა, მაგრამ ამაოდ. მერე გაჩერდა, სასოწარკვეთილმა თავი ჩაქინდრა, როცა გასწორდა და ირგვლივ მიმოიხედა, ყველაფერი გაქრა. ისევ იგრძნო, თოვლი ხელებზე და სახეზე როგორ დნებოდა. სკამზე იჯდა, მაგრამ ისეთ დაღლილობას გრძნობდა, თითქოს მართლა ერბინოს, გაოფლილს მთელი სხეული უხერდა.

— ნუთუ მომეჩენა? არადა ის ტაძარი მეცნობა, მაგრამ, საიდან? — ტვინში სისხლი მოაწვა, გული ბაგა-ბუგით უცემდა, ყველაფერი იმდენად ცხადი იყო, ვერ იჯერებდა რომ მოელანდა, ხელებს დახედა, ბალაზის კვალი ისევ ეტყობოდა, დასუნა, სუნიც იგრძნო.

ორი დღე გავიდა. ეკლესიაში, საკურთხევლის გვერდით, მარჯვენა მხარეს, რამდენიმე სკამი იდგა, ეკლესიის მსახურები აქ წმირად ისხდნენ ხოლმე, წირვის შემდეგ ისევენებდნენ და საუბრობდნენ.

ახალგაზრდა მამაკაცი მოუახლოვდა. ერთი შავანაფორიანი ბერი წამოდგა, მამაშვილურად გადაეხვია და დალოცა.

— ეს მამუკა, ჩემი დისმენილი, — გააცნო ახალმოსული, — დაასრულე? — მერე ისევ მამუკას მიუბრუნდა.

— კი, იმედია არაფერი არ გამოგვრჩა და ყველა ტაძარი აღვნუსხეთ, — მამუკამ თავი დაუკრა, მერე ჩანთიდან სქელი, პრიალაყდიანი წიგნი ამოილო.

— რა წიგნია? — ვიღაცამ იკითხა.

— წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების კატალოგი, ილუსტრირებული, თან დართული ინფორმაციით, ვინ ააშენა, როდის, მოკლედ ყველაფერი, — აუქსნა მამუკამ.

წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, იაკობმა ღიძილით ჩამოართვა, მოეწონა, გადაფურცლა. ჩანდა, მართლაც დიდი შრომა ჩაედოთ. ერთ ადგილს დიდხანს შეჩერდა და იგრძნო სისხლი ძარღვებში როგორ გაეყინა. მოკლე ინფორმაცია წაიკითხა: „ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, ადრეული მე-11 საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი, სოფელი ილორი, ოჩამჩირის რაიონი. ერთნავიანი ნაგებობა, რომელსაც ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მხარეს მინაშენები აქვს. ჯვარ-გუმბათოვანი, ერთი გუმბათით. ახლაც მოქმედია.“

ეს სწორედ ის ადგილი იყო, მოელანდა, თუ ცხადად ნახა.

— „ეს იყო, ეს! აქ შეცდომა გამორიცხულია, და ის ახალგაზრდა?... ის ხომ წმინდა გიორგი იყო, ხელში შები ეჭირა!“ — გონებაში ხმა უკიოდა. მამუკას ძალდატანებით გაუდიმა და გარეთ გავიდა.

* * *

საპატრიარქოს მოსაცდელში, დიდ ხის სკამზე, თავჩაქინდრული იაკობი იატაკს მიშტერებოდა. გონებაში სიტყვებს ერთმანეთზე აბამდა, უკავშირებდა, უნდოდა, რომ აზრი ბოლომდე და ნათლად ჩამოეყალიბებინა, მაგრამ თავში ნამდვილი დომხალი ჰქონდა.

ფიქრი ახალგაზრდა მონაზონმა შეაწყვეტინა.

— მისი უწმინდესობა გელოდებათ!

მძიმე ხის კარი გააღეს და დარბაზში შევიდა. პატრიარქს რომ მიუახლოვდა და მის ნათელ სახეს შეხედა, მყისვე, ინსტიქტურად მუხლებზე დავარდა და ხელზე ემბორა, სიმშიდებ მოიცვა.

— ღმერთმა დაგლოცოს, — უწმინდესმა თავზე ხელი დაადო და გაუდიმა.

მხრებში მოხრილი იაკობი მის გვერდით სავარძელზე ჩამოვდა. მოყოლა დაიწყო, არეულად ლაპარაკობდა. პატრიარქი დაბლა იყურებოდა და ყურადღებით უსმენდა, უცებ თავი ასწია და თვალები სახეში შეანათა:

— ანუ, აფხაზეთში გინდა წახვიდე?

— დიახ, — ნერწყვი ძლივძლივობით გადაყლაპა, — ეს ჩემი ხევდრია, უფლისგან ბოძებული, რომელიც უნდა შევასრულო, საფრთხე? არა, არ მეშინია!

— გული გალაპარაკებს, თუ გონება? — ჰკითხა უცებ უწმინდესმა.

იაკობმა თავი დახარა, რთული შეკითხვა იყო, ძალიან რთული.

— როცა დედა ჩემზე ორსული იყო, იქ ნათესავთან ისვენებდა, ადრეული მშობიარობა დაეწყო. სუსტი დავბადებულვარ, ამიტომ გადაწყვიტეს იქვე მოვენათლე. ილორის წმინდა გიორგის ტაძარში გავრჩისტიანდი. მას მერე იქ აღარ ვყოფილვარ. მხოლოდ ერთი სურათი შემომრჩა, ტაძრის ეზოში, დედას გულზე ვყავარ მიხუტებული. ერთი რამ ვიცი, ღმერთს ასე სურს... თქვენი კურთხევის გარეშე კი იქ ვერ წავალ!

უწმინდესმა თავისი ნათელი სახე მისკენ მიატრიალა, თბილად, მზრუნველად და ამასთანავე ჩაფიქრებულმა გაუდიმა.

* * *

მუჯლუგუნმა გამოაღიძა. გადატრიალდა და ზევით აიხედა, თავს წამომდგარი აფხაზი დაინახა, რომელსაც ერთ ხელში მაკარონით სავსე ჯამი ეჭირა და მეორეში კი პლასტმასის გადაჭრილი ბოთლი, რომელიც ჭიქის მოვალეობას ასრულებდა.

— ხა ეშ, — უთხრა, საჭმელი იქვე მდგომ პატრიარქა მაგიდაზე დადო და გავიდა.

იაკობი საწოლზე წამოჯდა. ფეხზე მიბმულმა ჯაჭვმა გაიყდრიალა, სიცივისგან ააცახცახა. შიოდა, მაგრამ ჭამა არ უნდოდა, არც ჩანგალი, არც კოვზი, ხელით უნდა ეჭამა. მარჯვენა ხელი ანაფორაზე აისვ-დაისვა და მაკარონი აიღო. საშინლად უგემური იყო, უძარილოდ მოხარმული, ერთმანეთს მიწებებული. სამი ლუკმა გაღეჭა, მაგრამ მერე დაიჯღანა, მადა საერთოდ დაეკარგა.

— ღმერთო, მომეცი ძალა რომ არ ყველაფერს გავუძღლო, — ჭერს ახედა და თავი უფალს შეავედრა.

წარმოდგა. ფეხზე მიბმული ჯაჭვი შორს გადაადგილების ნებას არ აძლევდა. ჭერთან პატარა სარკმელი იყო, ბადე გაეკრათ, დღის შუქი ძუნწურად შემოდიოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა სად იყო. სარდაფს გავდა. კედელთან ძველი, დაცარიელებული კარად იდგა. საწოლი იატაკში ჩაეცემენტებინათ. ძველი, ჭუჭყიანი ლეიბი და ასევე ჭუჭყიანი გადასაფარებელი მისცეს. საჭმელი დღეში ერთხელ შემოჰქონდათ ხოლმე და წყალიც, ისიც ნამდვილი ჭიქით კი არა, გადაჭრილი პლასტმასის ბოთლი. ძალიან მოწყურდა. წყალს შეხედა, ჭიქა სუფთად არ გამოიყურებოდა, მაგრამ უცებ გონებაში თავისი ტუსაღობის დღეები გადათვალა:

— რამდენი დღე, რაც აქ ვარ? უკვე ოთხი, ესე იგი დღეს 19 იანვარია, ნათლისლება! დღე, როდესაც იქსო მდინარე იორდანეში მოინათლა. დღეს ყველა წყალი ნაკურთხია და სუფთა! — შვებით ამოისუნთქა, პირჯვარი გადაისახა და დალია. ისეთი გრძნობა დაუუფლა, რომ ასეთი გემრიელი წყალი არასოდეს დაელია.

წამოწვა და ყველაფერი თავიდან გაიხსენა.

საზღვარი მარტივად გადაიარა, აქ ჩამოსვლას გართულებები არ მოყოლია. ილორის წმინდა გიორგის ეკლესია ადვილად იპოვა, თბილად მიიღეს. პირველმა დღემ შშვიდად ჩაიარა. ტაძართან ახლოს პატარა ოთახი დაუთმეს. ყველაფერი თითქოს მშვიდად ჩანდა, მაგრამ მეოთხე დღეს ვიღაცები მოვიდნენ, ტაძრიდან ძალად გამოიყვნეს, თვალები აუხვიეს და ხელზე ბორკილები დაადგეს. არ ახსოეს რამდენ ხანს ატარეს და ბოლოს აქ, ამ ჯურდმულში გამოკეტეს. სულ ოთხი იყვნენ, მათი სახელების გახსენება სცადა: დაური, რუსლანი, დღეს საჭმელი რომ მოუტანა, ოთარი და კიდევ ერთი შავწვერიანი — ჯამალი.

ჩამოსვლამდე მხოლოდ ხილვაზე ფიქრობდა და ნატრობდა, რომ როგორმე აქამდე ჩამოეღწია, უკვე აქ იყო და ასეთი განსაცდელი. რას გრძნობდა, ბრაზს, სინაულს? არა, უფრო ეჭვი ეპარებოდა. „იქნებ რაღაც ვერ გავიგე და არასწორად მოვიქცი, მაგრამ ერთია, მე ეს უნდა გავიარო, ან გადავრჩები ან არა! ღმერთო, რატომ? რისთვის?“ — სასოწარკვეთილება იგრძნო. გული ტკივილისგან შეექუმშა, ლოფაზე ცრემლი ჩამოუგორდა. წამოჯდა, სახე ხელებში ჩარგო.

— უფალო, ვხვდები, რასაც გრძნობდი, როცა ჯვარზე გაკრული მარტო, ყველამ მიგატოვა! მაპა-

ტიე, რომ გედრები, მაგრამ, რატომ მიმატოვე, რატომ? მითხარი, მანიშნე, რომ ჩემთან ხარ!

არ ახსოვს, ასე რამდენ ხანს იჯდა, რომ უცებ თავზე რაღაც მსუბუქად დაეცა, თმაზე ხელი მოისვა და მუჭაში რაღაც მოიქცა. დახედა, ეს ბუმბული იყო, სისხლისფერი ჩიტის ბუმბული.

გაოცებულმა მიმოიხდა და ფანჯრის კუთხეში პაწაწინა გულწითელა ჩიტუნა დაინახა. მოეჩვენა, თითქოს უღიმოდა.

— კი მაგრამ, აქ, როგორ შემოფრინდი? ფანჯარაზე ხომ ბადეა გაკრული, — და უცებ გაოგნებულმა შესხახა, — უფალო! ეს შენ ხარ!

მუხლებზე დავარდა და შუბლი იატაქს მიადო, როცა წამოიწია, ჩიტი იქ აღარ იყო. წარმოდგა, ენერგიის მოზღვავება იგრძნო, ახლა მხოლოდ ერთი რაღაც უნდა გაეკეთებინა, უნდა ელოცა და უნდა ერწმუნა. ლოცვანი აიღო, ჯიბეში დახვეული ოლარი და სამაჯურები მოძებნა. დაჭერისას ყველა ნივთი ჩიმოართვეს, მხოლოდ ესენი დაუტოვეს. ამწამს მათი მაღლიერიც კი იყო, რომ ბოლომდე არ გაწირეს.

დაახლოებით ნახევარი საათი გავიდა, მაგრამ იაკობი დროს ვერ გრძნობდა და ისიც ვერ დაინახა, კართან ვიღაც როგორ მივიდა და ჭუჭრუტანაში შეიხდა. სარდაფის კარი ჭრიალით გაიღო და ისევ ის შემოვიდა, წელან საჭმელი რომ მოუტანა — რუსლანი. ჟღალი თმით და უაზროდ მოშვებული წვერით, ღია ცისფერი თვალებით, ღაქიანი სამხედრო ქურთუკი ეცვა, სუნიც უდიოდა, ოფლის და თამბაქისი ერთად არეული. გაბრაზებული საჩით მიუახლოვდა. იაკობი გამტერებული შეპყურებდა. რუსლანმა ლოცვანი უხეშად წაართვა და შეუბრვირა. იაკობმა თავი უსუსურად იგრძნო, ეგონა ბოლმა დაახრინობდა. აფხაზმა გაცეცხლებულმა დაუყვირა:

— Бога нету, ты понял? не было и не будет!

რუსლანი გინებით გავიდა და კარი ხმაურით გაიხურა. ცოტა ხანში იაკობს მოესმა კამათის ხმა, ოღონდ სიტყვები ვერ გაარჩია. მერე უცებ გაჩუმდნენ. მიხვდა, ეს სიჩუმე რაღაცას მოასწავებდა, კარი ისევ გაიღო. ზღრუბლთან შავწვერიანი კაცი იდგა — ჯამალი, შავი გადაბმული წარბები ჰქონდა და უხეში წვერით დაფარულ სახეზე დამესავთ შავი თვალები უპრიალებდა. ხელში იაკობის ლოცვანი ეჭირა, გაუწოდა და უთხრა: — на, вазми, молитва ето светоё!

გაოცებულმა მამაომ ჩამოართვა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა. ჯამალი გავიდა.

დიდი დრო არ გასულა რომ სარდაფის კარს ხელი ჰქონები და ისევ რუსლანი მოვიდა. თვალებში ცეცხლი ენთო.

— Я тебе покажу щас Бога! — ბოროტად ჩაიქილა, შემდეგ უხეშად შეაჭრიალა, თვალები აუხვია, ხელბორკილები დაადო და ხელი ჰქონა.

იაკობი დაემორჩილა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. კართან ფეხზე რაღაცას წამოკრა და

წაიბორძიკა. რუსლანმა ჩხუბით წამოაყენა, ხელი მოკიდა და ძალით სადღაც გაიყვანა. ტუსალი ვერაფერს ხედავდა. კიბეებზე ავიდნენ, მერე სადღაც დაახლოებით სამი მეტრი გაიარეს და მიხვდა, შენობიდან გამოვიდნენ, იანვრის სუსნი პირდაპირ სახეში ეცა. თან ქარიც გამეტებით დაქროდა და არაფერს და არავის ინდობდა. იაკობი რეგინის მიღს ჯაჭვით მიაბა და თან დასცინდა:

— რაო, შენმა ღმერთმა, არ გიშველიო, ალბათ შენვის არ სცალია და უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს. აქ იდგები, სანამ არ მიხვდები, რომ შენი ღმერთი აქ არ არის, აქ ჩვენ ვართ ღმერთები და ჩვენ გადავწყვეტ, შენ იცოცხლებ თუ არა!

იაკობს სიბრაზისგან ძარღვებში სისხლი აუდუდლა. ახალგაზრდობაში რუსლანისნაირ პიროვნებას სიამოვნებით ამოუნაყვავდა ცხვირს. ყველაზე მეტად ყოველთვის უსამართლობა აცოფებდა, თუმცა რაც სასულიერო პირი გახდა, მას მერე თავს უფრო მეტად და უკეთ აკონტროლებდა, მაგრამ ამ წამს ის უბრალოდ ადამიანი იყო. ქარი თოვლს ზედ აყრიდა, ყინავდა. აკანკალდა, კბილებს ერთმანეთს უჭერდა, ნელ-ნელა სიცივებ მთელს სხეულში დაუარა. სცადა სხვა რამეზე უფიქრა, თვალებაზეულმა თავი მოატრიალა, იქნება რამე დაენახა, მაგრამ ამაოდ. ყური დაუგდო, არც არაფერი ესმოდა, არც მანქანის, არც ადამიანების ხმა, უკაცრიელი ადგილი ჩანდა. უნდოდა, რომ მზეზე, სითბოზე უფიქრა, მაგრამ არ გამოსდიოდა, თითქოს რუსლანმა ფიქრიც აუკრძალა.

მისი ტანკვა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ მისდა მოულოდნელად თოვლში ფეხის ხმა მოესმა. იმ უცნობმა რუსლანს მკაცრად მოსთხოვა ტყვე უკან, საკანში დაებრუნებინა, მიხვდა, ეს მათი მეთაური იყო — დაური. რუსლანი მხოლოდ მას ემორჩილებოდა. იაკობი ისევ სარდაფში შეიყვანეს. საწოლიდან გადასაფარებელი აიღო და შიგნით გაეხვია, კანკალებდა.

ხმაური მოესმა, გაიხედა, კარში დაური იდგა. როცა პირველად ნახა კი კარგად დაამახსოვრა, მაგრამ ახლა უფრო დააკვირდა. მაღალი, შავი გახუნებული შარგალი ეცვა და შავი, ხელოვნური ბეწვის ჟილეტი, ზემოდან, ქურთუგზე გადაცვა, თავზე შავი ფერის, ნაქსოვი ქუდი ეხურა. წვერი მოკლედ შეეჭრა, მიბნედილი მზერა პქნდა, აი ისეთი, ნარკომანებს რომ აქვთ ხოლმე. ხანდახან კეხიან ცხვირს იფხანდა ხოლმე, სახეზე არაჯანსაღი მოყვითალო ფერი გადაჭრავდა.

— შენს მოკვლას არ ვაპირებთ, ფულს მოიტანებ და გაგიშვებთ, — უთხრა ტყვეს მოკლედ. წასვლას აპირებდა, რომ მამაომ მოულოდნელად ჰქონდა:

— სახეზე ასეთი ფერი რატომ გაქვთ? ჰქონდა გაქვთ? გინდათ ჯანმრთელობის ლოცვებს წაგიკითხავთ? — საოცარი იყო ამის შეთავაზება.

გამტაცებელს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა, ასეთ რამეს ნამდვილად არ ელოდა, და თან ვისგან.

— რატომ? მერე ეს რას შეცვლის?

— მთავარია რწმენა, ის კი ყველაფერს ცვლის!

— მე რწმენა არ მჭირდება, — ირონიულად ჩაიცინა დაურიმ, — იმიტომ რომ, არაფრის და არავისი არ მეშინია, არც იმ შენი ღმერთის, თან ის კი ისე შორსაა, რომ მაინც ვერაფერს იზავს!

— ვიცი, რასაც ამბობთ, — აკობმა კვერი დაუკრა, დაუყვავა, — ურწმუნო ადამიანს არაფრის არ ეშინია, იმიტომ, რომ ღმერთის რიდი და შიში არა აქვს!

დაურიმ არაფრი თქვა. ერთმანეთს მიშტერებულები იდგნენ.

— კარგი, წაიკითხე, მე ხომ ეს ყველაფერი არაფრი არ დამიჯდება! — დამცინავმა ღმიმილმა სახე მოუღრიცა და სწრაფად დატოვა იქაურობა.

დღები გავიდა. მამა იაკობი ყოველდღე ღოცულობდა და ყველა ლოცვაში ღმერთს დაურის ჯანმრთელობას აკედრებდა. რამდენიმეჯერ იგრძნო, რომ კართან ვიღაც იდგა და უსმენდა, გახშირებული სუნთქვა ესმოდა. რატომ აკეთებდა ამას? ცდილობდა, და რაც მთავარია, ეშინოდა, რწმენა არ დაეკარგა. ყოველ ცისმარე ღღეს როცა იღვიძებდა, ღმერთს ეველრებოდა, რომ მისთვის გამძლეობა მიეცა: „ჩემი ცოდვებისთვის ვარ აქ, ამიტომ, იმას გავაკეთებ, რასაც ყოველთვის ვაკეთებდი, ჩემი მოვალეობა და საქმე, ესაა მთავარი.“ ეს მტკიცელ სკეროდა, ამიტომ შეეცადა თავის ამ მდგომარეობას შეგუებოდა. ღღეში ერთხელ მისთვის საშინლად უგემური საჭმელი შემოჰკნდათ ხოლმე, ცოტას ჭამდა, მხოლოდ პურს და წყალს. ძალიან გახდა, თვალები ჩაუშავდა, ტუჩები დაუსკდა და კანი გამოუშრა, წვერიც ჩამოეზარდა, სახეზეც ფერი დაკარგა. თოვდა და თოვდა, მისი ფანჯრიდან შუქი აღარ შემოდიოდა, თოვლმა და ყონვამ სულ დაგარეს. ძილიც უჭირდა, მხოლოდ ცოტა ხნით თუ მიღულავდა თვალებს და მერე გაუსაძლისი სიცივისგან ისევ ეღვიძებოდა, მაგრამ ლოცვა არ შეუწყვეტია, მხოლოდ ამ დროს არ ციოდა ხოლმე.

უკეთ თებერვალიც მოვიდა. საწოლზე წამოწოლილი იაკობი თავს შეუძლოდ გრძნობდა. ღილით ადგა და საკანში გაიარ-გამოიარა, მაგრამ სისუსტემ მაინც სბლია. ლოცვის თავიც არ ჰქონდა. თვალები დახუჭა. კარგად გაიგო, კარი გააღეს, არ გადატრიალებულა. ვიღაცები შემოგიდნენ, დახედეს და ისევ გავიდნენ. თვალები მიღულა, ჩასთვლიმა, რომ ისევ კიდაცა თავს დაადგა და ქართულად უთხრა:

— ადექი და წამოდა.

იაკობმა თვალები გაჭირვებით გაახილა და შეხედა. ეს ოთარი იყო, ერთ-ერთი გამტაცებელი. დაემორჩილა. თვალები აღარ აუხვიეს, კიბეებზე ავიდნენ და ღიღ თახში შევიდნენ. ღიღ ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, იქვე დაჩეხილი სკამები და თაროები ეყარა, გარშემო კი ერთი გრძელი ჩუქურთმიანი დივანი და ორი სავარებელი, სავარძელში დაური იჯდა, გრძელი ფეხები წინ გაეშხლართა, იაკობისკენ არც გაუხედავს.

— მოდი, და ცოტა გათბი, თორემ თუ მოკვდები, ფულს ვინდა გადაგვიხდის, — რუსლანმა გადაიხარსარა და გვერდით გადაჯდა, ადგილი დაუთმო.

იაკობი ცეცხლთან ახლოს დაჯდა და გათოშილი ხელები მიუშვირა, სიცივისგან კანი ჰქონდა დამსკდარი. ცეცხლის ტკაცუნის ხმაშ ბავშვობაში გადაიყვანა, როგორი ბედნიერი იყო მაშინ. გული დაეწვა და რაღაც ჩასწყდა შიგნით, სახლი მწარედ და ტკივილით მოენატრა. ცრემლიანი თვალები უჩუმრად მოიწმინდა.

ჯამალმა პატარა ჭიქებში არაყი დაასხა, ერთი იაკობსაც მიაწოდა. მამაო ჯერ არ ართმევდა, მაგრამ მერე ოთარმა უთხრა:

— დალიე, ცოტას გათბები.

იაკობმა არაყი უცებ გადაპკრა, მშიერ კუჭზე სასმელმა მთელი გულ-მუცელი დაუწვა, დაიჯდანა, ნერვიულობისგან შუბლი მოისრისა. სასმელი მოეკიდა და წამით თავბრუც დაესხა.

ჯამალმა ცეცხლში ორი ფიცარი შეაგდო და შეიკურთხა:

— ათბობდეს მაინც, ამის დედაც, ყველაფერი დავწივთ რაც დასწავი იყო.

— აბა, — რუსლანი უცებ გამხიარულდა, — როიალი მაინც არ დაგვეწვა, ახლა ხომ დავუკრავდით შორბენს! — და თავისი ნათქვამით კმაყოფილმა გაიღრიჯა.

შორბენს კი არა შოპენს, შე იდიოტო! — კბილებში გამოსცრა დაურიმ, ეს პირველად იყო, ხმა რომ ამოილო. რუსლანი გაისუსა, უფროსის თვალების დაბრიალებაც საკმარისი იყო, ფაქტია, მას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

წაუზა რამდენიმე წამს გაგრძელდა, ბოლოს სიჩუმე ოთარმა გაარღვია:

— მახსოვს, ბავშვობაში დედას მუსიკაზე დავყავდი, ვერ ვიტანდი მუსიკის მასწავლებელს, სულ თითებზე მირტყავდა ხოლმე. მეც გაპვეთილებს ვაცდენდი, ის კიდევ დედაჩემს იბარებდა და მერე ორივენი მეჩხუბებოდნენ, — ღიმილით დაამთავრა, წარსულის გახსენება ესიამოვნა. ახლა რუსულად ლაპარაკობდა და როცა იაკობთან შედიოდა კი, ყოველთვის ქართულად.

— ქართველი ხართ? — ჰკიოთხა უცებ მამაომ.

ოთარის შეკითხვა არ ესიამოვნა, შუბლიც შეეჭმუხნა, აშკარა იყო ფიქრობდა, უპასუხა თუ არა.

— ნახევრად, დედა იყო ქართველი, მეც მამამისის სახელი მქვია.

— ახლა ცოცხალია? — არ მოეშვა იაკობი.

— არა, — მოიღრუბლა უცებ, — 1994-ში გარდაიცვალა, სიმსივნით. ისე ომის დაწყებას ძალიან განიცდიდა, როგორც ჩანს თავში ჰქონდა რაღაც და, — გულდაწყვეტილმა თვალები დახსარა. მერე უცებ იაკობისკენ მიტრიალდა და ქართულად ჰკიოთხა:

— სულელი ხარ, აქ რას მოდიოდი? — მთელი დაგროვილი ბოლმა ამოანთხია, ოღონდ ამწამს კონკრეტულად ვისზე ბრაზობდა, ვერავინ მიხვდა.

იაკობმა მოტკაცუნე ცეცხლს შეხედა, „რატომ ხდება ადამიანი ბოროტი? იმიტომ რომ უბედურია? მაგრამ რა დაშავა სხვამ, ვინც მისი შსხვერპლი ხდება. ამ ცოდვილ მიწაზე მწუხარება და სევდა უფრო მეტია, ვიდრე ბედნიერება და სიხარული და ამიტომა ამდენი ბოროტება, მაგრამ არაა, რა სისულელეა, - გონებაში გაბრაზდა, - ადამიანი თავად ირჩევს ცხოვრების გზას, მთავარია გაუძლო და გარჩევა ისწავლო, კარგის და ცუდის, მაგრამ ვის გულშიც სიბნელებ დაიდო ბინა და ვინც სულში ბოროტებას უშვებს, იქ სინათლე და სიკეთე მნელად შეაღწევს!“

ცრიდა, მერე კი გადაიღო, ციოდა. შუაღლისას ღრუბლებიდან ცოტა ხნით მზებ გამოიჭვრიტა და მერე ისევ დაიმალა. იაკობი სარდაფში ერთი ბოლოდან მეორეში დადიოდა, ცდილობდა გამთბარიყო. პირიქით, სიარულში კიდევ უფრო შესცივდა, საიდანაც ორპირმა ქარმაც დაუბერა. წამოწვა და აღიერა დაიფარა, ოზავ დათბა, ესიამოვნა, სცადა დაძინება, თვალები მიღულა, რომ კარის გაღების ხმა მოესმა. დაური მოვიდა. მის პირდაპირ დადგა.

— ისევ ლოცულობ... ჩემი ჯანმრთელობის...? — ძლიველივობით თქვა. იაკობს გაუკვირდა მისი დაძაბულობა, მერე თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

— უცნაურია, და ამას რატომ აკეთებ? — მართლა გულწრფელად აიჩეჩა მხრები.

— უცნაური რატომაა?

— იმიტომ რომ აქ ხარ, შენი გათავისუფლების ნაცვლად ფულს ვითხოვთ და ამის მერე მაინც?

მამაომ თავი ჩაქინდა, რთული იყო ახლა ამის ახსნა. „მაინც ვერ გაიგებს,“ — გაიფიქრა და ერთი ამოიხვეწება.

— კარგი, გარეთ გავიდეთ და იქ მითხარი, - მოულოდნელად გამტაცებელმა საოცარი რამ თქვა. იაკობს ფეხზე ჯაჭვი მოხსნა, მაგრამ თვალები არ აუხვია, მხოლოდ ხელებზე ბორკილები დაადო, ისიც წინ შეუკრა. თავად ავტომატი ეჭირა და ქამარშიც იარაღი ჰქონდა გაჩრილი.

შენობიდან გავიდნენ. მამაომ ხარბად მოავლო გარემოს თვალი. როგორც ჩანს ეს სახლი განმარტოებით იდგა, მართლაც, დიდი ჩანდა, ეზოთი და გარშემო რკინის ლობით. ადამიანის ჭაჭანება არ იყო. გარშემო მოები ეკრა, დასავლეთის მხარეს კი პატარა ტბა ჩანდა. აღარ წვიმდა, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი ატალახებულიყო. ჭიშკარი რომ გამოიარეს, იაკობი გაჩრიდა. დაურიმ ნიკაპით აჩვენა ტბისკენ წავიდეთო. ზამთარში ფოთლებშემოძარცვული ხეები თითქსდა აბუზულები იღენენ. ტბის ნაპირას მივიდნენ და გჩჩერდნენ. მაღალი ნაპირი იყო, რამდენიმე მეტრი, ადამიანი ჩაგარდნისას კისერს ნამდვილად მოიტეხდა. „აღბათ აქედან უნდა გადამდონს“ — გაიფიქრა იაკობმა და უცებ საკუთარი თავი ძალიან შეებრალა, მოუხედავად გადატანილი უბედურებისა, სიკვდილი არ უნდოდა.

— ლამაზი ადგილია სიკვდილისთვის, — თქვა უცებ იაკობმა და მეორეს სახეში შეხედა, — კარ-

გით, თქვენს კითხვაზე კითხვით გიპასუხებთ. იმ დღეს რატომ უბრძანეთ და ამიყვანეთ ბუხართან გასათბობად?

დაურიმ წარბები შეჭმუხნა, ფაქტია, არ მოეწონა მისი საქციელის ახსნა რომ სთხოვა, მაგრამ მერე დამცინავად გაუღიძა.

— ოთარი მოვიდა და მითხრა, რომ ცუდად იყავი, ჩამოვედი და როცა გნახე, ისეთი იყავი, აი ისეთი... როგორც სიკვდილა! — თვალები აუპრიალდა.

— და, რა იცით, სიკვდილი როგორია?

— ვიცი, ბევრჯერ მინახავს და მიგრძნია, — დაბოლმილს სახე მოეღრიცა და ცოტა ხმამაღლა გამოუვიდა, მაგრამ მერე ბოროტი ირონით დამატა:

— ოღონდ არა იმიტომ, რომ შემეცოდე, ჩემს ფულს ვუფრთხილდები და ამიტომ.

მამაოს ყელში რაღაც გაეჩხირა, გული ძალიან ეტკინა, იმიტომ რომ ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, სისხლით და ხორცით და ადამიანთა ბოროტებას ძალზე მტკიცნეულად განიცდიდა.

— გამოსასყიდი რამდენი მოითხოვეთ? — მომატე ბული გრძნობებისგან ხმა აუკანეალდა.

— ბევრი! — დაურის ხმა ექოსავით გაშალა.

— ქრისტე 30 ვერცხლად გაყიდეს და მე, ვინ ვარ, მასზე ძვირი რომ ვლირდე! — გაბრაზებულმა იაკომა მუშტები მომუწა.

— კარგი რა, მღვდელო, — დამცინავად და ბოროტად ჟღერდა დაურის ხმა, — ნუ ცდილობ, არ გინდა, ჩემს გადაკეთებას ან შეცვლას. ჩვენ გავყიდით შენს სიცოცხლეს და ამას ვერავინ ვერ დაგვიშლის, ვერც შენი ღმერთი და ვერავინ!

ამას რომ ამბობდა ტბის პირას მივიდა, ძალიან ახლოს და უცებ სველ, ტალახიან მიწაზე ფეხი დაუცურდა, ადგილს მოწყდა და ქვევით ჩავარდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ იაკობი ვერაფერს მიხედა. მოუახლოვდა და ჩაიხედა. დაურის ავტომატი ხელიდან გაუვარდა, იქვე, ხის გამოშვერილ ფესვებს მთელი ძალით ეჭიდებოდა. მამაომ მას ზემოდან რომ დახედა, მისი ძალიან შეშინებული თვალები დაინახა. ქვევით ნაპირზე უზარმაზარი ქვები ეყარა, უეჭველი სიკვდილი იყო, თუ ჩავარდებოდა. მერე სახლისკენ გაიხედა, რომ გაქცეულიყო, მართლა ვერ გაიგებდნენ, და თან ცოტა დრო ჰქონდა.

— „გაიქცი, წადი, ეს ხომ შენი შანსია, ეს აქ მოკვდება, თავს უშველე, ისინი ვერ გაიგებენ,“ — უწურჩულა ვიღაცამ იაყობს.

— „მართალია, მაგრამ შენ შეგიძლია მისი გადარჩნა, არა მარტო მისი სიცოცხლე, მისი სულიც შეგიძლია იხსნა!“ — უთხრა უზინარმა.

— „თუ გადარჩება, გვონია, დაგინდობს? თან რაც შენ დაგმართეს, იმის მერე კიდევ ფიქრობ ან ჰოჭმანობ?“

— „ხო, მაგრამ, ადამიანს თუ გასაჭირში მიატოვებ, შენ როგორი მღვდელი ხარ?“

— „ვინაა ადამიანი, ეს?“

ორი სრულიად საწინააღმდეგო აზრი თავში უტრიალებდა, ევონა ტვინი აუფეთქდებოდა, არადა

გაქცევა უნდოდა, ასეთი საშუალება და შანსი მეტი აღარ იქნებოდა. „მაგრამ რომ წავიდე, ხომ მოკვდება, რომც იყვიროს ისინი ვერ გაიგებენ, ღმერთო, ასეთი არჩევანის წინაშე როცა ხარ, რა უნდა მოიმოქმედო, რა უნდა გააკეთო!“ დაურის თვალებში შეხედა და ცოტა ხანს უფრუა, ისიც ელოდებოდა, მამაოს ხელში იყო მისი სიცოცხლე. ხეც არ ჩანდა ძლიერი, თან ამდენი ნალექისგან ფესვები დარბილებულ მიწას ადვილად მოსწყდებოდა. წამებში უნდა მიეღო გადაწყვეტილება. „რას იზამდა ქრისტე? რას? დაეხმარებოდა!“ — ყველა აზრს ამ, ბოლომ აჯობა, არადა ეს მისი მტერი იყო, ნამდვილი, სასტიკი და დაუნდობელი მტერი, მაგრამ მაინც...

— მოეჭიდე! — ტალახიან მიწაზე გაწვა და დაურის თავისი ბორკილებდადებული ხელები გაუწოდა და ჩასძახა.

გამტაცებელმა ხეს ერთი ხელი გაუშვა და მამაოს ჩასჭიდა, მეორეს გაშვებას ვერ ბედავდა, მაინც ბოლომდე არ ენდო, მაგრამ როცა იაკობის თვალები დაინახა... ორივეთი მოეჭიდა.

მამაომ გაჭირვებით ამოათრია, ბორკილების გამო ხელები ეტკინა და მაჯები მაგრად დაიზილა. დაური მძიმედ სუნთქვადა, თავდახრილმა, ჩუმად, მაღლობის მაგვარი ჩაიბუტებუტა. გაოცებული და შოკირებული გამომეტყველება სახეზე ეწერა. სახლისკენ უჩუმრად წავიდნენ, ვინმე უცხოს რომ დაენახა, არც იფიქრებდა, რომ ერთი ტყვე იყო და მეორე კი გამტაცებელი, უბრალოდ ეგონებოდა, რომ ორი მამაკაცი ერთად, წვიმიან და ცივ დღეს ერთად მიაბიჯებდნენ. იაკობი ახლა, მწამეს არც იმაზე ფიქრობდა, რომ ისევ იმ ცივ სარდაფში მოუწევდა ყოფნა, რაღაცნაირად საერთოდ არაფერზე არ ფიქრობდა. ადამიანი გადარჩინა და მორჩა. დაურის კი თავში დომხალი უტრიალებდა, შეპურებდა თავის მხსნელს და ფიქრობდა, იმაზე, რომ ის იაკობის ადგილას არ იყოტმანებდა, და მისი ტყვე ასე რატომ მოიქცა?

მამაო სარდაფში ჩაიყვანეს და კარი გადაკეტეს, იმ ღამეს ეძინა.

* * *

მეორე დილით, ადრე, ოთარი საჭმლის გარეშე შემოვიდა.

— ზემოთ უნდა გადაგიყვანო, იქ ისე არ ცივა, როგორც აქ.

კიბის უჯრედის გვერდით ოთახში შევიდნენ. ერთი დიდი ფნჯარა ჰქონდა, გარედან ფიცრები მიერათ, დღისითაც ბნელოდა, დღის შუქი მხოლოდ ჭუჭრუტანიდან თუ შემოძრებოდა. ერთი საწოლი და ერთი სკამი იდგა. კედელზე ყვავილებინი ფერდი შპალერი გაეკრათ. „ალბათ ბავშვების ოთახი იყო!“ — ჩაილაპარაკა იაკობმა. ფანჯრის რაფის ქვეშ თოჯინა ეგდო. აიღო, რბილი სათამაშო იყო, ვარდისფერი კბა ჭუჭყისგან გაშავებოდა, თავზე ბაბთები ეკეთა. ნაღვლიანი სახით იყურებოდა, შეეცოდა, კაბა გაუსწორა და რაფაზე დასკა. ამ სახლის ყოფილ მობინადრებზე დაფიქრდა, ნეტა ახლა სად იყვნენ, თუკი საერთოდ გადარჩნენ. ოთარმა გასვლისას ანაფორა

დაუბრუნა, რომელიც ვითომდა გარეცხეს. იაკობმა გაშალა და დაათვალიერა, უბრალოდ წყალში იყო გავლებული, რაღაც ტალახის ლაქები ალაგ-ალაგ ისევ დარჩენილიყო. ამაზე მწარე ირონიით გაეცინა. კედელს მიეყრდნო და სახე ხელებში ჩარგო, სულში ნაძვილი ჯოჯოხეთი უტრიალებდა. ეს ყველაფერი იყო ჯილდო, იმისა, რომ დაური გადაარჩინა.

„მაშინ რომ გაქცეულიყავი და დაური დაგ-ეტოვებინა, ახლა თავისუფალი იქნებოდი“, — ვიღაც უჩინარმა გველივით დაისისინა და სული უფრო მოუწამდა. ახლა ლოცვაც არ შეეძლო, ძალიან უმ-წეოდ გრძნობდა თავს, სიამოვნებით იტირებდა, რომ როგორმე ამ ბოლმისგან გათავისუფლებულიყო რაც გულს და სულს უჭამდა.

დილით თავი და მთელი სხეული უხურდა. შუბლზე ხელი დაიდო, ცხელი მოეჩვენა, სიცხე ჰქონდა. სხეული დაუსუსტდა და ამიტომ ავადმყოფობაც ადვილად მოერია. ადგომის თავიც არ ჰქონდა. საჭმელი ოთარმა შემოუტანა. რუსლანი იმ ამბის მერე მასთან აღარ შესულა. თევზზე ერთი ორცხობილა, პურის ორი თხელი და ძეხვის ასეთივე თხელი ნაჭრები ელაგა. მადა საერთოდ არ ჰქონდა, მაგრამ შეჭამა და წყალიც მოსვა. ვერც ილოცა. თითქმის მთელი დღე ეძინა. საღამოს უკვე ბნელოდა, დაური რომ მოვიდა:

— ხვალ მიდიხართ, — ამცნო ახალი ამბავი. მართლაც სასწაული, მაგრამ მთავარი მარტო ეს არ იყო. დღეს პირველად მიმართა იაკობს თქვენობით, ვითომდა პატარა და უმნიშვნელო რაღაც, მაგრამ ძალიან ბევრს ნიშნავდა, მის მიმართ პატივისცემის გრძნობა გაუჩნდა.

იაკობმა გაკვირვება არ დამალა, მაგრამ განსაკუთრებული ემოციები არ გამოუხატავს, საწოლზე წამოჯდა და ანაფორა გაისწორა. დაური მისგან აშკარად სხვა რამეს ელოდა და მართლაც გაოცებულმა ჰქითხა:

— არ გიხარიათ?

იაკობმა არ უპასუხა, პირიქით თვალი მოარიდა და იატაქს დახედა.

— გუშინ უცნაური სიზმარი ვნახე, — დაური ფანჯარასთან იდგა, მერე შემოტრიალდა და იმ ერთადერთ სკამზე დაჯდა, მძიმედ სუნთქვადა: — მესიზმრა, ვითომ პატარა ვიყავი და მინდორში დავრბოდი, ძალიან ბედნიერად ვერძნობდი თავს. მზე ანათებდა, ირგვლივ უამრავი ბავშვი იყო. მერე უცებ მარტო დავრჩი, დაწნელდა. ყველაფერი გაქრა, მზეც, ყვავილებიც, მინდორიც. ვიგრძენი, რომ ვიღაც მოძღვდა, ვისიც ძალიან მეშინოდა, გავიქცი და უცებ უფსკრულის პირას აღმოვჩნდი. აღარ ვიცოდი სად უნდა წავსულიყავი... და მერე გამომეღვიძა!

იაკობი კარგა ხანს დუმდა, მერე უბრალოდ ქვე-მოდან ახედა, თვალი თვალში გაუყარა და ჰქითხა:

— ასეთი როგორ გახდით?

— როგორ ასეთი?

— აი ასეთი, — ხელები გაშალა და თავი გადაიქნია.

დაური სხვა დროს ამ შეკითხვას არ უპასუხებდა, პირიქით რამე ირონიულს ეტყოდა, მაგრამ ამ აღამიანმა მისი სიცოცხლე იჩსნა.

— ხანდახან არა მარტო ყველა და ყველაფერი, საკუთარი თავიც და სიცოცხლეც მბულს ხოლმე. მინდა, რომ ადამიანებმა, ერთმანეთი დაჭამონ და ეს სამყარო წამში განადგურდეს. ღმერთი არ მჭირდება და არც გვებებ. იტყვით, რომ სისასტიკე ცუდია, მაგრამ შეხედეთ, როგორ ეშინიათ ჩემი. ჩემი ერთი სიტყვაც საკარისია, რომ რასაც მინდა იმას გააკეთებენ!

— მაშინ იქ, იმ კლდის პირას რომ იყავით ხეს მოჭიდებული, სიკვდილს პირდაპირ თვალებში ჩახედეთ, მაშინ გინდოდათ სიკვდილი, გმულდათ სამყარო და ადამიანები? — მამაომ გამომცდელად ჰქითხა.

დაურის შუბლი შეეჭმუხნა, ლოყები შეეფაკლა, ასე პირველად დაემართა.

— არა, მაშინ არა! — თქვა და თვალი მოარიდა, გულწრფელობის შერცხვა.

— კი ეშინიათ, მაგრამ უყვარხართ? — მამაომ რამდენწამიანი პაუზის შემდეგ თქვა, წინ კედელს შესცეროდა, — ადამიანს ხშირად ბოროტებისკენ სხვა ადამიანები უბიძებენ ხოლმე, მაგრამ ეს არ არის სწორი. არავის აქვს უფლება თავისი უბედურება სხვას მოახვიოს, ან სრულიად უდანაშაულო ადამიანს აგებინოს პასუხი. მიწაზე არ ეძებენ ჰქეშმარიტ ღმერთს, მაგრამ ადამიანებს ხომ სხვა ღმერთები ჰყავთ: სიხარებე, სისასტიკე, სიამაყე, შური, მათ ხომ ეთაყვანებიან. ყველაფერი იმიტომაა, რომ ჩვენ ყველამ სიყვარულის უნარი დავკარგეთ, ერთმანეთის სიყვარულის.

— მაგით რისი თქმა გინდათ?

— იმის რომ, — ცოტა ხნით შეყოყმანდა მამაო, მერე მზერა გაუსწორა და უთხრა: — ისე გამიშვით, ფული არ აიღოთ!

დაურიმ გაოცებისგან წარბები აზიდა, შუბლზე ნაოჭები მკვეთრად გამოუჩნდა, შიგნით, სულში ბრძოლა მიღილდა სინდისსა და აზროვნებას შორის, ეს სახეზე ნათლად დაეტყო.

იაკობი თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა, ნატრობდა, რომ დათანხმებოდა: „იქნება ოდნავ, სულცოტათი მაინც შეგძლო ადამიანობა გავუღვიძო, ის იდეა, რისთვისაც იბადება ადამიანი, რაც ღმერთმა თითოეულ ჩვენგანში ჩადო.“

მაგრამ იაკობის სიტყვებმა მასზე გავლენა მაინც ვერ მოახდინა.

— მორჩა, ხვალ მიდიხართ, — უთხრა ბოლოს და ოთახი სწრაფად დატოვა.



იაკობს იმ ღამით წამითაც არ სძინებია. წას-
ვლა როგორ არა, ძალიან უნდოდა, მაგრამ თითქოს
რაღაც აკავებდა. მიხვდა რატომ, ღრმად სწამდა,
რომ აქ უფრო საჭირო იყო, და თის სიტყვა როგორც
პურის მარცვალი უნდა დაეთესა და გაევრცელებინა,
სწორედ ამიტომ არ წამოგიდა აქ? თუმცა ჩანაფიქრი
მაინც ვერ შეასრულა.

დიღლით ოთარმა ხელებზე ბორკილები დაადო
და თვალები ისევ აუხვია. თავს გაცილებით უკეთ
გრძნობდა, მაგრამ გულზე თითქოს ლოდი აწვებოდა
და მოწოლილი ბორმა ახრჩობდა. გარეთ რომ
გამოვიდნენ, სუჟოთა ჰაერი მთელი ძალით ჩაისუნთქა,
ფილტვები მთლიანად გაავსო, უნდოდა, აქაური ჰაერი
და თებერვლის სუნიც თან წაეღო.

დიდხანს არ უმგზავრიათ, გაჩერდნენ და გადმოი-
ყვანეს. თვალზე ახვეული მოაძრეს და დაინახა, რამ-
დენიმე ნაბიჯში ქართველები იდგენენ, მამა იაკობის
წასაყვანად მოსულები. დაურმა რუსლანს თვალით
ანიშნა და ისიც წინ წავიდა, მერე იაკობს მკლავზე
ხელი მოკიდა და ისინიც გაჰყვნენ. ქართველებმა
პატარა, შავი ჩემოდანი გადასცეს. მორჩა, იაკობი
უკეთ თავისუფალი იყო, მაგრამ თავს ბედნიერად
სულაც არ გრძნობდა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ მისი
სიცოცხლისთვის ფული გადაიხადეს და მეორე, აქ
დარჩენა უნდოდა, მაგრამ როგორ ეტყოდა ქართვე-
ლებს, რომლებსაც ბედნიერი და გაბრწყინებული
თვალები ჰქონდათ, რომ მათი წვალება ამათ იყო. აქ,
ამ მიტოვებულ თვალიასთან და ამ მიწაზე უნდოდა
დარჩენა. შეძლო და დაურიში ცოტათი მაინც ადა-
მიანური გრძნობები გააღვიძა, ყინული დაიძრა და...
ზუსტად ახლა უნდა წასულიყო.

დაური შეგნებულად არიდებდა თვალს, მხოლოდ
როცა მანქანას მიუახლოვდა, სულ ათი წამით დააშ-
ტერდა და იაკობს მოეჩვენა, რომ ისიც უკმაყო-
ფილო იყო, ყოველთვის აუღელვებელი და უემოციო.
თვალები დახუჭა და მამაოს ასე დაემშვიდობა. მერე
სწრაფად გატრიალდა და მანქანაში ჩაჯდა.

იაკობმა უკან, უკვე გაფუჭებულ და ალაგ-ალაგ
ასევალტამოყრილ გზას გახედა, მწარე გრძნობებმა
სული დაუსერა, ან რატომ სტკიოდა ასე ძალიან
გული, არადა ხომ ყველაფერი მოგვარდა. ზევით
მზეს ახედა და გულში საკუთარ თავს პირობა
დაუდო: „მე აქ აუცილებლად დავბრუნდები, არ
ვიცი როდის, ერთ მზიან ან თოვლიან დღეს, მაგრამ
აუცილებლად დაგბრუნდები. ისიც არ ვიცი ხეალინ-
დელი დღე, ან ეს გზა, სად წამიყვანს, მაგრამ ერთი
კი ვიცი, რომ კიდევ ვნახავ ამ ადგილებს! რადგან
შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანი...“

—

* დაფუძნებულია ნაძღვილ ამბავზე

ფულის შოვნის ორი ხერხი ვიცი. დღეს პირველს
გამოვიყენებ: გავალებ მარიკას საძინებლის კარს და
შევიპარები. საფულე, როგორც წესი, ჩანთაში აქვს,
ჩანთა — გარდერობში. საფულეში ლარიანი, უეჭვე-
ლად, ცალკე დევს.

დილით მეტყვის, არ გრცხვენია, ფულის პარვაც დაიწყეო და ნახევარსაათიანი ქადაგებით ტვინს გამიბურღავს.

მეორე ხერხი?

მარიკას საძინებლის კართან ბოლთას ვცემ და ვახველებ. მას ეღვიძება, ნახევარსაათიან წყველა-ვიშვიშს მოყვება და ბოლოს ფულს მომცემს.

ახლა პირველი მირჩევნია, ბუზღუნის მოსმენის თავი არ მაქს.

აბაზანიდან გამოვლივარ, ვიცეამ და მარიკას საძინებლის კარს ვაღებ. ყველაფერი რიგზეა — ლარიანი ადგილზე დევს, მარიკას კი გოჭივით სძინავს.

გოჭს ვეძახი. ბავშვობიდან ასე ვეძახი, თორემ მსუქანი არ არის.

ფუ, ლიფტი არ მუშაობს, ოთხი სართულის ჩავლა არ გინდა?! მარჯვენა ხელი გულზე მიდევს და მარცხენა მოავირს ეჭიდება — ფეხებს ეხმარება, რომ არ დავგორდე.

გზის იქთ დარეჯანას ჯიხურია. დღედაღამ ლიაა. ეს ქალი იქ ვაჭრობს, იქ სძინავს, იქ ჭამს და იქ სვამს. მაგისი ქმარი ნოშრევანა მაგარი ჩაშვებული მასტია, არავის უყვარს. რამდენიმე წლის წინ ერთი მოთხრობა დაუბეჭდეს, თურმე და თავს მწერალს ეძახის. ადრე სადღაც სხვაგან უცხოვრიათ, მერე ის ბინა მაგ ნოშრევანას თავქარიანობის გამო გაუყიდიათ. ორჯერ გაექცა დარეჯანას, მაგრამ ისევ დაბრუნდა. ეს ჯიხური ახლა მათი სახლიც არის და მაღაზიაც.

მივალ, დარეჯანას წავეჩალიჩები. იქნებ „პოლ-ლიტრა“ ნისიად მომცეს, თუ არა და ლარად ას გრამს დავასხმევინებ.

— დარეჯან, როგორა ხარ, ლამაზო?

— ლამაზო არა ისა... გასწი „ფორთოჩქას“ მოა-შორე თავი, ნუ დამახრჩ არყის სუნით!

— დარეჯან...

— არ არის საჭირო დარეჯან-მარეჯან, ნისიად არ ვიძლევი!

— მარიკა, ხვალ იღებს ხელფასს და ხო იცი?

— არაფერი არ ვიცი! ისედაც ოცდათექვსმეტი ლარის გაქს წაღებული. მორჩა, მოშორდი!

ეჭ, როგორ აბლატავდნენ ეს ბოზები, ამათი დრო დადგა. ჩათლახების და ბოზებისაა ყველაფერი. ვაი, საქართველო!

— დარეჯან, აი, ლარიანი... ასი დამისხი.

— ჩამოსასხმელის გაყიდვა აგვირძალეს. არა მაქს! წადი!

— ქვევით წავიდე კოლასთან? იმ სიშორეზე მიშვებ?

სხვა გზა არ არის — კოლასთან უნდა წავიდე. ამ დროს ახლო-მახლო სხვა არავინ ვაჭრობს.

— როგორ გამიმეტე, დარეჯან, მე ხომ ცოლად შენს მოყვანას ვაპირები.

— წადი შენი...

ფეხი ტროტუარიდან გზაზე გადამაქს და ვბარ-

ბაცებ. ამ დროს ჩვენს ქუჩაზე მანქანა იშვიათია.

ყველაფერი უცებ ხდება: ჯერ თვალებში შუქი ელვასავი მანათებს, შემდეგ — საბურავების წივილი და დარტყმის ხმაა. ტკივილს გვიანდა ვერძნობ.

ვტრიალდები და გულაღმა ვეცემი. დიდი არაფერი, მგონი, სარკე მომხვდა. გონებას არ ვპარგავ. ვხვდები, რომ მანქანა გაჩერდა. ამას მოჰყვა დარეჯანას ჩახლე-ჩილი მყივანი ხმა:

— კაცი მოკალით!

ალბათ, მარცხენა იდაყვი მომტყდა, მტკივა, მაგრამ ახლა ერთ „პოლლიტრაში“ მოელ მკლავს მოვიჭრიდი და მივცემდი.

გულაღმა ვგდივარ, მარჯვენა ხელი მკერდზე მიდევს. ტკივილმა ცოტა გადამიარა. ყველაფერი რიგზეა... მთავარია, გულმა არ მიღალატოს, ვფიქრობ და თვალებს ვახელ.

ფეხის ხმა მიახლოვდება.

— „ას თორმეტზე“ დავრეკოთ, — მესმის კაცის ხმა.

— რას ამბო, სასამართლო, გამოძიება, მოწმეები... ქმარს რა ვუთხრა, დილის ხუთ საათზე შენთან ერთად რა მინდოდა? შენი ბრალია, საჭესთან არ უნდა დაგესვი.

თვალებს ვახელ... პირდაპირ ჩემს თავთან დგას... ლამაზი ფეხები აქვს...

— ამ ავარიას ჩემ თავზე ვიღებ, — ამბობს კაცი.

— მოიცა, ჯერ ნუ დარეგავ. ვნახოთ, იქნებ არც არაფერი სჭირს.

— არა, ქალბატონო, საჭესთან თქვენ იჯექით, — ამბობს დარეჯანა, — ჩემებნ იხრება და პერანგის ქვეშ მკერდზე ხელს მიცურებს.

რა თბილი ხელი გქონია, დარეჯან, შე ძუნწო. რა იყო, მოგეცა ნისიად.

— ამას რომ რამე მოუვიდეს, დავიღუპე, — ამბობს ის.

აუ, დარეჯან, გიყვარვარ, შე, ჩათლახო?

— ქალბატონო, თქვენა ქმარია? ყველაფერზე მე ვიზრუნებ, — მესმის კაცის ხმა.

— ღმერთმა დამიფაროს, ქმარი არა... სამასი ლარის საქონელი აქვს ჩემგან ნისიად წაღებული.

აუ, დარეჯან შე ნაბოზარო, რა სამასი, ოცდათექს-მეტი ლარი მაქს!

— მაგ ფულს ახლავე გაგისტუმრებ, — ამბობს კაცი და ჯიბიდოან საფულეს იღებს.

— რამდენია? — მესმის დარეჯანას უხეში მყივანი ხმა.

— ხუთასია და საჭესთან მე ვიჯექი.

— მე ამ კაცს არ ვიცნობ და არაფერი დამინახავს, — ამბობს დარეჯანა.

აუ, დარეჯან, შე ბოზო, შე, ჩათლაშკა! გამყიდე?

— მეგდარია? — კითხულობს ქალი და იცუცქებს. მისი მუხლის თავები ჩემს თავთან ერთ მტკაველზეა, მინდა წამოვიწიო, მაგრამ თითქოს რაღაც მიწისკენ მეჭიდება, გულისცემის ხმა მესმის. ნეტა, ამ აურზაურს გაუძლებს, თუ გასკდება?

დარეჯანა იხრება. მკერდზე და ყელზე ხელს მისვამს.

— ამას, მგონი, არაყი უშველის, — ამბობს და მესმის მისი ფეხების ფრატუნის ხმა.

რა თბილი ხელი გაქვს, დარეჯან... დროზე ქნი, შენი დედა, შე ნაბოზარო!

— მოიცა, არაყი არა, ექმი უნდა, — ამბობს კაცი.

— აცალე, თავისი საქმე თვითონ იცის, — მესმის ქალის ხმა და კვლავ იმედი მეძლევა.

ტუჩზე რაღაც მეხება, ნაღდად ბოთლია...

შენ გაიხარე, დარეჯან, შე ნაბოზარო.

ყლუპ, ყლუპ, ყლუპ...

ტანში სითბო მივლის, გული წყნარდება.

— კუოფა, — ამბობს კაცი.

რა მეყოფა, შე ჩემა, რა მეყოფა?!

დარეჯანა ტუჩზიდან ბოთლს მაცლის.

— ექიმთან წავიყვანო, — ამბობს კაცი.

— არყის ფული გადამიხადეთ! — მესმის დარეჯანას ხმა.

— რამდენი? — კითხულობს ქალი.

— ნებიროვი თხუთმეტი ლარი ღირს.

ვაი, რა ღორი ხარ დარეჯან, თხუთმეტი კარა, რვანახევარი ღირს. ისიც მხოლოდ სამი ყლუპი დავლია.

კაცი ჩემს წამოწევას ცდილობს. მე არ ვუძალიანდები. ეტყობა, ჯანიანია. უკანა სავარძელზე მსვამი და ცდილობს ფეხები შემიკეცოს.

— მოიც! — ვიძახი მე..

— ცოცხალია! — უხარია ქალს.

— რა გნებავთ? — მეკითხება კაცი.

— არყის ფული გადაუხადე?

— კი, — უკირს კაცს.

— მერე სად არი არაყი? იმ ჩათლახს დაუტოვე?

— წადი, არაყი გამოართვი, — ბრძანების კილოზე ამბობს ქალი.

კაცს არაყი მოაქვს.

— რა გქიათ? — მეკითხება ქალი.

რა მოულოდნელი შეკითხვაა. სახელის გახსენება რატომ უნდა მიჰირდეს? მგონი, ნიკოლოზი მქვია. კი, ნიკოლოზი მქვია. ნიკო, თუ ნიკა? არა, — ნიკოლოზი.

— ნიკოლოზი.

— ბატონი ნიკოლოზ, როგორ გრძნობთ თავს? — მეკითხება ქალი.

კაცი ბოთლს მაწვდის. რამდენიმე ყლუპს ვსვაბ და ვახველებ.

— გრძელიათ რამე? — თავს ჩემსკენ აბრუნებს ქალი.

ლამაზა, აუ, მაგარია. ასეთ პიდარასტეს — ასეთი ქალი... ეს არის სამართალი?

ხელ-ფეხს ვიმოწმება, წელში ვიშლები. თავზე ხელს ვისვაბ. კეფაზე პატარა კობი მაქს, იდაყვმაც გამიარა, მაგრამ არ ვიცი, ამ ქალს რა ვუთხრა.

მანქანა ადგილს სწყდება.

— ჯერ მე მიმიყვანე და მერე ეს — ექიმთან! — ამბობს ქალი.

ბოთლი გავანახევრე. კარგად ვარ. შეიძლება ვიძლერო კიდეც.

„ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი...“ — ვცდილობ, მელოდია არ შემეშალოს.

— სახლში წაგიყვანოთ თუ ექიმთან, ნიკოლოზ? — კვლავ უკან აბრუნებს თავს ქალი.

ლამაზია, ასეთ ქალთან ღირს...

— შენთან წამიყვანე, ლამაზო.

წამომცდა... ამის თქმას არ ვაპირებდი.

— სახლში გინდა თუ საავადმყოფოში? — ხმა გაიმკაცრა კაცი.

სახლში მირჩევნია. ჩუმად შევიპარები. მარიკა ვერც გაიგებს. დავწვები, იქნებ დამეძინოს კიდეც. მალე გათენდება, მარიკა ადგება და ყავას მომიღელებს. სანამ გაიღვიძებს, იქნებ ლარიანი მის საფულეში დავაბრუნო.

ჯიბებს ვიქექავ და ფულს ვერ ვპოულო. ცუდია. მარიკას ვიშვიშის მოსმენა მომიწვეს.

— სახლში მინდა, მაგრამ სად არის ჩემი ფული?

კაცი თავს ჩემსკენ აბრუნებს და ფულს მაწვდის.

— ესღა დამრჩა, — მობოლიშებით მეუბნება.

ქალალდის ფულია. ნეტა რამდენი იქნება?

ვართმევ და ჯიბებში ვიდებ.

მანქანა უკან ბრუნდება. გამოჩნდა დარეჯანას ჯიხური. გზის იქით მე ვცხოვრობ.

— გზის იქით გამიჩერეთ.

— სიარული შეგიძლია? — მეკითხება კაცი.

მანქანიდან გადმოვდივარ. ყველაფერი რიგზეა. არაფერი არ მტკიცა. უკვე ინათა.

გაჩერებასთან სკამზე ვჯდები. ორ ყლუპს კიდევ ვსვამ.

გზის იქით დარეჯანას ჯიხურია.

მაგ ქალმა ჩემით მაყუთი გააკეთა. ის ფული ჩემია. აიღოს თავისი ოცდათექესმეტი ლარი და დანარჩენი მომცეს. დანარჩენი მე მეკუთვნის. მოდი, წავალ და ვნახავ.

მინაზე ვაკაკუნებ. დარეჯანა სარკმელს ხსნის.

— მოხვედი? ხომ კარგად ხარ? დათვერი? შემოდი.

რა უხარია ამ შობელმაღლს, ჰერნია, ფულს არ წავართმევ, თუ მაგისი ნოშრევანასი შემეშინდება?

დარეჯანა გარეთ გამოდის, წელზე ხელს მხვევს და კარისკენ მექაჩება.

რა თბილი ხელი გაქს, დარეჯან? სად მიმათრევ?

კარს ხურავს და მკერდზე მეკვრება.

რა თბილი ძუძუები გაქს, დარეჯან.

ხელს შარვალში მიყოფს.

მოიცა, ნოშრევანა სად არი? არაფერი მატკინო, დარეჯან.

გვერდზე ვიწევი.

უუ, შენი. რა მომივიდა?

მოიცა, რა ხდება, რაღაც ვერა ვარ კარგად. აუ, ჩემი.. რა მომივიდა? ვერაფერს ვგრძნობ... არაფერი გამოდის... რატომ? დამერხა? კი არ დამერხა, არ მევასება, მაგრამ რა თბილი ძუძუები აქვს... პროსტო, საქმეზე მოვედი, ეს მკერავს და მე არ ვიკერები! აი ეს ნაღდია, მე არ ვიკერები! დიახ, მე არ ვიკერები!

— ჩემი ფული მომეცი, დარეჯან!

ჩემი შარვალიდან ხელი ამოაქვს, ნაბიჯს უკან

დგამს და კატასავით იბურძგლება.

კატები არ მიყვარს.

— რა ფული?

— ხუთასი ლარი... იმათვან რო აიღე!

— რა ხუთასი ლარი?!

დარეჯანა ხელს მკრავს.

ახლა უკვე გავპრაზდი, ახლა ჭეუაზე შევიშლები! დავამტვრევ, ყველაფერს დავლეწავ!

— შე, ჩათლახო შენა, მანქანამ რო დამარტყა და ფული აიღე, ის ფული მინდა!

რო გამყიდე, ის ფული მინდა!

ხელს მკრავს, ჯიხურიდან მაგდებს და წივის:

— რა მანქანამ დაგარტყა? სად დაგარტყა? ბელაია გაქვს!

ტროტუარიდან გადავდივარ და იმ ადგილას ვდგები, სადაც მანქანა დამტვახა.

— აი, აქ დამტვახა მანქანა. აი აქ დაგეცი, შენი დედა... აი, აქ გამყიდე!

— დარეჯანას ვაგინებ, და ამ დროს ლარიანს ვხედავ.

„ბელაია“ არა მაქვს. აი ლარიანი! მარიკას ლარიანი!..

მიხარია, ვიხრები, ვიღებ და ჯიბეში ვიდებ.

ბოჭების დრო დადგა. ესენი გრიმიტობენ, მაგრამ ბოლოს ვნახოთ, ვაგრიმიტებ მე მაგა! გზის იქით გადავალ, ქედს ავიღებ და მინებს ჩავუშსხვრევ. ჯიხურს სულ დაულეწავ. ჩათლახმა და პიდარასტმა არ უნდა გაიხარის! მალე კაცების დრო დადგება! ჩვენი დრო დადგება! მერე ვნახოთ!

— დარეჯან, მაგრად დაგენძრევა იცოდე!

— სულ გაგიყდი, კაცო?!

— გონია, შენი პიდარასტი ნოშრევანა გიშველის? სული უნდა ამოგხადო, სული! — ვყვირი, გზაზე გადავდივარ და მესმის დარეჯანას წივილი:

— ნოშრევან!

დაუძახოს, დაუძახოს, ფეხები არ მომჭამოს მაგისმა ნოშრევანამ.

ვქიშინებ, მეტი აღარ შემიძლია, გაჩერებაზე ვჯდები.

მაგ ქალთან ხვალ გავსწორდები. ახლა ძალიან მძიმედ ვარ, ინათა კიდეც, სახლში ავალ, იქნებ მარიკას მძინარეს მიუვსწრო, ეს ლარიანი უკან დავაბრუნო, მაგის ბუზღუნს მაინც გადავრჩები.

რამდენიმე ყლუპიდა დარჩა, ვსვამ, ცარიელ ბოთლს ვისვრი და სადარბაზოში შევდივარ.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, — სართულებს ვითვლი და წინ მივიწევ.

გასაღები თან არ მაქვს, ეტყობა, შინ დამრჩა. ალბათ კარი ღია დავტოვე, ნამდვილად ღია დავტოვე... არა! დაკეტილია!

როგორ არ მინდა, მაგრამ მომიწევს მარიკას გაღვიძება.

ზარს ვრეკავ, კიდევ ვრეკავ, კიდევ ვრეკავ. კარი იღება.

ეს ვიღაა? აქ რა უნდა?

შეუძლებელი!.. მარიკამ კაცი მოიყვანა?..

ნაცნობი სახე აქვს... რა უშნო სიფათია... როგორ დაღრიცა ტუჩები.

— შენა ხარ? — მეკითხება და თავს აქვევს.

ნეტა, რა თხასავით აქნევს თავს? ვინ ჩემი სირია! აქ რა უნდა?!?

— მარიკას დაუძახე, გაიგე?! მარიკას დაუძახე!

— კარგი რა, ნოშრევან, მერამდენედ უნდა მოხვდე?! რით ვერ გაიგე, აქ აღარ ცხოვრობ!

რა? აქ არ ვცხოვრობ?

რა? ნოშრევან... მე ნოშრევანა ვარ? ნოშრევანა კი არა, ნიკოლოზი ვარ! ნიკოლოზი! გაიგეთ, რომ ნიკოლოზი ვარ!!!

თავის ქალაზე შიგნიდან თითქოს ჭიანჭველები დარბიან და ტვინზე მასკინტლებენ-ერა ვარ კარგად... ყველაფერი აირია. უნდა დავწერარდე, ყველაფერი უნდა დავალაგო.

მოიცა, მე ნოშრევანა ვარ? ნოშრევანა ვარ?!

— ცუდად ხარ? გინდა დარეჯანს დავურეცო?

თხასავით აცანცარებს თავს. ჩემს სახლში შემბრალა. რქები უნდა და ეშმაკია.

არა, რქებიც აქვს!

— დარეჯანას დედაც... და შენიც... გაიგე?!

ოთხი, სამი, ორი, ერთი... სადარბაზოდან გამოვდივარ და დარეჯანას ვეჩეხები.

— წამოდი, ნოშრევან, ცუდად ხარ.

მინდა შევაგინო, მაგრამ შეწუხებული სახე აქვს და მეცოდება. მე არა ვარ საცოდავი, ხუთას ლარად რომ გამყიდა?

წელზე ხელს მხვევს. ძალიან, ძალიან თბილი ხელი აქვს. მივყვები, ჩემდაუნებურად მივყვები.

— დარეჯან, მე ნოშრევანა ვარ?

— ჰო.

— შენი ნოშრევანა?

— კი, ჩემი ნოშრევანი.

თავში ისევ ჭიანჭველები დარბიან და ტვინი მეფენანება.

მოიცა, მე ნოშრევანა ვარ? ის ნოშრევანა თხუთმეტი წლის წინ ერთი მოთხრობა რომ დაუბეჭდება და თავს მწერალს ეძახის, მაგარი ჩაშვებული მასტი რომ არის და უბანში არავის ევასება, მთელი ცხოვრება დარეჯანასგან რომ გარბის და ვერ გაქცეულა. აი, ის ნოშრევანა ვარ?

მე ნოშრევანა ვარ.

მარიკა?..

მარიკა კარგა ხანია წავიდა და სულ მენატრება. ნიკოლოზი?

ჩემი მოთხრობის გმირია. იმ მოთხრობისა, რომელიც დამიბეჭდეს. ვერა და ვერ მოვიშორე ეგ კაცი.

— რა თბილი ხელები გაქვს, დარეჯან!

ქორები ნანა შირსაძე



წყლისფერი მოთმინება

ახლა, როდესაც უპევ ყველაფერს
ჰქვია წარსული
და ერთადერთი სიტყვა დარჩა
ჩვენ შორის ხიდად
— ვიყავით ერთნი...
მე კვლავ მაშინებს შენი სიმშიდე,
მე კვლავ მაშინებს შორეული
შენი ჩურჩული
და უსინდისოდ მოტყუებული ჩემი იმედი.
სანთლის შუქი და ორი ჭიქა,
ჩემი წყლისფერი მოთმინება
და ყველა სიტყვა, ამ სანთელთან
ერთად დამწვარი.
გარეთ ნოემბრის მშვიდი ღამეა,
ჩემი სახლის მკვდრულ სიჩუმეში
მარტო მე ვიცი, როგორ იწვის
ჩემი საყდარი.

ახლა, როდესაც უპევ ყველაფერს
ჰქვია წარსული...

ჩარჩო

როგორ შეიძლება ლექსში ჩარჩოები,
როგორ შეიძლება შავ-თეთრი ოცნება.
თვითონ იხატება ყალმით მაჩოები
და რასაც ვერ ვამხელ, ისიც წამომცდება.
სტროფში პირველყოფილ საწყისებს ვნებდები,

მინდა ეს ლექსები თაროზე მივაგდო,
რითმად მოქარგული თაკარა ვწებები,
უჩემოდ მიახრჩოს უსახურ იაგოს.
მერე პოეზია ცაში აფეთქდება,
გონებას დაკარგულს უცებ გააგიჟებს,
მერე წუთი არა, წამი გამეფდება,
ფეხსაც მედიდურად იმას დააბიჯებს,
ვისაც არაფერი არ დარჩა მიწაზე
და ერთი ლექსისთვის მოვიდა ტიალი,
ვისაც შეუძლია ტირილი იაზე
და ფეხზე ჰკიდია ეს ორომტრიალი.
ლექსში მოხსნილია ტაბუ, ჩარჩოები,
რითმა ხანძარია ასტრალში... თაკარა...
იქ დანავარდობენ ლალად მაჩოები
და ერთი სიცოცხლე ლექსისთვის არ კმარა.

სარფიანი დაბანდება

არაფერი არ იცვლება, თუ არ შეცვლი,
გათენდება ისე, როგორც თენდებოლა,
ერთს, ფუფალას უწოდებენ ჩვენში შეშლილს,
თუმც შიოლას სხვაც მრავალი ვერ წვდებოდა.
მზის ლაქები მთვარეს დამღად ავაკარი,
ის მიპოვნის, ვინც არასდროს დამეტებდა.
საოცნებოდ ავიჩემე ავატარი,
არ ვიცოდი, მის სიყვარულს სხვაც შეძლებდა.
გალაქტიკას ახლა უფრო ხშირად ვსტუმრობ,
დღეს მერკურზე მერამდენედ გავათენე.
რა ხანია გავიზარდე, აღარ ვხუმრობ
და ღიმილით ვანაწილებ ანათემებს.
იქ უფალმა სიკეთესთან მაზიარა,
მე აქ თვალი ცოდვებისგან დავიელმე.
სულ მრუდი მაქვს, ერთი სწორი ხაზიც არა,
ცოდვილს, ცოდვის სიყვარული გამიელვებს.
გული მტკივა, დრო მუჭში ვერ მოვაქციე,
ისე გარბის, ვიცი ვეღარ დავეწევი...
ფეხქვეშ ვთელავ გამოგონილ გრადაციებს,
რომლის გამოც მთელ ქვეყანას დავეწევები.
სიკვდილს მოვკლავ, რომ სიცოცხლე

არ დამთავრდეს,

დროსთან დავდე სარფიანი დაბანდება.

ღმერთთან ვგზავნი ერთსიტყვიან ამანათებს —
დ ა ბ ა დ ე ბ ა ! ! !

გადაკვეთილი გზები

სადაც ცა ერთვის ზღვას,
იქ გადის ხედვის ზღვარი.
მე მირჩევნია ცა,
ან ზღვა, შლევი და წყნარი...
რადგან ვერ იტევს ფიქრს
გადაკვეთილი გზები...
იქ, ცაში ვიბან პირს,
როცა ასტრალში ვრჩები.

თამაში ცეცხლთან

უამრავ კითხვათაგან მაწამებს ერთი,
როდესაც კაცს ქმნიდა – ფიქრობდა ღმერთი?
ამ კითხვას მოჰყვება სხვა კითხვა პატარა,
როდესაც ქალს ქმნიდა, ტიროდა სატანა?
მერე ეს კითხვები ლაგდება ცეცხლთან...
იწყება ცხოვრება – თამაში ვერცხლთან.

ფანტომი

ვარ სიყვარულის აბორიგენი,
ფიქრაწეწილი ქარში გავრბივარ,
რადგან გზა შენკენ გამოვიგენი,
შეცდომებისთვის აღარ ვვარგივარ.
მე ფანტომი ვარ, გიგზავნი ლოცვებს,
შენს სისხლაც შეესვაძ ვნების ჯამიდან.
მერე მოვიწმენდ სისხლნარევ კოცნებს,
რომ შენ დაიწყო ისევ თავიდან,
რომ დაჩოქილი გიხილო ფერხთით,
არად მიღირდეს შენი წამება.
ვიცი, შემინდობს იმ სურვილს ღმერთი,
სულს რომ შემორჩა შეშლილ დრამებად.
სიზმრებში მკლავენ, არ ვავდებ ჩირად,
თუმც ვერ ვავრბივარ... ვის უნდა ვკითხო,
რომ იმ უძლური ლამის მაგივრად
შენს პირველყოფილ სიყვარულს ვითხოვ.
გესმის? – მღვიმეში არ ვანთებ სანთელს,
ვიკინგებთან ვსვამ ერთი ჯამიდან.
არა! არ მიკირს რომ მოსდევ ნათელს,
თუმც განშორება ბნელთან არ გინდა.
გარბისარ, მაინც ჩემთან ბრუნდები,
ხან გეჩვენები გამქრალ ფანტომად...
შენ ხელზე გადევს მონის ხუნდები,
მე კლეოპატრამ კაბა მათხოვა,
რომ კიდევ ერთხელ ვესტუმრო მიწას
მე, სიყვარულის აბორიგენი...
რადგან პრომეთე სულს ცეცხლით მიწავს,
გზა უკუნეთშიც გამოვიგენი.

დაკარგული თაობა

ყოფნა... არყოფნა...

მარადიულ კითხვას ვაწვალებ,
იავარემნილი საქართველო თვალწინ მიღება.
ნათრევი სული აღმა-დაღმა ისე წანწალებს,
რომ ენატრება დამშვიდება, სადღაც მიგდება.
მე დაკარგული თაობა ვარ, მომეცი ხელი,
რომ დავიჯერო ფენიქსივით ჩვენი აღდგომა.
სული ჩამკვდარი, მეამბოხე და განახელი,
ბარიკადებზე მაინც ნატრობს ლაღად

დადგომას.

არ დაივიწყო, რომ არა ვართ მხოლოდ
წარსული,
ჩვენს ტრადიციებს ვერასოდეს მოსპობს
სატანა.

მრავალუამიერს შემოვძახებთ ცამდე ასულნი,
ერეკლემ თქვენთან გორდა ხმალი გამომატანა.
ერთხელ ხომ მაინც უნდა იყოს ვინმე მართალი,
რომ ჯვარზე გაკვრით არ მოვულოთ ბოლო
მაცხოვარს.

იქნებ მართლა ჰყავს საქართველოს მხსნელი
სარდალი

და მეც არ ვგავარ უღირსისგან მოკლულ
მათხოვარს.

ხელში მიჭირავს ცხელი გული – ისიც შენია,
ღმწერთო! არ ამქნა სამშობლოსთვის მკვდარი
მამლუქი.

ხვალინდელი დღე დღევანდელის განაჩენია,
მე მაპატიე, თუ ვერ ვწერე ლექსი სალუქი.
მომეცი ხელი, დამაჯერე მართლა ჩემი ხარ,
რომ მართლა გიყვარს ეს პატარა მიწის
ნაგლეჯი,

რომ ამ უბედურ საქართველოს ისე შვენიხარ,
როგორც ასპინძა, მოწამეთა, გრემი, გარეჯი.
მოვარდილ გრიგალს შეაგებე შენი ღადარი,
საკუთარ თავთან არასოდეს გქონდეს ღანდობა,
მინდა გჯეროდეს, საქართველო მარტო აქ არის,
მარტო აქ იცის თოვლობი ერთად ყოჩივარდობა
და მაშინ ვიტყვი, არ მომკვდარა ჩვენში ილია,
არ დაწანწალებს აღმა-დაღმა სული ეული.
დრო მაღე გადის, ეს დღეებიც გადაივლიან
და დალაგდება დედამიწა გადარეული.

მტკივა

მტკივა...

დავიწყებული ალერსის ფერები,
შენი ხმის ტემპი,
გაღელილი პერანგი,
გაწეწილი თმის სიუხეშე,
რომ ვერ მინუგეშე...
შენ მაგივრად მოსული სხვა,
მისი სურვილი, მზერა გულგრილი,
მამრის სუნთვით გათანგული ქუჩის სურნელი,
რომ ვარ სულელი...
დღო, რომელიც უშენოდ არ გადის,
სხეული, რომელსაც აღარ ეხები,
ჩვენი ეზოს ვერხვები...
თითები, ახლა რომ აღარ კოცნი,
ჩემთვის რომ ვეღარ მოცდი...
შენი ნაჩუქარი დღეები,
ღიძილი, ჩუმად რომ სხვებს ვაცლი,
სიბერე, რომელსაც ვერ წაშლი,
სექსი, რომელზე ფირიც ტკივილს იწვევს,
კაცი, რომელიც წარსულში მითრევს...
მტკივა...

ბედისწერა

სადღაც, უჩემოდ დაიწერა ჩემი ცხოვრება,
მერე მომარგეს ეკლიანი გვირგვინი ციდა.
არ გამიმტებს სასიკვდილოდ თურმე მოგვებმა,
ჩანასახს მახსოვს იმ წუთების გალობა ციდა.
ჰოდა, ვატარებ ჩემს მძიმე ჯვარს,
სახსოვარს ბედის, არ მემეტება არავისთვის ტკივილის სევდა.
ხან კურტიზანი, ხან გეიშა, ხან კიდევ ლედი...
უკვე არ ვიცი, რას გვისურვებთ
ცოდვილებს სერ და
გჯერათ, ათასი სახისათვის შეგვემნა განგებამ,
ათას მეერთე მოიძიეს მცხოვრებთა მიწის.
ვერაფერს შევცვლით, არ გვინდა და
ბედის მწერალმა ყველაფერი უჩვენოდ იცის.

ქედს არ მოვიხრი, თუნდ გამაკრათ
ჯვარზე თავიდან,
ცხოვრებას ვიწყებ კვლავ ჩასახვის
პირველ წამიდან.

ათასი კითხვა

გაიხა ტაძრის კრეჭსაბმელი, მოკვდა უფალი
და წმინდანები გამოვიდნენ საფლავებიდან.
კაცი არასდროს არ ყოფილა თავისუფალი,
თუმც სულიწმინდა მადლისა ჰუნდა
მოკვდავს ზევიდან.
ათასი კითხვა დაიბადა გულში ფარულად
და ყველა თომას სურს იხილოს ცხადში იესო,
ჩეგნში თარეშობს უამრავი აზრის მარულა,
ხორცით მაძლარნი ვემსგავსებით
სულით მშიერსო...
რადგანაც ჩეგნში ისევ დაძრწის ვიღაც იუდა,
მკვლელს სასაფლაოდ ელოდება
სისხლის მინდორი.
პილატემ ხელი დაიბანა, გაგვიდიდგულდა
და ჟღერს ზარებში აგონია
ვერცხლის მინორით.

შენს ამაღლებას შევესწარი ზეცად იესო,
გვერდით გედექი, როცა ერთად დაგვარბიესო.

მეტამორფოზა

ვერ შევაგებე ალესილი ხანჯალი ფარს და
ბედნიერება გავატანე მოვარდნილ სიზმარს.
ჩამოვაფარე სარკებზე ვუალად ფარდა,
კარს გვარის ნაცვლად წავაწერე –
არავინ მიყვარს.
დაღლილ ნაბიჯით ავუყევი ბნელში კიბებს,
ხელში მიჭირავს კეთროვნთა ნაქონი ჯოხი,
მაგრამ უეცრად ჩემში ქალი კისერს იღერებს
და უომება შავით მოსილ მათხოვარს, მოხრილს.
თალხი იცვლება უცნაური ჭრელი ფერებით,
კვლავ მეფერება ვიღაც თლილი,
გრძელი ხელებით
და მეც ვიღვიძებ ამ ჯადოსნურ
ხელის შეხებით.

კიდევ კარგი, რომ ამ ქაოსში
სიყვარულს ვბედავ,
ცას არ შემოვრჩი ოდილიად, მომაკვდავ გედად
და ავირჩი ზღაპრის ბოლო წინამორბედად.

საცომი ბობოცაძე



ძვითხველო, აქ ჩემი სულის სავანეა, ფეხები დაიწმინდე და ფრთხილად შემოდი. მტვერი და ჭუჭყი გარეთ დატოვე და სუფთა გულით ეზიარე მას, რასაც მე უფალი ჩამჩურჩულებს. აქ, ჩემი სამყაროა, ჩემი დილა და საღამო, ჩემი მთვარე და ვარსკვლავები, აქ, ჩემი სულის ანჯარა ნაკადულები მორაკრაკებენ. უურს თუ დაუგდებ, შენც გაივონებ ხმას და შესიახ. ქითხველო, ნუ იქნები ისე ძალი, რომ ნაიარევზე ტკივილი დამიტოვო, დამწვარზე მდუღარე დამსხსა და ირონიანარევი ლიმილით ჩამიარო გვერდზე.

მე არ ველოდები შენს ტაშსა და კომპლიმენტებს, მე არ მინდა შენი შექება, მხოლოდ ერთს გთხოვ, ჩემი სულის ოზისში როცა შემოაბიჯებ, ისე გაიარე, რომ ობოლ ხებს ტოტები არ დაამტვრიო!.. მე ივი, ჩემი სისხლითა და ცრემლით გამოვზარდე, ოვლით ვასაზრდოუ. რაც გამაჩნია, მხოლოდ საჩუქრია და მე შენზე ძირიდარი ვარ. უამრავი თვალ-მარგალიტის მფლობელი და მქონებელი. მინდა გიწილადო და გითხრა – აიღე და გაამრავლე!.. ამას ჰქვია სიკეთე და ამას ჰქვია უკვდავება. შეიგრძენი სურნელი ამქვეყნად მოვლენილი მშვენიერებისა.

პატივისცემით – სალომე გოგოლაძე

საქართველოს!..

სული მიკივის და, ო, როგორ მტკივდები, ნეტა, რა გაათევს ამ ლამეს, მანდ თურმე ყვავიან კრწანისზე შინდები, აქ კი ლოდინია

დაღლამდე,

თითქოს ჩაკირული მუხლამდე დაგვმარხეს, ვერ ვსუნთქავთ, ჰაერი არ გვყოფნის, მითხარით, იქნება გავუძლებთ საღამდე, ყორანი ჩვილ გულს რომ დაკორტნის,

თითქოს უსაშველო კეთრი შეეყარა, ავი ზე შეუჩნდა ქარივით,

და ვეძებ, უფლისგან ნაბოძებ ქვეყანას, უღრანში დაკარგულ კრავით,

საბრალოვ, რამდენჯერ გაგწირეს სამსვერალოდ, ყელი გამოგლადრეს ჯორკოზე!..

სისხლიგან იცლება, ჯალათნო, არ გეყოთ?!... შეწყვიტეთ, უმიზნო ხორხოცი,

ხანდახან დახედეთ, თქვენს დასვრილ ხელებზე რამდენი უმანკო სისხლია,

დაცემულს ნუ ესვრით, მანდ ქართლის ველები ტირიან, გლოვობენ, გვიცდიან,

მიწას რომ აბიჯებთ, უძველეს საუნჯეს, წინაპართ ძვლებია ნამარხი,

მიწას ნუ დატოვებთ მტერთაგან დაუცველს, ამ მიწას ბევრი აქვს ნანახი,

მოხლოლმა, თათარმა, ლექმა თუ ოსმალომ, ვერა ჰქნა, ვერ დასცა

ბეჭებზე,

ქართველო, შენ რატომ გინდა, რომ მოშხამო, ქრისტე რომ გაცვალო მეჩეთზე,

ვინა ხართ?.. რა რჯულის, მე მაგ ხმას ვერა ვცნობ, სულს ყიდით, გულს აღარ გვიტოვებთ,

თქვენ მხოლოდ სახელი შემოგრჩათ ქართული, მე კი ემიგრანტი მიწოდეთ.

დაგიცავ ამ სუსტი ფრთებით და ხელებით, მიწაო, გატარებ ხატივით,

ოლონდაც ბიჭები დაზარდეთ, დედებო, ბუდიდან აჭრილნი არწივნი,

ტაძრებში ილოცეთ, აანთეთ სანთლები, ახსენეთ სახელი წმინდანთა,

ზარები დარეკეთ და უფლის სახელით, გამოდით ქართველნი, ვინცა ხართ.

ისმინეთ, შეიგნეთ, გახსოვდეთ, გიყვარდეთ, რა დარჩა, ფეხი და ალაგი,

სუყველამ სათქვენო სამშობლო შეირგეთ, მიწა ხართ თხემიდან მკლავამდის.

მე აქ ვარ, ვიხუტებ მაგ მიწის ნაგლეჯებს, ვთბები და იმედი მაცოცხლებს,

იბრძოლეთ, იბრძოლეთ, ლეკებო ალგეთის, უფლის და რწმენისთვის, იცოდეთ!

მე მოღალატე არ ვყოფილვარ
აროდეს ვამეხ,
ნავსი გატყდა და საათები
არივ-დარია,
თითებში ვიძინვდევ უსულგულოდ
დამსხვრულ წამებს...
ვამეხ, ნუ მეტყვი, ეს ქარები
რამ გადარია!...
ჩამეფშვნა, ჩადნა თოვლისფერი
სახის პროფილი,
რამდენჯერ ვხატე, სისხლით, ცრემლით,
წვიმით, იმედით,
მაინც ვრჩებოდი მოწყენილი
და არ ყოფილი,
რამდენჯერ ისევ უკანასკნელ
ზღვრამდე მივედი.
რამდენჯერ თეთრი ღამეები
ვაშენე, ვამეხ,
მე ხომ მჯეროდა, მე ხომ მწამდა
სულით ხორცამდე,
და მოდიოდა ვიდაც მძლავრი
დამარხულ გვამებს,
თვალწინ მიწყობდა ცოდვებივით
უფლის მოსვლამდე,
არ მიგემია, მე არ მახოვს
ის ტკბილი გემო,
შენს ტუჩებს ალბათ რძე გადასდის
დედის ხსენივით,
ვინ მოგცა ნება, ჩემს ძარღვებში
სისხლივით გევლო,
და სულს ძართმევდე გესლიანი
ჭრელი გველივით,
ვამეხ, თვალები დამიტოვე
გზა რომ გავიგნო,
აქ არც მთვარეა, მოიტაცეს
მთვარე ბოშებმა,
შენ თუ მეფე ხარ, ფარდაგები
უნდა დაგიგო,
და ჩემს სხეულსაც მიიღებდი
ბროლის კოშკებად.

მე მოღალატე არ ვყოფილვარ
აროდეს ვამეხ,
ნუ მიცქერ ასე, ვით არონი
ჩამქრალ კელაპტარს
მაგ გამოწვდილი ფიალიდან
შხამსაც კი დავლებ!..
სიცოცხლე ჩემი სულ არ მიღირს
ერთ ყლუპ ხელადად,
ღამეებს ჩემსას უშენობის
ფერი აქვს ახლა,
ფერი თალზივით დაფერილი
სველი მანტიის,
ვამეხ, მასწავლე განშორების
უგულო განცდა,
მსურს მოვიშორო შენი სახის
უშნო მაცილი.
შენ გეშინია და თითები გითრთის,
ვიცი მე,
მომკალი, რადგან მიგეჩვე
ამგვარ სიკვდილსაც,
ვამეხ, შენ წახვალ და მე ისევ
მწარედ ვიცინებ.
აქ ვეღარავინ ვერ დამიშლის
ამ გიუ სიცილს და..
მე შევიშლები, შევიშლები,
რადგან ქარები,
დაატარებენ უპატრონო ბაგშვივით
მთვარეს,
ვამეხ, გპირდები, არასოდეს
არ მეყვარები,
ვამეხ, ამოთხრილს არ ტოვებენ
მკვლელები გვამებს!..
მე მოღალატე არ ვყოფილვარ
აროდეს გესმის,
ნავსი გატყდა და საათები
არივ-დარია,
აიღებ ახლა და დამბაჩას
კანკალით მესვრი,
და გულში იტყვი — ყველაფერი
შენი ბრალია!..

მონაზონი

მე ამ თვალებს, ცისფერ
თვალებს,
შავ ტილოში დამარხულებს.
დაგხრი,
როგორც მგლოვიარე,
ჩემი უფლის სიყვარული
დამაქეს გულით,
სასძლო ვარ და
სასძლო ვიყავ,
ასე, უცოდველი მივალ,
იმ ქვეყანას,
შენ ხომ ჩემი სასჯელი ხარ,
ბიჭოვ, შენი სიყვარული
დამაქეს თანა!..
ტანს მიბურავს მიწის ფერად
მოხვეული შავი ნისლი,
ნეტავი რამ ამიმღერა გული?..
ანდა, ამიმღერა ვისთვის!..
ვარ ყინწვისის ანგელოზი,
ზარით ვიხმობ ცაში ცისკარს,
ამ ცოდვიან სამზეოში,
მხოლოდ შენი გალიმება მიყვარს,
ჩამოვიქნი სანთლად თითებს,
გავცვეთ ლოცვით კაბის კალთას,
მე შენ ტკივილს აგარიდებ,
აქ დავდები, უფლის კართან.
ხამ კაბაში გავეხვევი,
რა დარჩება ჩემგან სულაც,
მხოლოდ სიზმრად დამეხსენი,
სიონსავით მოპარულა შენი სახე,
ნეტავ, სულაც არ გიცნობდე,
ნეტავი არ დამენახე!..
ჩემი ფიჭვის კელიასთან
სურნელია აკაციის,
და ავანთებ ამ გულს სანთლად
ყოველ დილით...
წუხელ მთვარეს ღვთისმშობელი
დავაქარგე...
ალიონზე მივალ ტაძრად,
და ცრემლს ვწმენდავ მარიამის
წმინდა სახეს.
გახსოვს?.. ადრე მხოლოდ ორნი
მოვდიოდით,
ახლა ჩემი სული დადის
შავ კაბაში,
ვარ გელათის ფეხშიშველა მონაზონი,
ვით ჩუქურთმა თოთო ვაზის.
ნუ მიგლოვებ, აქ სამოთხემ შემიფარა,

დავფალ გული, გაჰყვა მხოლოდ
ქარებს ფერფლი,
მე უფალმა შეზე მეტად შემიყვარა,
აქა ვარ, და ვკოცნი,
ნატერფალებს ღმერთის!..

ძახილი

ამ ყრუ სამყაროს ხმაურში,
ვლესავ სიტყვების მახვილს
და შენთვის რა უცნაური,
რა მიუწვდომი გავხდი.
ნეტავ სად იყო ადამი,
ფიქრ რომ შეუჩნდა ევას,
ვაშლი იყო თუ ატამი,
ახლა ადარდებს ყველას.
გული დაბურულ ტყესავით
აშლილა ქარში რიდედ.
ვერ შემიყვარებს შენსავით
ასე ვერავინ კიდევ.
ცოდვა გამხელ სჯობია,
დამიავადდი ვინძლო,
მოდიხარ, მაგრამ არ ჩანხარ,
ჩემო გულო და ღვიძლო.
კედლებს ხრაგს ფიქრი ღამეულს,
დასხახებს მიკოტი,
კლდესაც ამოხეთქს, სულ მცირე
იმედის სუსტი ყლორტი,
ვინ რას ბუტბუტებს, რას ამბობს,
სიცხიანივით მოთქვამს,
უდროდ არ გამომასალმო
ამ წუთისოფლის მოდგმას.
გზად მშობიარე ქალივით
მიწამ დაიწყო შეშლა,
ღამე გავუგე ფარდაგად,
რომ თეთრი მთვარე ეშვა.
მომწყურდი ისევ სიცოცხლედ,
დაუოკებელ სულად,
ეს სიგიურა იცოდე, ანდა –
გაფრენა სრულად,
აქ ვჭვრეტ, გულს მიღმა გაზაფხულს
უიარაღო თვალით,
მიწამ შეჭამა, გამოხრა
ჩემი ხორცი და ძვალი,
რა მოხდა ნეტავ, რა მოხდა,
თუ დაგავიწყდი, კარგო!..
ჯოჯოხეთის და სამოთხის
გაუხარელო ვარდო.

შემოდგომის დილა

გადაეწება ვენახებს ქარი,
დატოვებს შენი დალალის სურნელს
და მოწყვილი, ვთ ამორძალი,
ივლი ამ მიწის დახეთქილ გულზე.
მზე არწივებთან იწყებს საუბარს,
ცა ისეთია, ღმერთთან გმაღლდები
და თითქოს მტევნებს სისხლში გაუჯდათ
ცვალი, ოფლივით ჩამონადენი.
ეს სილამაზე ისე მაწამებს,
დამაწყეთ გულზე მძიმე ლოდები,
მერე აღვსდგები, როგორც ლაზარე
და მტკივან სულზე შეგიხორცდები.

ბაბუაწვერა

სულს მოგცემ, ოღონდ გაფრინდი,
ქარს გაჰყევ მინდვრად და ნიავს,
დამპირდი ოღონდ, დამპირდი,
მზე რომ მუხლებში დამიარს,
არ მიმატოვებ არასდროს,
თეთრწვერა, თეთრო მოხუცო,
მთვარე სხვივებს რომ ჩამაქსოვს,
ამ ქეყნად დარდად მოსულსო.
მაგ შენი ფესვის ჭირიმე,
ღრუბლებს ქარში რომ დაწველავ,
ურუანტელივით მივლიდე,
შენ ჩემო, ბაბუა წვერავ,
გაჰყევი მინდვრის ღიობებს,
ამ მთებს, ამ ველებს შაბიანს,
სადაც რძე თაფლად სდიოდეს,
იქ ყველგან უფლის მადლია,
ჩიტმა რომ გნახოს ჩიორამ,
ბუდეს ჩაეკარ ჭინჭივით,
სულ ღოცვად გადმოდიოდეს
მათი ბარტყული ჭიკჭიკი.
ნატაძრალს სანთლად აენთე,
მზე გუმბათივით რომ ადგას,
იმ ბებრის ხელში ჩაედნე,
თვალზე ცრემლი რომ მოადგა,
სულ იბზრიალე, იცემებ,
ქარს აფრიალე არშია,
შენი ბავშვური სიცელქე,
წამწამთა ათინათშია,
სულს მოგცემ ოღონდ გაფრინდი,
ჩემი სურვილის წყაროსთან.
მე სიხარულით ავტირდი,
გზად რომ ის ერთი გამოჩნდა!....

ჯარისკაცის წერილი დედას

კუძღვნი – მიხეილ დვალიშვილის ხსოვნას
ქარი არწევს ბებერ მუხებს,
თოვს და ბარდნის ხვავრიელად,
ცაზე ელვა დაიქუხებს,
დაიქუხებს და იელავს.
წერილს უწერს ბიჭი დედას,
უწერს სიმწრით, დაჭრილ ხელით,
და სისხლისგან ნაწვეთ ფურცელს
მთვარე უმზერს გარინდებით.
„ჩემზე ნუ სწუხ, ჩემო დედა!“ –
ერთ თხილის გულს ვიყოფთ ძმები,
რკინას კვნეტენ ლომგულები,
ჩემი თეთრი არწივები,
რას მიქვიან შიშით ძრწოლა,
რა ხელი აქვს ჩვენთან სიკვდილს,
მთების ტოლა, დევის ტოლა,
ერთად ვდგავართ ყველა, ვინც კი,
ქართველურად გვიცემს გული,
ბრძოლის ველზე ღმერთი გვიძლვის,
და მოკვდებით ვაჟკაცურად,
ივერიის სახელისთვის,
ნუ მიგლოვებ, ჩემო დედა,
ცას მივაპყრობთ ლოცვით თვალებს,
რადგან ქვეყნის სადიდებლად
ქართველებად დავიბადეთ,
მზე ოცნებებს დაგვიშანთავს – გულზე,
როგორც ვერცხლის ტყვიას,
ვინც კი გმირად დაიბადა,
ირმის ძუძუ უწივია,
მამაჩემი მიწას ხნავდა,
ჯეჯილობდა ლურჯი ყანა,
ჩემი ქვეყნის შესაძარი
მეგულება მხარე განაა?..
ახლაც მახსოვს ქორის ფრთები
და ნანგრევი ტაძრის ლოდის,
და ღრუბლებით, საკვირველად
დახატული ანგელოზი,
ცალი ხელით წერდა წერილს,
ბიჭი ცისფერთვალიანი,
მხართან ჰქონდა ნატყვიარი,
ვით ყაყაჩო ხალიანი.
სისხლის წვეთებს ხვრებდა მიწა,
თენდებოდა დილა როცა,
ქარი ქროდა, ბებერს მუხებს
არ სციოდათ გასაოცრად.
იწვა ბიჭი, ცას უმზერდა,
შერჩენოდა ტუჩზე ღიმი,
და წერილი, როგორც გული,
დარჩენოდა გაღელილი!....

ო, სინიორა, ნუ მიყურებ ასე სიძეაცრით,
მეც მაქვს სამშობლო და ამაყი
 ერის შვილი ვარ,
მე საქართველოს მივეფერე წუხელ სიზმარში
და სინიორა, თეთრ ღამეებს აღარ ვჩივივარ.
მე დღეს აქა ვარ, და სათუთად
 გიგებ სასთუმალს,
გიკვირს, რად გითბობ სიყვარულით,
 გაყინულ ხელებს,
შენი სიცოცხლე უფერულად ისე გასრულდა,
რომ ძლივს იხსენებ შვილიშვილებს
 და მათ სახელებს.
ჩემი ცხოვრება როგორ მოჰვავს
 კონკიას ზღაპარს,
აი, მტრედებიც მომიფრინდნენ
 ლია სარკმელთან,
გადავაგორებთ სინიორა, ამ სასტიკ ზამთარს,
მე ცაც მეყოფა წყაროსავით,
 რომ ჩანს საენიდან.
ო, სინიორა, მე ჩაგაცმევ ბარხატის კაბას,
გავუყვეთ ქუჩას და მივუსწროთ
 საღამოს მესას,
აქ დიდებული ტაძრებია, ჩვენსას არა ჰვავს,
ჩვენი სულ სხვაა, თითქოს უფრო
 ახლოს ვარ ღმერთთან.
აქ შიში მიპყრობს, მარმარილო
 თითქოს გულქვაა,
სად არის ღმერთი, ხამ ტილოში
 შობილი კაცად,
ო, სინიორა საქართველოს იცი უფალმა!?!
სამოთხისებრი სილამაზე აჩუქა მართლაც.
ო, სინიორა ჩვენთან მიწას პურის სუნი აქვს,
ჩვენთან სულ სხვაა გაზაფხულზე
 მოსული წვიმა,
ჩემი სხეული ამ სიწმინდით გათანგულია,
მზე მენატრება, ქართული მზე და მიტომ მცივა.
ქუჩაში დამით ნეკერჩხლები იცვლიან სამოსს,
ტანზე იცმევენ დამის პერანგს
 ასჯერ დაკემსილს
უძილო მთვარე მებრალება, ჩემსავით წვალობს,
გამორთეთ, იცის დაიღალა ნუთუ არ გესმით.
ო, სინიორა ეს სიცოცხლე არის ხანმოკლე,
ახლა კი ასე დამეყრდენი, მიგიყვნ ტაძრად,
იქალბატონე სინიორა, ოღონდ არ მოკვდე,
საუკუნემდე ხუთიოდე ნაბიჯი დაგვრჩა.

წყარო მომეცი ისეთი სუფთა, ვით
უკვდავების წყალი ანკარა,
შენ, ისე ახლოს მოხვედი სულთან,
ტკივილმა ეკლად გამომაყარა,
ნუ შემეხები მტკივან ჭრილობებს,
სისხლი ძლის ისევ მოუშუშები,
დაწვება მთვარე ღამის ჭილოფზე,
შენით დამთვრალი და ნამრუშები.
გზად დამაწია წყევლა ისიდამ,
ვარ დამეწყრილი თეთრი ტაძარი,
და როცა გქმნიდნენ კაცად მიწიდან,
ნეკნი სულივით ამოგაცალეს,
ვისუნთქავ შენი თვალების აღმურს და
ვიხდი სხეულს ვნებაატანილს,
ჩაჰბერავს ქარი ლერწმის სალამურს და
მიმოფანტავს თოვლზე მარგალიტს,
სიზმრიდან მოვალ ვით ორეული,
ასე ლამაზი, ასე მაცდური,
და დახეთქილი ბროწეულები,
შესვი ბაგეთა ალადასტური,
ეს მე ვარ ევა, ათასგზის დარდი, ათასგზის
ცრემლი და შენით სავსე,
ხიდი, რომელიც ჩემს გულზე გადის, ლოდი,
რომელიც სასჯელად მაწევს,
მე გენიტბოდი სანთლად და ალად, მე
გელვრებოდი სისხლად და
ოფლად,
ისეთი ცოდვა ვიტვირთე ქალმა, რომ
წუთისოფლის გოდება მომქლავს,
შორდები უფალს, უფრო და უფრო,
დაგაქვს ნაგლეჯი სამოთხის ციდან,
და ექი ადგილს მშვიდსა და მყუდროს,
ფურცლებ გაცრეცილ ძველი წიგნიდან,
მიდი, დაწვიტე ეგ არტახები, შენ მდინარე ხარ,
მე კი ჯებირი.
დაგიკოცნიან სხეულს კახპები,
სისხლმორეული ალქაჯებივით,
აქ ვდგავართ ორნი გზაჯვარედინთან და სული
ნაგლეჯი დაგვაქვს იმ ცისა,
მე, მზევალი ვარ, უფლის ასული და შენ კი
მონა — დედამიწისა!

პოტნია რევუაზ ინდიქტო

ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ...

ბატონი რეზო რამდენიმე წლით უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ამ სიახლოვეს რამდენიმე მაგალითი განაპირობებდა. ჯერ ერთი, მისი უმცროსი ძმა აკაკი ჩემი ტოლა იყო და კარგი მეგობრები ვიყავით. მეორე, რეზოს ჰყავდა ბიძაშვილები, რომელებიც ძალიან უყვარდა. რეზო თბილისიდან რომ ჩამოვიდოდა, უმცროს ბიძაშვილ ანზორთან, რომელიც აღარ არის ცოცხალი, აუცილებლად გადავიდოდა. იქ ვიკრიბებოდით და თავისთავად ერთად კარგად ვიყავით.

შე-10 კლასში ვიყავით მე და მისი ძმა, გამოვიყვანე გაკვეთილებიდან, გავი პარეთ თბილისში, ნავთლურში ჩავედით და ბარბარეს ეკლესიაში მონათლე. დაგბრუნდით ისევ უპან. ეს ამბავი რეზომ ჯერ არ იცოდა. რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა და გაუკირდა კიდეც – როგორ გაბედეთ და იქ წახვდითო.

რეზოს ეტყობოდა სახეზე, რომ კმაყოფილი იყო ამ ამბით. დინჯი კაცი იყო, ძალიან გამოზომილი, მშვიდი და დინჯი საუბარი და ნაბიჯიც გამოზომილი ჰქონდა. სიარულზე შეამჩნევდი, რომ რეზო მოდიოდა.

ერთმა პატარა ამბავმა მასზეც და ჩემზეც ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ახალი დამთავრებული იყო მეორე მსოფლიო ომი. ამ ომში საშმიდან 300 ცოტა მეტი კაცი წავიდა, 172 იქ დარჩა, 172 ერთი პატარა სოფლისათვის დიდი რიცხვია. ახლა 800 კომლია და მაშინ 500 კომლზე ცოტა ნაკლები იყო.

ეს ძალიან დიდი დანაკლისი იყო, თითქმის ყველა მეორე ოჯახი გლოვობდა. ომი რომ დამთავრდა, მეორედ მოსვლასავით იყო, ყოველი მეორე ოჯახიდან ტირილის ხმა გამოდიოდა. აივნებზე დაღუპულების ფოტოები გამოფინეს. ზოგი დაღუპულიც არ იყო, მაგრამ რადგანა არ იცოდნენ, სად იყო... ყველა თვლიდა, რომ ისიც დაღუპულიაო და ყველა გლოვობდა.

თვითონ სოფელი იმ დროს გაჩუმებული და-დიოდა. ძალიან ჩუმი სოფელი იყო, სწორედ იმ გლოვის გამო, ვერავინ ბედავდა, რომ ცოტა ხმა-მაღლა ელაპარაკა ან გაეცინა. თუ თავისი არ იყო დაკარგული, მეზობლისა ხომ იყო და... ჩუმად იყვნენ ყველანი.

ნოშივან ეოქაშვილი



იმ პერიოდში მარჯანიშვილის თეატრში ჩვენი სოფლიდან სამი ახალგაზრდა იყო წასული: თომა ქორქაშვილი, ამირან მამულაშვილი და შოთა ქარუ-მიძე. ომი რომ დამთავრდა, წამოვიდნენ მარჯანიშვილის თეატრიდან და ხაშმში დასი შექმნეს. იმათან შედარებით ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ დიდი სიამოვნებით მიმიღეს, რადგან მეც მონდომებული ვიყავი, აქტიურად ვმონაწილეობდი ყველაფერში. რეზოც ამ დასში იყო გაერთიანებული.

რეზო, როგორც მსახიობი, ისეც მონაწილეობდა, რაღაც როლი ყოველთვის ჰქონდა მას. რაც მთავარი იყო, რეზოს აზრს, როგორც მსატვრისას იზიარებდნენ, რადგან შესანიშნავად ხატავდა. მისი სახლის კედლები შავი ფანქრით იყო მოხატული... პეიზაჟებიც, პიროვნებებიც... ძალიან კარგად ხატავდა.

სცენის მოწყობის დროს, რეზოს აზრსაც, როგორც მსატვრისას, იზიარებდნენ. მაშინ ამ საქმეში მონაწილეობდა კიდევ ერთი მსატვარი – ირაკლი ხუროშვილი, რომელმაც შემდგომ ტელევიზიის მსატვრად დაიწყო მუშაობდა. ორივე ერთად აზრს შეაჯერებდნენ ხოლმე, თუ რომელი სცენისთვის რომელი მოწყობილობა იყო საჭირო, რომ უკეთესი გამოჩენილიყო.

ჩვენმა დასმა ძალიან ბევრი კარგი სპექტაკლი დადგა. დავით ერისთავის „სამშობლო“ უნდა დადგმულიყო. სცენაზე დიდი, სარეპეტიციო მაგიდა იდგა, გარშემო სკამები იყო, სხდებოდნენ მსახიობები, კითხულობდნენ თავიანთ როლს. ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა. უნიჭიერესი თომა ქოქაშვილი იყო რეჟისორი.

ერთ დღესაც რაიონის ცენტრიდან დარეკეს, რომ კლუბის გამგე გვალაპარაკეთო. მაშინ ტელე-ფონი ყველას ჯიბეში არ ედო, საბჭოს შენობაში

იყო ტელეფონი და იქ ელოდებოდნენ რაიონიდან ზარებს... ასეთი ამბავი მოიტანეს, მარჯანიშვილის თეატრმა ჩამოწერა რეკვიზიტების გარკვეული რაოდენობა იმ მიზნით, რომ რაიონების სოფლებში, სადაც სპექტაკლები იდგმებოდა, უნდა დაარიგონო. სოფლების დასებს საჩუქრად უნდა გაუგზავნონო.

საგარეოს რაიონის ხელმძღვანელობაშ ხაშმს უპირატესობა მიაკუთვნა იმისთვის, რომ ჩვენთან 1898 წლიდან დაიწყო თეატრალური ცხოვრება.

პოდა, გვაცნობეს, უნდა გამოგიგზავნოთ რეკვიზიტები, დახვდით და მიიღეთო. მერე მთელი ათეულობით წლები ვსარგებლობდით იმითი. რამდენიმე ხანში ეს მანქანა მოვიდა. გადმოვცალეთ, ზოგი მაგიდაზე დავაწყეთ, ზოგი კულსებში გავიტანეთ. იმ დღეს, ბუნებრივია, რეპეტიცია ჩაიშალა... რეჟისორმა მეორე დღეს გადაიტანა შეხვედრა, რეპეტიცია.

ვინც იყო თბილისიდან, მოგვითვალა და ხელი მოგვაწერინა მიღებაზე.

მეორე დღეს დაგვიბარეს, რეპეტიციაზე, დილის 2 საათზე იწყებოდა რეპეტიციები და ხან შუალამებდე გრძელდებოდა.

მეორე დღეს დაგვიბარეს, კლუბის გასაღები ყოველთვის მე მქონდა, ყველაზე ადრე მივლიოდი და ვაღებდი კარს.

იმ დღესაც გავაღე კლუბის კარი, დაახლოებით 11 საათი იქნებოდა, ავედი სცენაზე, სადაც რეპეტიციები იმართებოდა. რეკვიზიტების დალაგება დავიწყე.

რამდენიმე ხნის შემდეგ რეზო მოვიდა, მე ვკითხე, რეზო, ასე ადრე რატომ მოხვედი-მეთქი. იცი რაო, ნოშრევანო, უნდა დამეძინა და ვერ დავიძინე, ვერ მოვისვნეო. არ ვიცი, რა მჭირს, დაღლილი ვარ და ვიფიქრეო, წავალ, მიგეხმარები, რეკვიზიტებია დასალაგებელიო. თან გავერთობით და მერე დაიწყება რეპეტიციებიც.

მე ვუთხარი, რეზო, მაგიდას მოგიცლი და წამოწექი-მეთქი. მაგიდაზე გაგიშლი და წამოწექი და დაისვნე, იქნებ დაგემნოს-მეთქი. რეკვიზიტები და ტანსაცმელი იყო რბილი. ისინი დავუგე. სხვა არაფერი იყო დასაწოლი.

ჭკუაში დაუკდა, მითხრა, კარგიო. გავასწორეთ, თვითონაც მშველოდა, გაშალა ტანსაცმელი, მოირგო, როგორც თვითონ უნდოდა და წამოწვა. მე ფარდა დავხურე, კლუბის კარი ლია იყო და სინათლე შემოდიოდა. მე ვთქვი, ან ხმაურმა, ან სინათლემ არ შეაწუხოს-მეთქი. დავხურე ფარდა, დაწექი, დაისვენე-მეთქი, მეც იქვე კულისებში რეკვიზიტებზე ჩამოვჯექი, მეც დავისვენებ ცოტა ხანს-მეთქი, ვიფიქრე.

გავიდა 10, 15 წუთი და უცებ სიმღერის ხმა შემომესმა. პირველად კარგად ვერ აღვიქვი, საიდან მოდიოდა ეს სიმღერა, მეგონა, რომ ეს ხმა გარედან შემოდიოდა, მერე, ფური რომ დავუგდე, მივხვდი, რომ

რეზო მღეროდა. დიდი მომღერალი რეზო არა ყოფილა, სემნა არა პერნდა ისეთი, რომ მაინცდამაინც სიმღერაში გამორჩეული ყოფილიყო, მაგრამ ერთი სიმღერა უყვარდა – „ურმული“, მუდმივად, თუ სადმე ჩამოჯდებოდა, ან დაღლებოდა და ისენებდა, იმას მღეროდა. ამას „პოროველას“ ანდა „ურმული“ ეძახდნენ, ხან ერთს, ხან მეორეს...

რომ გავიგე, რეზო მღეროდა, მეც ავყევი... ჯერ დაბალ ხმაზე დაიწყო, მეც დაბალ ხმაზე ვმღეროდი, მერე თანდათან აზარტში შევიდა და ცოტა აუმაღლა ხმას, მეც ავუმაღლე ხმას, როგორც შეგვეძლო და... საბოლოო ჯამში, ორივე კამაყოფილი ვიყავით.

მაგრამ რას წარმოვიდგენდით, რომ აქ სხვა რამე უნდა მომხდარიყო.

რომ დაამთავრა სიმღერა, რამდენიმე წამი გავიდა და დარბაზიდან უზარმაზარი ტაშის ხმა წამოვიდა. გადმოხტა მაშინვე რეზო იმ მაგიდიდან, მეც ამ შირმის უკნიდან გამოვედი და ერთმანეთს ვუყურებდით, რა ხდებოდა, რაში იყო საქმე, ხალხი ტაშს უკრავდა, ნეტავ, ვინმე ხომ არ მოვიდა მთავრობიდან, – ვიფიქრეთ. გავწიეთ ფარდა და ვხედავთ, სცენისკენ იყურება მთელი ხალხი და ტაშს უკრავს.

რეზომ მე შემომხედა, მეც იმას. მერე მივხვდით, რომ ჩვენ დაგვიკრეს ტაში. ესე იგი, რეზოს სიმღერას დაუკრეს ტაში, მაღლიობა გადაუხსადეთ და რეზომ მითხრა, ბიჭოო, რა კარგი ყოფილა, რომ ადამიანები პატივსა გცემენ და შენი საქციელისათვის, ქცევისათვის ტაშს ვიკრავენო. რა კარგი დღე გაგვითუნდა დღესო. მე ვუთხარი, რაზე დაგვიკრეს ტაში-მეთქი?


არაო, აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმეო, მგლოვიარეა სოფელი და კაციშვილი არა მღერის, ხომ უყურებ, სიცილს ვერ გაიგებ სოფელშიო. ჩვენ, მგლინი, ეს გლოვა მოვხადეთ ამ სოფელს და სტიმული მივეცით, ეცხოვრათ ისევ ისე... რომ ომის დამთავრებით ცხოვრება კი არ დამთავრდა, სიცოცხლე ისევ ისე გრძელდება და უნდა გააგრძელონო. აი ნახეო, რამდენიმე ხანში ჩვენი ახალგაზრდობა ისევ ისე კალაპოტში ჩადგება და გაგრძელებს ცხოვრებასო.

მართლაც, ასე მოხდა. არ ვიტყვი, რომ იმ პატარა შემთხვევამ გამოაღვიძა სოფელი, მაგრამ ნელ-ნელა დაიყო სიმღერების მოსმენაც, სიცილი, ჩვენთან ტრადიცია იყო, სოფელის ბოლოში რომ ვინმე გარდაცვლილიყო, სოფელის თავში კაცი არ გაიცინებდა. ვინმეს რომ გაეცინა, ეტყოდნენ, რა გაცინებს, ხომ იცი, რომ იქ მიცვალებულიაო.

დღეს ეს სიცილი მოდადა ქცეული, ამას აღარ აქვს იმდენი ფასი, როგორც მაშინ პერნდა, მაგრამ იმ დროს ეს ნამდვილად დროული იყო და ალბათ სწორიც იყო და ხალხმაც ნორმალურად შეაფასა.

ასეთი რამ მოხდა მეორე მსოფლიო ომის დამტავრების შემდეგ და ამან ძალიან დიდი კმაყოფილება მომანიჭა და თვითონ რეზოც ძალიან კმაყოფილი იყო.

ნახა მარტინ ვასილი



პირველად უნივერსიტეტის ეზოში შევწყდით და ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. აი ისე გულიან ბიჭებს რომ სჩვევიათ – ქალაქურად.

ორივე ამ დიდებული ალაგის ზიზნები აღმოვჩნდით.

„ჩემი არაფერი გაქს წაკითხულიო“? ღიმილით მკითხა – ვერ ვიცანი.

კაცთა თანადაყოლილი უდარდელობის მიუხედავად, მეყო საზრიანობა და ვთხოვე, ლექსი წაეკითხა.

როგორც თავზნულზე მძიმე ნაჩლიქარი, ისე მიმყვება დღემდე, იქ, ჭადრების შრიალში ამოოზვრილი: „შენ სანთელი ხარ, სუსტი, უბრალო“...

მაშინ მიგხვდი, ვისთან მქონდა საქმე.

განა ბევრია კაცი, დაობლებული ბუდის მერცხლებით მაინც სხვის ბუდეებზე მოდარდე?

განა ბევრმა იგრძნო, სადაც იწყება, იქვე რომ მთავრდება?

სიკვდილთან ყველა მებრძოლია, ცოტაა გულადი, მარჯვენი კი ერთეული იარებიან:

ქართული პოეზიის ჩორეხი

„სიკვდილი მოვა ოხერი,

მოვა და შემომაკვდება“...

ანდა, როგორი ყივილია, ტკივილში, თანამედროვეობის ყიამეთში მოყივილე მოყმისა:

„ისეთი ხმალი რად გინდა,

მტერთან შეყრა არ შიოდეს...

ისეთი მეფე რად გინდა,

მზედართ არ მიუყიოდეს...

ისეთი მიწა რად გინდა,

სხვის ხელში გადადიოდეს“...

განა ყველა მამა ასე არ უნდა ეფერებოდეს, ეწრულებოდეს და ეგულებოდეს თავის შვილს:

„მე ვდარღობ, შენ რომ დაგედარდები,

ჯანდაბას ჩემი გზა და სახელი“...

იმ ბედნიერ დღეს კი, დამშვიდობებისას, ჯიბუქი შუბლშეკრულმა მოისინვა და თითქოს ახალი მატერიკა აღმოაჩინაო, სახეგაბადრულმა სამახსოვროდ წითელი კალაბი დამიტოვა.

მას შემდეგ ვმეგობრობთ, რამდენჯერ მოგვილხნია... მღერის, უხ, როგორ მღერის... თითქოს ანეულში დგას და დავიწყებულთა გარჯის მადლს სვამს ბელტებიდან. თითქოს კალოსლამეს ათენებსო – გუგუნებს გუთნისდედურად.

„და როგორც დაღლილ ბებერ მეგუთნეს,

ხნულზე დამცვივა ალბათ თვალები“...

აი, ასეთი კაცი ცხოვრობს თქვენთვის, თქვენს შორის გულისთვალით, მკითხველო, და როგორ შემეძლო ქართული სულიერების თვალშეუდგმელ ზეირთებში მედგარი, მომღერალი კაცისა არა მეთქვა რა.

ქართული სიტყვიერების მწიფე, ფასკუნჯისფერ თავთავებში მოფუსფუსე კაცისა არა მეთქვა რა...

ქართული პოეზიის ჩორეხისა არა მეთქვა რა... პაპისპაპურად რომ ისიტყვება, ილოცება და დღენიადაგ თავის სალოცავში გველოდება.

ასეთი კაცადყოფნობა ჩაუქობაა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

ამ კაცს კი თემურ ჩალაბაშვილი ჰქვია.

ქოთი ლექსი

თიმურ ჩახაბუშვილი

ექსპრომტად აკაკი
მესაბლიშვილს

1 თანგარს დაიბადა აკაკი მესაბლიშვილი
– მარჯანიშვილის თუატრის მსახიობი

ძველისძველი ძმობა მოგვდევს,
სიტყვა სისხლში ვფერე,
ვწუხვარ, ლექსად აქამომდე
რომ ვერ მოგეფერე...
სიკეთისთვის გაჩენილზარ,
დრო ვერ გადაგთელავს,
აქ, თბილისში, კაცად ღირზარ,
მანდ უხდები თელავს...
ძმა ზარ, მუდამ ძმად დარჩები,
მე რა უნდა გაქო,
ვისთვის მხოლოდ აკაკი ზარ,
ვისთვის კიდევ კაკო.
ჰაი, გიდი, წლები მიდის,
გვრჩება ძველი ფიცი...
რაღა გითხრა,
სხვანაირი სიყვარული იცი...

ქოთი ბირ



ხახა მჭერიშვილი

შენ გაიარე ნაზარეთზე,
როგორც იესომ...

მათეს!



ვიბაბილონე, ვიგომორე, მოვიქანანე...
ვიაბადონე, ვითობელე, ვიყავ კაენი...
ვერ ვიადამე, ვიაბელე, ვიაბრაამე
და ნაზარეთზეც ვიწრო გზები დამრჩა რამდენი...
ბატქნად მკლავდნენ თუ მამზადებდნენ
ეშმაკის კერძად,
კეთილი მწყემსი ვიყავი თუ მწყემსი არამი...
მგელი მერქვა თუ მერქვა კრავი,
კრავი თუ ვერძი,
შენი ს ა ხ ე ლ ი მაპატია, ღმერთო, არავინ...
მართლის ნათლული იქნები თუ
მონათლავ ვერაგს,
ფრესკა იქნები თუ ალალად ნახატი ტილო,
მშობელი მიწის, ნუ გაიხდი გაწყვეტილ პერანგს,
საყდარში დარჩი, სხვის ტაძარში
ნუ წახვალ, შვილო...

შენ, გაიარე ნაზარეთზე, როგორც იესომ...

ლოცვა ღვთაებრივ ალთა

შენს ალაჩოხად
ამჩენა ალმა,
ალის ჩოხაში
სურს ამამხედროს,
ჰაერიც, მიწაც,
წაიღოს წყალმა,
ხვალიდან ცეცხლით
დაგიცავ, ღმერთო...

ლოცვა – სამოსელი უკანასკნელი

აფხაზეთს, შორეულს,
როგორც სამოთხეს,
საქართველოს, ახლობელს
როგორც უფალს...

საით, უფალო?
ვეღარ ვიტან
ეკლიან ლატნებს
და სულში
ცის და დედამიწის
ცოდვები მამტვრევს...
არათუ მტვერი,
მე თვითონ ვარ
ზეცაც და მიწაც
და მელანდება
სამოთხე, ვით
მოქვი და რიწა...
ნურავინ ითხოვთ
ლაო ძისგან,
ძმებო, კიმონოს,
რადგანაც კვართი
დახურული
ლოცვად ანთია...
ცეცხლში ილოცეთ,
რომ ვერასდროს
ვერ დაიმონოს
ნათლის ნათლული
ვაჟკაცები
ბნელის ნათლიამ...

* * *

რამეთუ მოხნა აღმართი ძალამ,
ძალა აღმართად მიიქცეს ლამის...
მე ვმალავ ალბათ ყველაზე მთავარს,
ყველაზე ცხადს და ყველაზე ყამირს.

მე ვიცავ ცისკრის კაშკაშა ნიშანს
გამოთენების უებრო შიშით
და ვრეცხავ მტვრიან, ყორნისფერ ქვიშას,
რომ უმალ ისევ ავივსო ქვიშით.

რამეთუ კაცთა არ რჩება დოლი,
რამეთუ ღმერთმაც არ იცის, ვინ ვარ,
ვარ კაცის ხრამში ჩაყრილი ღორღი,
ჩავყურებ ხრამს და ყოველდღე ვგმინავ...

ჯვარცმა მეფურ წყვდიადში...

ჩემი კურის ქალს

მე წავაწყდები მეფურ წყვდიადებს,
ამ ლაქვარდებით დატებნენ მონები
და თუ გვირგვინებს ვერსად მივაგნებ,
წყვდიადით მაინც მოგეწონები...
ვიცი ვერ იტანს ომი ვეზირებს
და ბრძოლის ველი რჩებათ მამაცებს,
ალბათ თიხაში ჯობდა მეზილე...
სურა იტყოდა მერე დანარჩენს...
მე ჩემს ბნელ სენაკს სასახლედ ვაქცევ,
გიეროგულებენ ჩემი მკლავები
და მამონაში როდესაც გამცემ,
იესოსავით თუ მეყვარები...
მკლავებს ვეტყვი, რომ აცვივდნენ ჯვარზე,
როგორც მამაცი სპასალარები...

* * *

ლხინში სათქმელი...

რა დაგიშავე, მმობილო,
რად არ ამივსე ჭიქა,
ღვინო ხომ სალოცავია
კაცის, აქაც და იქაც...
გაგვისო, მეც ვილოცებდი,
მზეს ჩავწურავდი ყელში,
სიტყვის პატარა ორშიმოს
ამოვაწობდი მზეში...
ცის სადღეგრძელოს გეტყოდი,
წუთმოკლეობას მიწის,
გეტყოდი მაღლის ერბოთი
კაცი რატომაც იწვის...
თუმცა შენია ვენახი,
იქნებ რა უნდა მეთქვა...
მე ოქროს საწმისს ვეძახი
ხიზან ექვთიმეს ჭრელ თხას.
კაცს უფრო დიდ განძს ვეძახი,
ამ თასს ვუპირებ დაცლას,
მამულო, შენ ხარ ვენახი...
შენი მოვლა კი ჯვარცმა...
ერთხელ დამისხით, ბიჭებო,
სხვა განდი სხვებმა ზიდონ,
ვერ მორევისართ, ქაჯებო,
მკერდში დაჩეხილ ფრიდონს.
ვერ გაგიგია, ბარაბავ,
მაღლი ქართული ვერცხლის,
ვერც იმ ციცაბო კლდეების,
სამოთხეში რომ ვერ ვცვლით.
ეს გაუმარჯოს არაგვად
ძარღვში მოვარდნილ სინდისს,
აბა, სცადონ და დაბან
ტატოს მერანი ბინდის...
იმ გმირთაგმირი პაპების
შესანდობარი იყოს.
დიდება ძვლების მსხვრევის ხმას –
ხრესილს, კრწანისს და დიდგორს...
ეს გაუმარჯოს ჩვენს შვილებს:
ბექარს, ონისეს, მათეს,
წმინდა გიორგის მხედრობას –
ყველა პატარა ქართველს.
აჩქეფდეს სისხლი ამაყი
ჩემი მამაცი მოდგმის,
დამისხით ტქბილად მესმოდეს
ამოძახილი მოთქმის.
მაშ, გაუმარჯოს სიცოცხლეს –
სიკვდილის წარე ძახილს,
ნუ დაიღლებით, მაჯებო,

მუხლო, ნუ გხედავ ჩახრილს.
ცრემლებო, ჯამში დამისხით
ყოველი კვნესა დედის...
მამულის წმინდა მცველებო,
შუბი დალეწეთ ფერდით.
გაწყვიტეთ უხსენებელი
გოლგოთისა და ჯვარცმის,
შენ დაიფარე, უფალო,
ყველა, ვინც ამ თასს დაცლის...

ჭირში სათქმელი...

გამოვარდება ღამე ღელეში
და ბინდებს დასცემს იქვე მღვრიეში...
ვით იმათგანი არაგველებში,
შავრას დავაწვენ სიაღვირეში
და ივრის ლალეს დამახლის ძარღვი,
არღუნიანთა ჯავრი აღუღდა...
ქრისტეს კვართივით დაიხა თორლვა,
მშვიდად რომ წერდა კანონს აღბუღა...
რა დროს სიდინჯე... დაწვეს იონჯაც...
დაორლება იყო ივრისა...
ცამ ოქროს მკლავი გაიდოინჯა
და მშვიდი მწუხრი გაიირისა...
ვეფხვის ჩუქურთმა მიჰქონდა პარხალს
და უმი წვეთდა რაინდთა, გმირთა...
უხმლოდ დავითი ვერავინ ნახა,
უგორგასალოდ ქართველი ვინ თქვა...
იყო მარაბდა... კრწანისის ჯანღი
სისხლს შეფიცული ძაბა ხანჯლები
იბერიელთა ოდინდელ დამლის
გულზე დავიწვი, ძმებო, ხანძრები...
იდგა დიდგორი... ბიჭებმა მოსრეს...
ყველა ტკივილი სისხლში შერეპეს...
ლაზეთს და ჰერეთს, აფხაზეთს, ოვსეთს
უტირებია ბოლოს ერეკლე...
„სული არ გატყდეს“... ცაამტეხარი
გაუტეხელი მეტყვის მეტეხი...
მე საქართველოს ასეთს ვეხარი
ასეთი მწამს და... ასეთს ვეძებდი...
ისევ ქართული მზე მადგა მხრებზე,
იმ მზის ქვეშ ჯავრი დამდევს ხორაზმის...
ისევ ვტირივარ დაკარგულ სვრელზე
და ცერზე ვაწროობ ცხრა ფრთას ხორასნის...
ათას ცრემლს მოვწმენდ... ათასჯერ იცი...
მაჩაბლის ქალის დახრილ წამწამებს...
და ვითვლი, ღმერთო, მშობელი მიწის
ბორკილთა ხსნაში შემსხვრეულ წამებს...

მამულში ნაპოვნი სამი ლექსი

* * *

...დღეს პარხალი მეჩეთია, ნახვარი საუკუნის წინ
იშხნიც მეჩეთად გამოიყენებოდა,
დღეს ის მიტოვებულია...

ტაო... სიზმრებს გამოყევი დოლისყანა...
მომენატრა ართვინი და ბანა...
გამეტირე, ბერიკაცო, გამეტირე,
საქართველო ჭოროხს წაჰყა... ნანა...
როგორ არი უგალავნო ბალავარი,
შელეწილი ბასტიონის სვეტი...
მომიკითხე იმერხევი, ქვაალალი,
პარხალს რომ არ დაავიწყდეს ღმერთი...
შენ არა ხარ სამეჩეთო კლარჯთა მდელო
ოთხთა ხატებს ხელს ნუ ახლებ, ილხან...
შენ არა ხარ მგლოვიარე, საქართველო,
შენ არასდროს მიატოვებ იშხანს...

* * *

„მე კარ მისანი ხარი წიქარა...“

პაპის ხანჯლებში გადამალულნო,
ვერც ვიხორასნე... ვერც ვიხირიმე...
მეც ხნულში ვდგევარ... ღმერთო... მამულო...
გუთნისდედურად თქვენი ჭირიმე...
მძიმე სახნისი მიმაქვს ბელტებში –
მაჯაგაზნილი სიტყვა ქრისტესი,
სისხლის თქრიალი უასკეტესი,
უდარიბესი და უმდიდრესი...
მე დავაჩოქე რითმის მუხლები,
დავალოცვინე თქვენი ხატება...
სულში ყივიან შაბარდუხები –
სინამდვილეა თუ მოლანდება...
გაყიდული ვარ ორპირ ბურუსში,
წყევლას წააგას ყველა ეს ლექსი
დღეს ჯვარზე ადის დაჭრილი ქუსლში,
ჩემი სტრიქონი ვით აქილევსი...

* * *

წყალწრფელზე აივლიან კალმახები,
ჯაჭვის ხმა ისმოდა დაწყეტილ კრწანისთან...
ხელში აიტაცა ურდომ ცხრა გოდოლი...
რამდენი პერანგი დახია ყაისმა...
მუხლის ძვლით გაავსეს თერთმეტი გოდორი...
ღალატი. რამდენი ლახვარი დალახვრულა
რამდენჯერ ამღვრულა, ძმებო, საწყალწრფელო
ერთხელ შემათალე მღვრიეს კალმახურად
ლოცვავ სულკალმახო, ჩემო საქართველო...

ყველა ლეგენდა...
ყველა მითი...
ყველა ბალადა...
დავგმე უფალო,
და როგორც შენ,
მეც, ისე გენდე...
თუ ჯოჯოხეთში
ფეხი მაინც
უნდა დავადგა...
დავიმახსოვრებ
იმ წამს, როცა
ჩავუვლი ედემს...

„ეხ“...

„...და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი,
აღიხილანა ზეცად და აკურთხა და
განტეხა და მისცნა...“
ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს,
მამანი ხოლო ხუთ ათას,
თვინიერ ყრმებისა და დედებისა.“

ყოველდღე ვთხოულობდი. სიტყვები ხმიადებად
რომ გადამექცია, ჯიბეში, ტომრებით
გაზიდულ დღის ბოლოს,
ერთადერთ მარცვალს მივაგნებდი
და აღდგომის კვერცხივით
საფლავზე ვტოვებდი:
„ეხ“...
იქვე კი ურჩად მოგონილი უფალი იდგა,
გაუგებრადაც ჯობდა ყველა არაქს და იგავს.
პირველი ქვის წვეთი
დაბუგავს იმ ბილიკს,
რომელზეც იდგები...
ნურცერთს ნუ ააცდენ!
მუდარით შესთხოვენ...
იქნება ქვის წვიმა, ქვის ლექი,
ქვის სეტყვა დაუშენს
იმ სიტყვას, რომელსაც
დაფარავს ქვის გუბე,
გუბიდან გამოვა
უამრავ ძმათაგან თორმეტი,
რატომღაც თორმეტი იუდა...
უფალო, მიუგე.

რ ე მ უ ს ი



მწვერვალზე ავალ, მიმოვლეწავ
ნარჩენ აჩრდილებს!
ის, რაც ლორწკივით აიძულებს
თვალმა იხილოს,
სულ ნაკუწ-ნაკუწ შსურს ვაქციო მოგონებები,
ქვიშა ვაყარო, სწორი პირით, ვშობო სიახლე,
ახლა იწყება კისმოსური სხივთა რონინი,
მზე გაწითლდება, სისხლით არა, ჩემი შექებით,
უნდა კი მარა?! შენ რა იცი?
იქნებ მთხოვს კიდეც
და სამადლობლად, ნიშნის ნიშნად კანი მითბება.

მწველი მზე ისევ, ჩემს თითებში –
თეთრად ამოდის,
ცა იხუთება, ჩემგან ასულ ფიქრის ოხშივრით,
წვიმა წამოვა, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი,
მე ვცვლი ფიქრებში და ხეხილებს ამოვასუქებ
და ნაწვიმარზე აგრილებულ სიზმრებს გავთიბავ,
თივის ზვინულებს ფერი ასდით აოქროვება,
რა სულ ერთია, ჩემთვის დროთა სამი სახელი,
ვდგავარ ახლა და, ვაკვირდები
სავსე ორსულებს...

სულ დაბალ ცეცხლზე მზე ანთია, ხელს
არ შემიშლის,
თუ ამისრულდი, ფიქრს ვუთხარი,
სხვაზე გადავალ,
მე კი, სულელი, ბრძენი ვარ და
ვსდევ კონსტრუქციებს,
ძერა ანთია, ძერა კი არა, მაპატიეთ, ძერა ანთია,

დაბნეულობაც საჭიროა, ხან სულ გეშვება,
აძლენი სევდა სკივრში ლპობით, რა მედალია?
არც ღმერთმა იცის, თუ დასჭირდა, შემეგოთხება,
კანიბალიც ვარ, საკუთარი თავის მჭამელი,

მოდით, ქაოსში ჩაგახედოთ, გავწლათ ყოფითი,
რასაც აკეთებ, ამაოა, ცდები მამაო,
მთელი ცხოვრება აზრებია, ფიქრთა საკვები,
გაოგნებული პანორამა მიმზერს შოშით.

მაინტერესებს, ჭიის ჭერებუარი,
ჩამობნელებას რომ ვერ ვკადრე ჩემი უარი,
დღეს დამაკვდება შთაგონების სეისმურობა,
თუ ფანტაზია მეტყვის, რომ ეს – ალბათობაა,

და ალბათ, თბობა არ გახდება კალმის სანერწყვე,
მართლა, სახურავს უუყურებ და ცა უვარდება,
და ტყვედ მიყვანენ შთაგონების ფანტაზიები,
თან მცრიან, მჭამენ, მრთავენ ცეცხლის ენები,

ვცდილობ, გავექცე ალბათობით

რითმის ნაწნავებს
და მაინც ვხედავ, არ გამომდის, უონავს მუსიკა,
რომ კაცულფილი სულ არაფრით არ გამოვდექი,
ცა დამაცხება ნატიფ აზრთა მგლური სიშმაგით.

მარჯვნიდან ცენტრში ფიქრი ძვრება ცოფიანივით
და ის მახსენებს იმ ყველაფერს, რაც ფრთიანია,
რაზეც სულ ვფიქრობ, სხვა კი არა, წონას ეტყობა,
ნერვებს ვიკვნეტ, და მიმოკლდება დროის ძაფები.

, „მაოგნებს, ხეებს, რატომ სცვივათ შენი სახელი,
ისიც არ ვიცი, რატომ გიმხელ
ფარულ სიყვარულს?!“

რადგან არ შედგა, ალბათ ამით გითამამდები,
მტანჯველ ფიქრებს კი, ვერ ვუკრძალავ
შენთან სიარულს.
რას ელოდება, რას იმედობს, რითი არ ქრება,
გზაგადახვეულ ოცნებების მტვრის ქარავანი,
ისე მიყვარხარ, ბედისწერა არც კი მაკარებს,
ჰო-და, ამ ყოფას, ტანჯვა ჰქვია და გალავანი“.

როცა სიგიჟის ჭაობები ამომიშრება,
იქ დამიტირე, ფერად-ფერად ჭრელი ჩიტებით,
როცა თითები დასაწერად დამიუანგდება,
ჩემი არსება – ღებე, მერე მოგონებებით.

ვიპატიებდი, ღმერთის ხელით მის ამ (შეცდომას),
რომ მონაწილე მილიარდთა –
მეც ვარ ერთ-ერთი...
30.8.2015 13:13 მზე



ივანე აკოსტიძე,

საქართველოს დამსახურებული უურნალისტი,
დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის
პრემიების ლაურეატი

შეხვედრა გიორგი ოჩიაურთან

(გავრძელება. დასაწყისი იხ. „ანეული“, 3, 2016წ.)

დედა პირდაპირ მიზნისაკენ მიგვერეკებოდა, და-
დად განიცადა, რომ ორი შვილი გზას ასცდა და
წავიდა ქანდაკებისაკენ. ეს სერიოზულად მისი
განცდის საგანი იყო, იმდენად, რომ უნივერსიტეტი-
დან აკადემიაში რომ გადავედი, რამდენიმე თვე
ამას უუმაღლადით და ძალიან განიცდიდა.

ხევსურეთში (შეიძლება სხვაგანაც), მაგალი-
თად, დიდ პატივისცემას იმსახურებდა მწერალი.
ეს მწიგნობარი მხარეა ტრადიციულად და ხევს-
ურეთში ძალიან კარგად იციან ქართული ლიტ-
ერატურა და არა მარტო ქართული. იშვიათად
მინახავს ასეთი განათლებული მხარე. სოფლებში
არის საოცარი სწრაფვა ცოდნისკენ, ლიტერატუ-
რას ვეულისხმობ და ხევსურეთში იყო მიღრეკილე-
ბა მწერლობისაკენ. ხელოვნებისადმი, რატომდაც
ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება დამკვიდრდა.
ალბათ იმიტომ, რომ საქართველოში არ არსებობს
ეს კულტურა, სახვითი ხელოვნება ახალი ხილია
და არც დიდი ავტორიტეტი ჩანდა. ალბათ, ამას
აქვს მნიშვნელობა და არ იცოდნენ, საერთოდ რა
გზა, რა არჩევანი შეიძლება იყოს ბოლომდე. მახს-
ოვს, ვაკეში რომ „აჩრდილები ტირიან“ გავაკეთე
(მე მქონდა „რეკვიემი“), დედაჩემი დამით წაიყვანეს,
ჯერ კიდევ მოსამზადებელი მუშაობა იყო. ბევრი
ხალხი ტრიალებდა თურმე, მე არ ვყოფილვარ იქ-

და პირველად ვნახე, მოვიდა კეთილგანწყობილი,
რომ დირდა ამის გაკეთება. არ იცოდა მოფერება,
მოწონება გამორიცხული იყო და მითხრეს, რომ
მოეწონა. ბოლომდე ასეთი დარჩა. რა თქმა უნდა,
ერჩივნა, რომ დიდი სამსედორ, ან დიდი მწერალი
ვყოფილიყვავი. მისთვის მამაკაცის ღირსება იარ-
აღი იყო, რომელიც მას ბოლომდე არ მოუცილებია.
უიარაღოდ საქმის გაკეთება არ იყო მამაკაცური,
მამაკაცის და მამაკაცობის საზომი იყო იარაღი. ეს
დედაჩემს ბოლომდე დარჩა.

ერთხელ, უკვე მხატვარი ვიყავი, ჩემთან, შუაფე-
ოში, სტუმრად იყვნენ ჩემი მეგობრები. გულდა
კალაბის მანქანით ვიყავით, მახსოვს, გოგი თოთი-
ბაძე იყო, ნოდარ ცერცვაძე, ბევრნი ვიყავით, არ
მახსოვს, სატირალი იყო თუ რა იყო. ნასვამი ვიყა-
ვი, გოგი თოთიბაძე თუ გულდამ მანქანა დაძრა და
მე გადავხტი, მანქანას გზა მივეცი. ნოდარი ახლაც
იხსნებს, როგორ გაოცებულმა შემხედა, როგორ გა-
დავხტი შეშინებული კაცი. ახლა, აბსოლუტურად
მესმის და თვითონაც ვნანობ.

იჯ. — ბ-ნო გოგი, საიდან მოდის თქვენი და
თქვენი მმის მხატვრული ნიჭი?

გო. — ძალიან ძნელია ალბათ მაგის თქმა, ვინმეს
ნიჭი საიდან მოდის, არავინ იცის. ჩემი და, რომელიც
ეთოგრაფია, ის იყო ნამდვილად ნიჭიერი. წიგნები
აქვს გამოცემული, გარდა თავისი სპეციალობი-
სა, ძალიან კარგად ხატავდა, ალბათ ის იქნებოდა
ძალიან კარგი ფერმწერი. ჩემი ძმა მას ბაძავდა, მე
— ჩემს ძმას. აი, მექანიკურად ასეა, ასე ჩანს, მაგრამ
საიდან მოდის, საწყისი ვინ იცის? საიდან მოდის
გაუს გენია, არავინ იცის, ილია საიდან მოდის, ვინ
რა იცის? საიდან მოდის იაკობ ნიკოლაძე?

იჯ. — თქვენი წინაპრები ხატავდნენ?



გ.ო. — არა! ვიღაც. ოდესლაც მჭედლები იყვნენ.. ვიცი, რომ რაღაცას ჭედავდნენ, მაგრამ ასე ხალიბებიც იყვნენ მჭედლები. მინდა ვთქვა, რომ ეს საქმე ჰევსურეთში პატივისცემით არ სარგებლობდა. ეს არ შეიძლებოდა რაიმე ღირსების ნიშანი ყოფილიყო. ეს კომპლექსი ძალიან დიდხანს მქონდა, შეიძლება ახლაც მაქვს.

იჯ. — თქვენი მუშაობის სტილი როგორია, დიდხანს ფიქრობთ, დიდხანს ატარებთ იდეას თუ იმპულსურად ქმნით?

გ.ო. — არა, არა! მე ძალიან დიდხანს ვმუშაობ, ძალიან დიდხანს. აი, წელან რომ ვახსენე დეიდას მეუღლე — ნიკო მაკალათია, ვინც პოლიტიკური პატიმრობა მოიხადა და სამეგრელოში დაიმარხა საბოლოოდ, ხნიერი, ძალიან ნიჭიერი, განათლებული, უცნაური კაცი იყო და ჩვენს ფირმირებაში მან ითამაშა გარკვეული როლი. გადასახლებიდან დაბრუნებული ჩვენთან იყო სტუმრად და მან მითხრა ერთხელ: — შენ თუ მხატვარი ხარ, აღდათ აუტანელი ხარო, იმიტომ, რომ მხატვარი ფეხმძიმე ქალს ჰგავს, იდეა ჩაესახება და ჭირვეული ქალივით არის, მიზეზობს და წელი ასატანია მისი ჭირვეულობათ. შენ თუ მხატვარი ხარ, ერთ „ბავშვს თუ ახენ“, მეორე უკვე უნდა გყავდეს „ჩასახული“ და წარმოიდგინე, მათ თვალში როგორ გამოიყურები, ეს ყოველთვის უნდა გახსოვდესო — მითხრა და ეს გაკვეთილი მაქვს ბოლომდე. ძალიან კარგი ფორმულა გააკეთა. მუდმივი ფეხმძიმობა მთლად მომგებიანი პოზიცია არ არის კაცისათვის, მაგრამ ეს პროცესი მუდმივია. შემოქმედება, მართლაც, რაღაც ის შექმნაა, აშკარა სუბლიმაციაა ქმნის, არა? ავრეა, კაცი ხარ თუ ქალი, ის უნდა შვა შენ, ძალიან საწვალებელია, ზოგი იოლად აკეთებს ამას.

ახლა ვიცი და ვაფასებ, ადრე შეიძლება არ ვიცოდი და ვამაყობ, რომ იოლად არ ვუფურებ ამ საქმეს, პატარა რამეც დიდი წვალების შედეგადაა, თუ რამეს ვაგნებ, დიდი წვალების შედეგად.

იცით, აკადემიაში ვასწავლი დიდი ხანია და ჩემს მოწაფეს თუ შევამჩნიე, ხელმარჯვე, ძალიან სწრაფად გამოსდის წოველივე, ყველაფერს ვაკეთებ, რომ გავათავისუფლო ამ ხელმარჯვეობიდან და დავანახო, რა არის მთავარი, რომ იოლად გამოსავალი არაფერი დაუტოვო და ამას კარგი ნაყოფი მოაქვს. თუ ხელმარჯვეობას წაპყვა, ახლა ისეთი „ისტატები“ გვყავს, პირდაპირ „აყვავებულია“ საქართველოც, რუსეთიც და მსოფლიოც ამ „ხელმარჯვებით“, ამიტომ შემდეგ ძნელი გასარჩევია, განსაკუთრებით გაუწაფავი მაყურებლისათვის, რომელია ნაძღვილი მხატვარი. წარმოიდგინეთ, სეზანი როდესაც მუშაობდა ერთ ეტიუდზე (შვილი იგონებს, შემდეგ ცნობილი რეჟისორი), აუტანელი იყო სახლში, როცა ეტიუდი არ გამოსდიოდა. წაიღებდა ეტიუდს პლენერზე და მოიტანდა უკმაყოფილო, მახსოვს ერთი ეტიუდია, სამი დღე დაღიოდა და ვხედავდიო, რომ სამი-ოთხი მონასმი აკლდა ამ ტილოს (სეზანს ძალიან უყვარდა „ვერცხლისფერი დღე“, კარგად გრძნობდა ამ ტრიალობას), სამი დღე ატარა ეს ტილო და ერთ დღეს ბედნიერი მოვიდა, ყველა გაგვამზიარულა, იხუმრა, კარგად ისაღილა და ხელად მიგხვდი, რაშიც იყო საქმე, ვნახე სამი, სამად სამი მონასმი, გაბედა და წაუსვა. ეს ძალიან კარგი მაგალითია, რომ ჭეშმარიტება არ შეიძლება მოტყუება იყოს. ჩვენ გვევავდა ხიტა ქუთაოელაძე, რომელსაც სულ დაუმთავრებელი ტილოები აქვს და ბევრი სიბრივით მის სისუსტეს მიაწერდა. სინამდვილეში ის იყო ძალიან ფაქიზი და სადაც არ იყო ზუსტი, ტოვებდა იმ ადგილს, ვერ ბედავდა, ვეღარ გადალახა ეს საზღვრები, სიკვდილის შემდეგ ყველამ დააფასა, რამდენად ფაქიზი მხატვარი იყო. „ხელმარჯვები“ კი ისე აკეთებენ ტილოს, ქანდაკებებს, რომ დღეში გააკეთებენ, რასაც გინდა.

იჯ. — თქვენი შეხედულებით, როგორია ახალგაზრდობა სახვით ხელოვნებაში?

გ.ო. — ჩემი მოწაფები, რასაც ვამბობ, ეს ცოტა პრეტეზიული განცხადებაა — ჩემი მოწაფები. შეიძლება ის არ მოვლის თავის მასწავლებლად, მაგრამ ვისაც ვასწავლიდი, დაუზოგავდ ვასწავლიდი, რაც ვიცოდი, ვთვლი, რომ ეს არის ძალიან კარგი საფუძველი დღევანდელი პლასტური ხელოვნებისათვის. მარტი ჩემი წყალობით არ არის, მაგრამ მეც არ დამიზოგავს თავი მათ ჩამოყალიბებაში, რომ სერიოზული მხატვრები ყოფილიყვნენ. თუ ხელშეწყობა ექნებათ საქართველოში, ეს ძალიან დიდ ნაყოფს გამოიღებს. რამდენიმე სახელია, რომელთა შემოქმედება აუცილებლად გაანათებს საქართველოში. ახლა საქართველოში სახვითი ხელოვნებისადმი სხვა მენტალიტებია,

სხვა სახელები უდერს ჩვენთან. კომუნისტური ინტერცია ისევ, სხვა რამე ფასობდა, სხვას აფინანსებდა, აქეზებდა და პროპაგანდას უწევდა სახელმწიფო აპარატი, თუმცა, სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, განსხვავებით რუსეთისაგან, შემოქმედების თავისუფლება იყო, მაგრამ დაფინანსების პოლიტიკა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სახვით ხელოვნებაში, მცდარი იყო. აფინანსებდნენ მხოლოდ მონუმენტურ ხელოვნებას, ესეც ფსევდომორნუმენტური აღმოჩნდა, უბრალოდ, კოლოსების იდგმებოდა დიდი, თავისი იდეების პროპაგანდისათვის და დაზგური ხელოვნება, ეს ხელოვნების საფუძველთა საფუძველი მსოფლიოს ყველა კულტურული ერისათვის, ნაკლებად ფინანსდებოდა. ამას მხოლოდ გამოფენაზე ფინანსება და შემდეგ ქრებოდა საწყობებში. შეზეუმებიც არ იყო აშენებული და ამიტომ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ამ პოლიტიკის გამო არ განვითარდა ჩვენთან, მთელ რუსეთში, საბჭოთა კაშირშიც.

დაზგური ხელოვნების ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ როდენი, მათილი საფრანგეთში, იტალიაში მარტინი, მარინი, გრეკო, მანუ ან ინგლისში ჩედვიკი, მური, ანდა მატვევი რუსეთში უნდა ყოფილიყვნენ გავრცელებულნი, მაგრამ ეს მონუმენტური პროპაგანდისტული ხელოვნება გადაჰყვა იმ პოლიტიკურ დროს და სიცარიელეში აღმოჩნდა რუსეთი. ასევე, საქართველოში არ არის საფუძველი, არც კულტურული, არც ფინანსური, სახვითი ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი დარგის – დაზგური ხელოვნების აღორძინებისა. მხატვართა კავშირის თავმჯდომარედ ვარ არჩეული და ვცდილობთ, რომ რაღაც დაფინანსების წყარო ვიპოვოთ. ავტონომიური სახელმწიფო ახალი პროგრამით აღარ აფინანსებს სახვით ხელოვნებას, ბიუჯეტი აღარ ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამო და ამიტომ ავტონომიური, საკუთარი დაფინანსების წყარო უნდა გამოვნახოთ. რაღაც ჩანს, ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, რომ რაღაცას მივაღწევთ. ერში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს მყარი საფუძველი, თორებ ამ ფსევდომორნუმენტურიდან პირდაპირ უსაგნო ხელოვნებაზე გადავიდა ჩვენი ხელოვნება და მალე ქართული სახვითი ხელოვნება წაიშლება, განსაკუთრებით ფერწერაში.

ქნდაკებაში კიდევ არის შენსი სკოლის შედეგად, ფიგურატულ ქნდაკებას აკეთებენ. დიდი კონტაქტებია და ჩვენი მხატვრები უკვე გადიან ბაზარზე. ბაზარი არის განმსაზღვრელი ხელოვნებისა და უკვე ნელ-ნელა იმ აბსტრაქტული, თანამედროვე სკოლის შემთხვევაში ნაკლები მყიდველი ჰყავს. ამას ყიდულობენ გამდიდრებული ობივატელები, ყველაზე ჭუჭყიანი მდიდარი საზოგადოება.. ფიგურატულ ხელოვნებას კი უფრო სერიოზული მუზეუმები, უფრო სერიოზული კომერციული მყიდველები გამოუჩნდნენ. ეს აჩვენებს, რომ ინტერ-

ესი იზრდება და შეიძლება ჩვენმა პროვინციულმა მდგომარეობამ ამაში გვიშველოს. ქანდაკებაში უკვე გაყავს კადრები. დასავლეთში ეს აღარ ისწავლება, ფიგურატული ქანდაკებების სპეციალისტებიც აღარ არიან. ჩემი მოწაფებები ახლა გადიან დასავლეთში, მონაწილეობენ სიმპოზიუმებში და ირკვევა, რომ მათ ადამიანური ქანდაკების ძერწვა აღარ იციან, ქრება ნელ-ნელა, ჩვენ კი ამ სტალინური უბედურებით, ეს ღირსება დაგვრჩა და კიდევ შეიძლება გავაკეთოთ ხელოვნება.

ივ. – თქვენი მრავალი ნამუშევარია დადგმული, ანდა როგორ აფასებთ ამ ნამუშევრებს?

გო. – როგორც გითხარით, ყველაფერს მძიმედ. არ მაქვს ნამუშევარი, რომლის შეცვლა არ მინდოდეს. არცერთი ნამუშევარი ნორმალურად არ გამიკეთება, სულ რაღაც წნების ქვეშ ვიყავი, ეს დამყვა და ნორმალურ პირობებში გაკეთებული ნამუშევარი არ მაქვს. ერთადერთი ნამუშევარი, რომელიც გავაკეთე დამოუკიდებლად, არის „დაჩქილი სამშობლო“, ზოგი ეძახის „დაჩქილი საქართველო“. მაგ სახელით და ნიშნით არ გამიკეთება. ამის გარდა, დანარჩენს ისე ვისხენებ, როგორც წამებას. აკადემიაში ერთი კომპოზიციის გაკეთებისათვის, მეომარს, საწვივეს უკრავდა დაჩოქილი დედა, სტიპენდია დაგვარგვე. მეოდე ური საბჭო მოიწვიეს და საჯარო განსჯა იყო. ახლა გაგეცინება, იმდენად პრიმიტიული ნამუშევარია და შეიქმნა აზრი, რომ არ ვაკეთებ რაღაც ნორმალურს, ამას არ ვამბობ არც კარგად, არც ცუდად, ბედად ვამბობ, რა არის ბედი. დიპლომი გავაკეთე. აჯანყება ერქვა და დიპლომი რომ გადაერჩიათ, დაარქვეს „1905 წელი“, ახლა ლანჩხუთში დგას. სპეციალური დახურული განხილვა მოაწყო მოსკოვში დიდმა აკადემიამ და სალანდავად გამოვიდნენ: აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდროვი, ვიცეპრეზიდენტი მანიზერი, კრუტკოვსკი, კერზონი, ეს საშინელი რეაქციონერები და მლანძლეს რაღაც წარმოუდგენლად, მართლა გამიკირდა. ამას რომ ვაკეთებდი, მიუხედავად ჩემი პოზიციისა, უსაგნოდ ვფიქრობდი და არაფერი ამაში არ ჩამიდევს. აქედან მოსკოვში გამოვიდახეს რექტორი, ჩემი ხელმძღვანელი და მე. ერთი მოსკოველი სომეხი მხატვარია ნიკოგოსიანი, ძალიან პოლულარული მოსკოვში, დამიცვა. ეს 1953 წლის ზაფხულში მოხდა. სტალინი უკვე გარდაცვლილი იყო, გამოვიდა ნიკოგოსიანი, ისტერიულად დამიცვა და გააძევეს დაბაზიდან. იქიდან ეს ნამუშევარი დამტკრული გამოგზავნება.

ვაჟა-ფშაველას ოთხი წელი არ მიდგამდნენ, თუ ფეხზე არ ჩავაცმევდი. ბევრი რამ გამაფუჭებინეს. ვაკის პარკის ნამუშევარზე ცამეტი წელი სულ რაღაც პირობას მიყენებდნენ, ტანკისტი უნდა დამესვა. აიღეს და გადაყარეს ისიც, დაამტკრიეს. სადი პლობო ნამუშევარი, რომელიც გადიდებული ახლა ლანჩხუთში დგას, პუტჩის დროს დაამტ-

ვრიეს. ქანდაკებაზე ფაქტობრივად ხელი ავიღე, ველარ ვძერწავ, აზრი არა აქვს. შეიძლება, რასაც გააკეთებ, ყველაფერს ასე შეხვდნენ? თუმცა ვაკის პარკის ნამუშევარში სახელმწიფო პრემია მომცეს და დიდი რეზონანსი ჰქონდა მხატვრებში. ისეთ მხატვრებში, ვისაც პატივს ვცემდი და ისეთშიც, ვისაც პოლიტიკური ავტორიტეტი ჰქონდა. შემდეგ მოიწონეს საზღვარგარეთის ზოგიერთმა კარგმა მხატვრებმა და ისეთმა ადამინისტრმა, როგორიც ტეტჩერია. ტეტჩერის აზრი ვიცი და პაუილორდის, რომელმაც ვაკის პარკზე თქვა, დავიჩიქებდი, რომ არ მრცხვენოდეს (ეს ჩერქეზიამ გადმომცა). ამიყარა გული ამ მუდმივმა წინააღმდეგობამ. ეს მეამაყება, მაგრამ ძალიან მძიმედ მოქმედებს, ფაქტობრივად აღარ ვაკეთებ აღარაფერს ამდენი ხანია. ათი წელია, ქანდაკებას ხელს აღარ გყიდებ, აღარაფერი გამიკეთებია. ჩემთვის, სახლში გრაფიკაში ვერთობი.

იჯ. — მთელი თქვენი ცხოვრება რომ შეაფასოთ დღევანდელი გადასახვდიდან, რას იტყვით?

გ.ო. — რასაც ვაკეთებდი, ოფიციოზის უარყოფით რეაქციას იწვევდა ყოველთვის, ეს რაღაც კარგს მაფიქრებინებდა, მაგრამ ხომ შემაფერხა? გამიჭირა საქმე, გამიჭირდა.

მაგალითად, ჩემს კოლეგებს, ჩემი თაობისას, სახელოსნოები სახელმწიფომ აუგო. სახელოსნო, სახლი, ყველაფერი ჩემი თანხით ავაგე. სახელმწიფო შეკვეთა არ მქონა, ხომ დაუჯერებელი! ეს ვაკის ამხელა სახელმწიფო შეკვეთად ქცეული ნამუშევარი, ძალიან შემთხვევითია. ლადო მესხიშვილს შეუკვეთეს მემორიალის გაკეთება და მთხოვა, ერთი საფლავის ქვა გამეკეთებინა იქ. გავაკეთე „ფარტაზია“, ასე დაგარქვათ და მას ვაჩვენე. ლადოს ძალიან მოეწონა და აგორდა ნელ-ნელა, მან ვიღაცას აჩვენა, მოუწონა, გაგრძელდა, გაგრძელდა, გაიბერა და შეკვეთად იქცა. ჩემს კოლეგებთან შედარებით, ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან განსხვავებული იყო ყოველთვის. ვაკის პარკის დიდების მემორიალის დადგმის უფლებას 14 წელი არ მაძლევდნენ. ერთ წელს მოიწონებდნენ (მუავანაძის დროს დაიწყო), მეორე წელს აუცილებლად რაღაც შარი. ეს ჩემი კოლეგების ინტრიგა იყო. იმდენი ზნედაცემულობა და სიმდაბლე ვნახე, რომ საოცრება იყო. ეს 14 წელი გაგრძელდა, ცეკა იყო ძალიან წინააღმდეგი და არც მალავდნენ. მაშინ შევარდნაძე იყო ცეკას მდივანი. ხშირად ვხვდებოდი და გერ იტანდა, ამას არ მაღავდა, პირდაპირ აბბობდა, მაგრამ ჩემი დღევანდელი პოზიციის მიუხედავად, არ შემიძლია არ ვთქვა, ბოლომდე მიმატანინა ეს ნამუშევარი და არ ამიკრძალა. აკრძალეს ორჯერ, მაგრამ შევხვდებოდი, ვესაუბრებოდი, მერე დათანხმდებოდა. იყო ძალები, რომლებიც ამის წინააღმდეგ ძალიან მუშაობდნენ, დაახლოებით ვიცი ზოგიერთი, მაგრამ იმდენად ჭუჭყიანია, რომ არც მინდა ამის გახსენება.

იჯ. — ყველაზე დაუკინებული დღე თქვენს ცხოვრებაში.

გ.ო. — ეს პროვოცირებული კითხვაა. ერთი დღე მაქვს ასეთი. ეს კითხვა თავისთავად პასუხს გულისხმობს. იმაზე დიდი დღე არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომ თავისი ერთს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერო ხელი. ამაზე, რა თქმაუნდა, არასოდეს მიოცნებია, გამორიცხული იყო, თავში გამევლო, რომ ამას მოვესწრებოდი, ან მათ, ვინც იქ ხელი მოაწერა, ეს ტყუილია. შეიძლება გამსახურდიას ჰქონდა რწმენა, რომ ეს მოხდებოდა, მაგრამ არავინ თქვას, ამას ელოდა ვინმე. ამას არავინ დაუშვებდა. იმდენად მძიმე იყო ტოტალიტარული რეჟიმი, რომ ჩემ ირგვლივ ამაზე არავინ ფიქრობდა. მთავარი იყო, შეგენარჩუნებინა თავი ამ სიკვდილის დროს, არა პირადი სიკვდილის დროს, არამედ კაცობრიობა რომ კვდება, სიბნელე რომ მოდის, ერთადერთი, შეგენარჩუნებინა ღირსება. ამას ვინ იუგირებდა, რომ მოვიდოდა ეს დამოუკიდებლობის დღე. ტყუილია, რომ ვიღაცა ელოდა ამას, ტყუილია! კიდევ ვამბობ, კოსტავა და გამსახურდია, ეს მეოცნებები გმირები, მამა გამსახურდიას მიერ გაწვრთნილები და გაზრდილები, შეიძლება ელოდნენ ამას, იბრძოლებს და მოვიდნენ აქამდე, მაგრამ სხვას ამისთვის არავის უბრძოლია. ყველა იბრძოდა თავისი ღირსების გადასარჩენად. 42 წლის ხალხიც, ინტელიგენცია, რომელიც დაიხვრიტა, დაისაჯა, გააჩუქრეს ან გადააგვარეს. ბრძოლა იყო ღირსების შენარჩუნებისათვის და არა იმისათვის, რომ მიაღწივ შენი ერთს თავისუფლებას. ვამბობ, არავინ ფიქრობდა ამაზე და მით უმეტეს მე, პოლიტიკის გარეშე მდგარი კაცი. იქაც ხომ ისე მოვხვდი, თითქმის იძულებით, დამაძალეს ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც შემდეგ სხვა გზაზე წავიდნენ, ამ პოზიციის საწინააღმდეგო გზაზე, ისინი მაძალებდნენ, რომ დეპუტატი ყოფილიყავი და მერე გამსახურდია, რომელთანაც არ მქონდა სიახლოებები, უნდა ვთქვა, არ ვიცნობდი. ვიცნობდი მის მამას, ძალიან ვამაყობდი ამ ნაცნობობით და დას, რომელიც ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ქალი იყო საქართველოში, ვისაც კი ვიცნობდი და შევხვდებორივარ ცხოვრებაში.

იჯ. — თქვენ მონადირე ბრძანდებით. მონადირებასთან მე არავითარი კავშირი არ მქონა, მაგრამ მგონია, რომ მონადირე მოგზაურიც არის, სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა აღვილებში უჩდება ყოფნა, ისეთ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივი მოკვდავი შესაძლოა არასდროს მოხვდეს. რა იყო თქვენთვის მონადირეობა და მოგზაურობა?

გ.ო. — ვერც დავაკავშირებ. ვიცი, რა პასუხს ელით, მაგრამ არა მაქვს ეგ პასუხი. მოგზაურობა არ მიყვარს. აი, მაგალითად, იქვე ფშავში, ჩემს საყვარელ არაგვის ხეობაში, იმ მთებზე, სადაც სანადირო არაფერი იყო, არ ვყოფილვარ, ის არ მაინტერესებს, მაგრამ სადაც სანადირო იყო რამე, არ

ვიცი, რა დაბრკოლება უნდა ყოფილიყო, რომ არ მენახა. ნადირობასთან დაკავშირებით მაქვს ყველაფერი წანახი, საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც, მთაშიც და ბარშიც. ახლა ჩვენ ის მდგომარეობა არა გვაქვს, არც ცხოვრება მქონია ისეთი, არც სახელმწიფოში ვცხოვრობდით ისეთში, რომ საფარები მიმეღო მონაწილეობა და ლევინგსტონივით ვთქვათ, აფრიკა მენახა. ამიტომ მოგზაურობას ჩემს მონადირეობასთან ვერ დავაკავშირებ.

ნადირობა არის დიდი ვნება, დიდი გატაცება, დიდი ინსტინქტების მოძალება აღბათ. ტყუილია ის, რომ ნადირობას ვიღაც მისდევს ბუნების შესწავლისათვის, შეიძლება დარელი მისდევს, მაგრამ ეს არის ძლიერი ინსტინქტი პირველყოფილების, ბუნებასთან ზიარების. ბუნებასთან კავშირი არ არსებობს, როცა წარმოადგინება, მაშინ ბუნების წარმოადგინება, როგორც პირველყოფილი ადამიანი, ყველაზე სრულყოფილი ბიოლოგიურად, სრულყოფილი წევრი კოსმოსისა თუ დედამთწისა ხარ წარმოადგინებასთან და ოვზაობისას. სხვისთვის, არამონადირესთვის, ეს სრულიად გაუგებარი მდგომარეობაა. ადრე არ მესმოდა, ვინც არ წარმოადგინება, რატომ იკლებდა ამ სამყაროში ყველაზე დიდი წვდომის საშუალებას. ახლა იმას ვერ ვიტყვი, ვინც წარმოადგინებას, მას უფრო განსხვავებული და ამაღლებული წვდომა ჰქონდეს სამყაროსადმი, რადგან უამრავი პრიმიტიული ხალხი წარმოადგინება, მაგრამ როდესაც ტოლსტოი წარმოადგინება, როდესაც ვაჟა-ფშაველა წარმოადგინება, მაგალითია, ახლა ჰქონდება არც მინდა ვახსენო, ფოლკნერი, ტურგენევი, ვინც არ წარმოადგინება და როგორც ისინი ამაზე წერენ, განსაკუთრებით რუსები, იქ წააწყდები წანდახან რა ძევს წარმოადგინები. ამას ვერ ვხსნი, მნელია ამის ჩამოყალიბება, მაგრამ ის შეხება რაღაც სრულიად განსხვავებულთან, სრულიად უხილავთან, რაც ამ სამყაროშია, ეს მხოლოდ წარმოადგინებას და ოვზაობის წყალობით ხდება, სხვანაირად ამას ვერ იგრძნობ. რომ არ წარმოადგინებით და ამის ახსნა, კიდევ ვამბობ, მნელია.

იჯ. — ბარ გოგი! მთაში თუ ყოფილხარ, მწვერვალებზე?

გო. — არც შეიძლება მწვერვალი დაარქვა, ერთხელ ვიყავი სვანეთში, ექსპედიციაში და რაღაც

ყველაზე დაბალი კატეგორიის ორ მწვერვალზე და ორ გადასასვლელზე ვიყავით. ყველაზე იოლი იყო იქ ასვლები, იმიტომ, რომ ტვირთი დავაწყეთ და პირდაპირ ავირბინეთ და ჩამოვირბინეთ. ყველა მწვერვალზე, უშბაზეც ავიდოდი, ოღონდ ეს ტვირთის თრევა არ ყოფილიყო. ალპინიზმი ჩემთვის სრულიად შეუცნობელი სპორტია, სპორტი არც არის ჩემთვის. ერთხელ ქალბატონმა ალექსანდრა ჯაფარიძემ თქვა: არ მესმის, მწვერვალზე რომ მიღიან და ამაზე მედლებია, რაღაც პირობებს იუმჯობესებენ, ბინებს იღებენ, ამას რა კავშირი აქვს მთასთანო. ჩვენ რომ მივდიოდით, არასდროს ჩაგვითვლია, რომ ვიღაც მადლობა უნდა გვითხრას ამისთვისო. აი, ეს არის ალპინიზმი. ეს არის ჩემთვის ალპინიზმი და ადამიანის სრულიად სხვა მდგომარეობა, რომელსაც თუ არა ხარ, ვერ გაიგებ და ვერ გავიგე ალპინიზმი. მწვერვალზე რომ ავედი, დამებადა კითხვა, რატომ ამოვდი? ვერ ვეზიარე ამას, არ მეყო დაპეტილობა ამ კუთხით და აღარ გამიღვამს ფეხი, იმიტომ, რომ ჩემთვის ეს ტვირთის თრევასთან და ყინულზე ღამისთვევასთან იყო დაკავშირებული. რომ მენადირა, ყველაფერს გავიგებდი. რატომ ვათრევდი ამ ტვირთს ჩემს უახლოეს მეგობრებთან ერთად, რატომ ვიწევი ყინულზე იმ გაჭირვებაში, აგსულიყვავი და იქ არაფერი მანტერესებდა. აი, ზუსტი ობივატელის პოზიცია, ზუსტი, კლასიკური ფორმა და აღარც გავკარებივარ მერე, ამაზე დავრჩი და ვუყურებ ალპინისტებს, როგორც სრულიად განსხვავებულ რასას.

იჯ. — გურამ თიკანაძეზე რას იტყვით?

გო. — გურამბა რომ ალპინიზმი დაიწყო მეუკვე ალპინისტებთან მოლეული მქონდა ურთიერთობა. ჯუმბერი ჩემი მეგობარი იყო, სარგისი ჩემი მეგობარი იყო. დავდიოდი ალპურ კლუბში, წასვლაც მინდოდა, უბრალოდ პატივმოყვარეობისათვის. გურამი რომ ალპინიზმში მოვიდა, მე უკვე ნამყოფი ვიყავი მთაში. გურამი ბევრად უმცროსი იყო ჩემზე და ალპინიზმის თემა ჩვენი სერიოზული მსჯელობის საგანი არასოდეს ყოფილა. ზაფხულს იგი მთაში ატარებდა, მე სანადიროდ მივდიოდი, როგორც ყველა, თბილისში. ახლა თვლიან, რომ გურამი ფოტოსელოვანი იყო. საერთოდ, რომელი იყო მისი ძირითადი გატაცება, ახლა მნელი გასარკვევია.

Հայոց մատուռների պահպան

Տօնության վայրի բարեկարգությունը և պահպանը



26 նոյեմբերს, տօնության վայրությունում, Արքայի պահպանության մասնակիությամբ, Հայոց մատուռների պահպանի համար առաջին առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:

Առաջարկությունը պահպանի համար առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:

Առաջարկությունը պահպանի համար առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:

Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:

Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:

Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:

Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկությունը կատարվել է Հայոց մատուռների պահպանի համար առաջարկության մասնակիությամբ:



ექვინიგორის შემოქმედი

ჯერ კიდევ პატარა იყო, უანქრებით და ფუნქებით რომ ხატავდა... დადა ხშირად უბრაზდებოდა, რადგან მოული თთახი მოხატული ჰქონდა სხვადასხვა ფერით.

წამოიზარდა, უნივერსიტეტშიც ჩააბარა. მისი ბავშვობის სიყვარული ხატვის მიმართ შემოქმედებით ნამუშევრებში გადაიზარდა... თუმცა ნინო რომ გავიცანი, მითხრა, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე კსწავლობოთ. გამიკვირდა, რადგან მისი ნამუშევრები რომ ენახე, გავიფიქრე: ეს გოგონა აუცილებლად სამხატვრო აკადემიაში უნდა სწავლობდეს-ძეოქი...

ეს მისი არჩევანი იყო. ნინოს თავის პროფესიასთან ერთად უყვარს ბავშვები. სწორედ ამიტომაც აირჩია ფილოლოგია და დღეს გლობანის 132-ე საჯარო სკოლის წარმატებული ახალგაზრდა მასწავლებელია.

როცა პირველად ნინოს მუშაობის პროცესს დავუსწარი, თუ როგორ ახერხებს ბესერებით, უბრალო მძივებითა და ძაფებით შედევრების შექმნას, გავოცდი, მისი შემოქმედება ახლოს არის ადამიანის ბუნების სამყაროსთან. ის ძერწავს თითოეული ადამიანის სახეს, მათ ნაკოთებს, თითქოს ეს ნახატები რეალური არსებით არიან, რომლებსაც ადამიანებივით სტკივათ, იცინიან, უყვართ, როგორ ეწყობა თითოეული ძაფი და თვალი ერთმანეთზე, როგორ ხდება მთი დამუშავება... განსაკუთრებით ჩამრჩა ძეხსიერებაში „აუტოპორტრეტი“ და „გოგონა მარგალიტის საყურით“. მინდა საზოგადოებამ გაიცნოს ნიშიერი ადამიანები, რომლებიც კარგ საქმეს აკეთებენ ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისთვის.

ნინო მასწავლებელია. ის თვად უსხნის ბავშვებს, რა უფრო მნიშვნელოვანია დღეს მომავალი თაობისთვის, – თანამედროვე, 22 წლის თვითნასწავლი მხატვარი ნინო ალბუთაშვილი...



„მინდა, საკუთარი ღიმილიც ავაწყო ბისერებით“...

— რა გაძლევთ სტიმულსა და მოტივაციას, ასეთი კარგი ნამუშევრების შესაქმნელად?

— სიმშეიდის მოსაპოვებლად ხელოვნება საუკეთესო საშუალებაა. ჩემი ინტერესიც თითქმის სრულიად მისკენ არის მიპყრობილი. პირველი ნამუშევარი 12 წლის ასაკში შევქმნი, თუმცა არც ისე ლამაზი გამომივიდა, მაგრამ არ დაწებდი, რადგან საკუთარი თავის მჯეროდა. ყოველი მოძღვრო უფრო და უფრო უკეთესი გამომდიოდა. დიდ სტიმულს მაძლევდა ის, რომ მე შევქმნიდი ნამუშევარს, რომელიც ფართო წრის განცვითრებას გამოიწვევდა.

ასევე მე თვითონ მინდოდა საკუთარი თავის გაოცება, ნაწილობრივ შევძლი, მაგრამ სირთულებს არ ვნებდება.

მოტივაციას სწორედ ეს მაძლევს, რომ მინდა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მივაღწიო. თუმცა ჩემ გარშემო ადამიანების აღფრთოვანებული თვალებიც, როდესაც ჩემს ნამუშევრებს უცქრებ, დიდი მოტივატორია.

— 22 წლის ხართ, გაქვთ საქმაოდ ბევრი ნამუშევარი. რას გეგმავთ ანლო მომავალში?

— პირველ რიგში, ვაპირებ, ჩემი ნამუშევრების რაოდენობის გაზრდას, თუმცა არ არის მარტივი, რადგან დიდი დრო სჭირდება. ასევე როგორია ნამუშევრების თემის მოფიქრება. ყოველთვის ვცდილობ, რამე განსხვავებული შევქმნა. მიტაცებს სირთულეები...

ძირითადად, ასეა — ყოველი მომდევნო წინაზე უფრო როგორი გასაკეთებელია. ამით საკუთარ თავს გამოცდას ვუწყობ. აქედან გამომდინარე, რაც მალე შევძლებ ახალი ნამუშევრების შექმნას, მით უფრო, მალე გავიტან მათ გამოფენებზე.

ვგეგმავ პერსონალურ გამოფენებსა და ნამუშევრების უცხოეთის ბაზარზე გატანის. დიდად მოხარული ვიქნები, თუკი ეს საქმე ჩემი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო გახდება, არაფერია იმაზე უკეთესი, აკეთო ის, რაც გაინტერესებს და მისგან მიიღო შემოსავალი.

— რატომძაც შეგვისი ნიჭიერი ადამიანების შესახებ ნაკლებად იცის აუდიტორიამ. რას მოუწოდებ შენს თანატოლებს, როგორ მოახდინონ თავისი თავის ინტერიერება? რა აკლია ჩვენს საზოგადოებას, რომ შეგვისი თემებით უფრო დაინტერესდნენ, ვიდრე სხვისი ცხოვრების განკითხვით?

— ჩვენ გარშემო უამრავი ნიჭიერი ხელოვანი და შემოქმედია, თუმცა მათ უჭირთ თავიანთი თავისი წარმოჩენა. ვერ ვიტყვით, რომ მათი ბრალია. ამაში ხელს საზოგადოების ინტერესი და ქვეყნის პოლიტიკაც უნდა უწყობდეთ. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არც ისე ბევრი საშუალებაა ხელოვანისთვის, რომ თავი წარმოაჩინონ, ამიტომ ვურჩევდი მათ, რომ მაქსიმალურად განავითარონ საკუთარი თავი, არასოდეს გაჩერდნენ, რადგან ერთ დღესაც შესაძლოა, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდნენ და

გაუმართლოთ. იმისთვის, რომ დაინახო და იგრძნო ხელოვნება, დააფასო ის, საჭიროა განათლება, რაც უნდა მოდიოდეს სკოლიდან, ოჯახიდან, ყველანაირი გარემო პირობიდან. ადამიანებს სჭირდებათ აღზრდა იმისთვის, რომ შეიყვარონ ხელოვნება, აღმოაჩინონ უფრო მეტად საინტერესო რამ, ვიდრე „სხვისი ცხოვრების განკითხვაა“.

— ურნალისტებს რას ურჩევდით?

— მნიშვნელოვანია, გიყვარდეს და მოგწონდეს შენი საქმე, მხოლოდ ამის შემდეგ გახდები პროფესიონალი.

ურნალისტებზე ბევრია დამოკიდებული, რა თემებსაც ისინი ყველაზე ხშირად აშექებენ, ხალხის ინტერესიც იქით მიდის. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ფორმირებაში მათი როლი დიდია.

ჩემი აზრით, მათ უნდა შეეძლონ და დაინახონ, რა აკლია საზოგადოებას, რა მისცემს ადამიანებს საშუალებას, რომ უფრო მეტად განვითარდენ. ამიტომ ყველა დამწყებ ურნალისტს ვურჩევდი, დაწერონ ისეთ თემებზე, რაც ნამდვილად ფასეულია, საინტერესოა, რაზეც არც ისე ხშირად წერენ. ამით საკუთარ თავსა და საზოგადოებასა მეტი განვითარების საშუალებას მისცემენ

— უახლოეს ხანში გამოფენას წომ არ გეგმავთ?

და რას ეტყვით აუდიტორიას — რატომ შექმნით საკუთარი პორტრეტი, რა გინდოდათ გეთქვათ ამით?

— როულია წინასწარ ვთქვა, სად და როდის ვგეგმავ, თუმცა ამისთვის მზადება დავიწყე. რაც შეხება საკუთარ პორტრეტს, იმიტომ შევქმნი, რომ მაინტერესებდა, რამდენად გამომივიდოდა ადამიანის სახის შექმნა ბისერებით, საკუთარი პორტრეტის შემდეგ კი მინდოდა, უფრო დახვეწილად სხვისიც გამეცეთებინა.


კიდევ ერთ ექსკლუზივს გეტყვით, რომ ვაპირებ, საკუთარი ღიმილიც ავაწყო ბისერებით. აუცილებლად გაგაცნობთ თქვენც და აუდიტორიასაც, თუ როგორი გამოვა ჩემი ნამუშევარი. მადლობა, რომ მაძლევთ საშუალებას, საზოგადოებამ უკეთ გაიცნოს, თუ როგორ და რას ვემნით ხელოვანი ადამიანები. მინდა წარმატება გისურვოთ.

დღდი მადლობა გულწრფელი საუბრისთვის, აგრეთვე, შემოქმედებით წარმატებას გისურვებთ.

ესაუბრა მარიამ შარიცივაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ურნალისტიკის ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი

სიმონ ჭავჭავაძე -75

მიმდინარე წლის 26 ნოემბერს პოეტსა და მხატვარს, 7 ინტელექტუალური რეკორდის ავტორს, სიმონ ჯაფარიძეს (იმერი ხრეველს) დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. პოეტმა საკუთარი იუბილე ორი ახალი კრებულით აღნიშნა.



ვულცავთ ბატონ სიმონს ლირსშესანიშნავ თარიღს და საიუბილეოდ მისი ორი ახალი კრებულის (ბულგარული პოეზია, გამ-ბა „საარი“, „შემეცნების სამყარო“, გამ-ბა „ლეთა“) დაბადებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

გოჩა სოზიაშვილი

ლუიჯი პირანდელი

ქალალდის სამყარო

ვია ნაციონალებზე, ზედ გამზირის დასაწყისში ხმაური და ჰყლება იყო; ბრძოს ცენტრში ორი მოკამათე იდგა: თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნა და სენიორი ნევივით გაყვითლებული ფიზიონომიით, რომელზეც ახლომხედველის სათვალის ბოთლის ფსკერივით სქელი მინგი უბრწყინავდა.

ეს უკანასკნელი საშინელი წრიპინა ხმით ცდილობდა საკუთარი სიმართლის დამტკიცებას და ზელებს აქტი-იქით იქნევდა. ერთ ხელში უკალმუხის სპილოსმელისთავიანი ხელჯონი ეჭირა, მეორეში – წიგნი, რომელიც, შრიფტის მიხედვით თუ ვიმსჯელ-ებდით, ძველებური უნდა ყოფილიყო.

ბიჭუნა გაჰყვიორდა და ფეხებს აბაკუნებდა, თან ტერაკოტის პატარა უხამისი ქანდაკების ნამსხვრევებს ურტყამდა წიხლებს.

მაყურებლებიდან ზოგიერთი ხმამაღლა ხარხარებდა, სხვებს შემწენარებლური გამომეტყველება ეწერათ სახეებზე, ზოგიერთებს – მეტისმეტად დიდატიკურიც; მცირეწლოვანი ონბაზებიდან კი, რომლებიც ფარნებზე ამძვრალიყვნენ, ზოგი ყეფდა, ზოგი უსტვენდა, ზოგი მომუშტულ ხელებში ზუზუნებდა.

– ეს უკვე მესამეა! ეს უკვე მესამეა! – ღრიალებდა სენიორი, – მე ზეზულად ვკითხულობ, ის კი განგებ მიგდებს ფეხებში თავის ამაზრზენ ქანდაკებებს, რომ ძირს დავანარცხო. ეს უკვე მესამეა! ის ჩემზე ნადირობს! მდარაჯობს! ერთხელ კორსო ვიტორიოზე, მერე – ვია ვოლტურნოზე, ახლა – აქ...

ქნდაკებებით მოვაჭრე ბიჭუნა, თავის მხრივ, ცდილობდა საკუთარი მტკიცებულებებითა და თავის მართლებით დაერწმუნებინა იქვე მდგომი თავის უდანაშაულობაში:

– არა, რას ამბობთ! ის თვითონ არის დამაშავე! სულაც არ კითხულობს! პირდაპირ ჩემს საქონელზე აბოტებს! ან ვერ ხდავს, ან ღრუბლებში დაფრინავს, რაც არ უნდა იყოს, აი, რა გამოვიდა...

„მაგრამ სამჯერ?“ – სიცილით ეკითხებოდნენ მსმენელები.

ბოლოს და ბოლოს ბრძოს გარღვევა ორმა პოლიციელმა მოახერხა, რომლებიც მთლად გაოფლილიყვნენ და ქშინავდნენ; რაკი მათი გამოჩენისთანავე მოპაექრე შხარეებმა ურთიერთბრალდებები გააძლიერეს და ხმასაც აუწიეს, წესრიგის დამცველებმა გადაწყვიტეს, საყოველთაო სანახაობისთვის ბოლო მოედოთ და ორივენი პოლიციის განყოფილებაში წაებრძანებინათ დაქირავებული ეტლით.



ის იყო, სათვალიანი სენიორი ეკიპაჟში ჩაჯდა, რომ მაშინვე მხრებში გაიმართა, მთელი ძალით წაიგრძელა კისერი და თავის აქეთ-იქით ქნევას მოჰყავა. მერე კი, თოთქოს თავის ქანქარით დაღლილმა, წიგნი გადაშალა და თავი შიგ ისე ჩარგო, ცხვირით ფურცლებს მიეკრო, მერე სახე მოაშორა, სათვალე შუბლზე აიწია და ისევ წიგნში ჩაძვრა – ახლა შეუიარაღებელი თვალით ცდილობდა წაკითხებას; ამ პანტომიმის შემდეგ უცებ საშინლად აღელდა, სახე შიშისა და სასოწარებელისგანაც კი დაემანჭა:

– ო, ღმერთო!.. თვალები... ვერ ვხედავ... ვერ-აფერს ვერ ვხედავ!

მეტლემ მკვეთრად გააჩერა ეკიპაჟი. პოლიციელი და ქანდაკებებით მოვაჭრე ისე შეცბნენ, ვერც კი ხვდებოდნენ, ეს სენიორი სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ჭკუიდან შეცდა; პირები დაედოთ და ვერ გადაწყვიტათ, გაეცინათ თუ არა.

იმ ადგილის სიახლოეს, სადაც ეკიპაჟი გაჩერდა, აფთიაქი იყო; კართან უკვე შეკუჩებულიყო სეირის მოყვარული ხალხი – ზოგიერთები ეტლს გამოჰყოლოდნენ აქამდე, სხვები კი იქვე მიხვდნენ, სასერო ელოდათ და საცქერლად გაჩერდნენ;

სათვალიანი სენიორი, მიცვალებულივით გაფიორებული, მთლად ძალაგამოლებული და დათრგუნული, ხელკავით შეიცვანეს შენობაში.

გზადავზა კვნესოდა. სკმზე დასვეს. იჯდა და თავს აქევვდა, მუხლებს ხელისგულებით ისრესდა – ურულას აეტანა და ვერ წენარდებოდა, არც აფთიაქარს აქცევდა ყურადღებას, რომელიც ამაოდ ცდილობდა, მისი თვალები გაესინჯა, არც მაყურებლებს, რომლებიც ამშვიდებდნენ, ამხნევებდნენ და რჩევებსაც კი არ იშურებდნენ: უნდა დაწყნარდე, არაფერია საშიში, დროებითი დარღვევაა, სიბრაზის შემოტევისგან თვალთ დაგიბნელდაო... უცებ თავის ქნევა შეწყვიტა, ხელები ასწია, თითების გაშლა-შეკუშვას მოჰყვა.

– წიგნი, წიგნი! სად არის ჩემი წიგნი?

იქ მყოფებმა შეცბუნებულებმა გადახედეს ერთმანეთს, მერე კი გაეცინათ. მაშ, მას თან წიგნი ჰქონდა? და გამბედაობა ჰყოფნიდა, გზადაგზა ასეთი თვალებით ეკითხა? როგორ... სამი ქანდაკება? აი,

როგორ. და მერე ვინ, ვინ... აი ეს? აი, თურმე რა ყოფილა, განგებ უდებდა ფეხს? დახეთ ერთი! დახეთ ერთი!

— მინდა განცხადება გავაკეთო მის საწინააღმდეგოდ! — უცებ იყვირა სქინიორმა, სკამიდან წამოდგა, ხელები გამოშალა და თვალები გადმოკარგლა, რამაც მისი სახე კიდევ უფრო სასაცილო და იმავდროულად შესაბრალისი გახადა, — ყველა აქ მყოფის წინაშე მსურს განცხადო! ის გადაიხდის ჩემი თვალების გამო! მკვლელი! აქ ორი პოლიციელია — სწრაფად ჩაიწერეთ გვარები, ჩემი და მისი. თქვენ ყველანი მოწმები ხართ. პოლიციელებო. ჩაიწერეთ: ბალიჩი... დიახ, ბალიჩი, ეს ჩემი გვარია, ვალერიანო, დიახ; ვია ნომენტანო, სახლი ასმეთორმეტე, ბოლო სართული. და ამ არამათადის გვარიც... სად არის, აქ? არ გაუშვათ! სამჯერ, ჩემი სუსტი მხედველობითა და ჩემი დაბნეულობით ისარგებლა... დიახ, ბატონებო, სამი საძაგლი ქანდაკება... ა, შესანიშნავია, გმადლობთ, ჩემი წიგნი, დავალებული ვარ თქვენგან! ეკიპაჟი მჭირდება, ნება მომეცით... შინ, შინ, შინ მინდა! განცხადება გაკეთებულია.

და გასასვლელისკენ ხელის ცეცხით დაიძრა. ზღურბლთან ოდნავ წაბორძიედა, ხელი შეაშველეს, ეტლში ჩასვეს და მაყურებელთა შორის ორმა ყველაზე გულმოწყალებ სახლამდეც კი მიაცილა.

ასეთი იყო მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე ჩუმი აშლილობის ხმაურიანი და ბანალური ფინალი. არაერთხელ უმტკიცებდა ექიმი-ოკულისტი ბალიჩის, რომ სიბრავის საფრთხის შემცველი მისი სწერების ერთადერთი წამალი იყო — კითხვაზე უარი ეთქვა. მაგრამ ბალიჩი ყოველ ჯერზე ექიმს იმ გაურკვეველი ღიმილით უსმენდა, რომლითაც აშკარა სუმრობაზე პასუხობენ ხოლმე.

— არ მეთანხმებით? — უთხრა ექიმმა, — მაშ, იკითხეთ, იკითხეთ, მერე კი ზღვევთ! თქვენ მხედველობას კარგავთ, გიმეორებთ. მერე არ თქვათ: „ო, ნეტავ მცოდნოდა!“ მე თქვენ გაგაფრთხილეთ!

თავაზიანი გაფრთხილება! ბალიჩისთვის ხომ მთელი ცხოვრება კითხვას ნიშნავდა. ერჩივნა მომ-კვდარიყო, ვიდრე კითხვაზე ეთქვა უარი.

ეს მანიაკური ვნება მას მერე დაუუფლა, რაც ანბანი ისწავლა. ჯერ კიდევ ბალობაში მოხუცი მსახურის ზრუნვას მინდობილმა, რომელსაც იგი დვიძლი შეილივით უყვარდა... ალბათ დიდხანს იცხოვრებდა განცხრომასა და ფუფუნებაში, ვალებში რომ არ ჩაფლულიყო ურიცხვი რაოდენობის წიგნების ყიდვის გამო, რომლებიც მის საცხოვრისს ერთ დიდ უწესრიგობას მსგავსებდნენ. მას მერე, რაც ახალი წიგნების ყიდვის შესაძლებლობა მოესწრაფა, უკვე ორჯერ გადაიკითხა ძველები, თითოეული დააგემოვნა პირველიდან ბოლო გვერდამდე. და იმის მსგავსად, როგორც ზოგიერთი ცხოველი მიმიკრიის კანონების დაცვით იმ გარემოს თუ მცენარეული საფარის შეფერილობასა და გარეგნულ ნიშნებს იღებს, სადაც ბინადრობს, ისიც თანდათანობით თითქოს ქალალდისა გახდა: სახე და ხელები — ქალალდივ-

ით გაუთეთრდა, თმა და წვერიც — ქალალდისფერი გაუხდა. ამ წლების განმავლობაში ახლომშედველობა გაუძლიერდა და ჩანდა, წიგნები მართლაც ნოქავდნენ, უკვე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — იმდენად ახლოს მიჰკონდა სახესთან კითხვის დროს.

იმ საზარელი ამბის შემდეგ, ექიმის რჩევთ, ორმოცი დღე ბნელ ოთახში გაატარა, თუმცა სრულიად არ ჰქონდა იმედი, რომ ამგვარი ქმედება განკურნავდა; როგორც კი პატიმრობის ვადა დასრულდა, ბალიჩიმ ბრძანა, კაბინეტში შეეყვანათ. პირველივე კარადასთან გაჩერებულმა რომელიღაც წიგნი მოსინჯა ხელით, გადმოიღო, გაშალა, სახე ჩარგო — ჯერ სათვალით, მერე მის გარეშე, როგორც მაშინ, ეკიპაჟში — და უხმოდ ატირდა, ფურცლებზე სახემიდებული. მერე ძლუმარედ დაიარა ვრცელი ოთახი, თითებით ეხებოდა წიგნების თაროებს: აი ისიც, მთელი მისი სამყარო! მას კი იქ აღარ უწერია ცხოვრება, ან მხოლოდ იმ დონეზე, რამდენადაც მეხსიერება შეუწყობს ხელს!

რეალური ცხოვრებით არასდროს უცხოვრია; შეიძლება ითქვას, არსად და არასდროს ხეირიანად არც არაფერი უნახავს; მაგიდასთან, საწოლში, ქუჩაში, საზოგადობრივი ბალების სკამებზე — ყველგან და ყოველთვის ერთადერთი რამით იყო დაკავებული: კითხულობდა, კითხულობდა, კითხულობდა. ახლა კი მას, ბრძას, აღარასდროს ეტერა ცოცხალი სინამდვილის დანახვა, რომელიც უნახავადვე გაქრა მისოვის, და იმ სინამდვილის დანახვაც, რომელიც წიგნებში იყო გამოსახული, რადგან კითხვაც აღარ შეეძლო.

თავის წიგნებს ყოველთვის უწესრიგოდ ტოვებდა, ერთმანეთზე ალაგებდა გროვებად ან სკამებზე, იატაკზე, კარადებში ფატავდა, როდის როგორ. მდენ-ჯერ აპირებდა ამ ალაქოთში რამენარი წესრიგის დამყარებას მაინც, სურდა წიგნები შინაარსის მიხედვით დაელაგებინა, მაგრამ ვერა და ვერ მოაბა თავი — სულ ენახნებოდა დრო. არადა, ასე რომ მოქცეულიყო, ახლა ხომ შეეძლო ხან ერთ, ხან მეორე კარადასთან მისულს ასეთი დაბნეულობის განცდა არ გასჩენდა, აზრებიც ასე არ დაუფარებოდა, უფრო მკაფიო გახდებოდა.

გამოცდილი ბიბლიოთეკარის ძიებაში, რომელიც ამ საქმეს იკისრებდა, გაზეთებში განცხადება განათავსა. ორი დღის შემდეგ ვიღაც ტვინიკოსი ჭაბუკი გამოეცხადა, რომელიც ფრიად გააოცა იმ ამბავმა, რომ ბრძას სურდა თავისი ბიბლიოთეკის მოწესრიგება და ამასთან ერთად იმასაც ბედავდა, მისოვის მითითებები მიეცა. მაგრამ ეს ჭაბუკი მაშინვე მიხედვა, რომ საბრალო ალბათ ჭკუიდან შეცდა — ეს უნდა ყოფილიყო სწორედ მიზეზი; აბა, რისთვის უნდა მიეწერა, თუ არა სიგიფისთვის ის ამბავი, რომ მორიგი წიგნის დასახელების გაგონებისას — აი, ის აქ არის, — კაცი ყოველ ჯერზე სიხარულისგან ადგილზე ხტოდა, ტიროდა, სთხოვდა წიგნი მიეწოდებინა, ალერსიანად ეფერებოდა ფურცლებს და გულში იხუტებდა, როგორც დიდი ხნის ნანატრ მეგობარს.

— პროფესორო, — ქირქილებდა ჭაბუკი, — ასე ხომ ვერასდროს დავამთავრებოთ, აბა, დაფიქრდით!

— დიახ, დიახ, მართალია, მართალი, — ეთანწმებოდა მაშინვე ბალიჩი, — მაგრამ ეს წიგნი აი, აქ დადეთ... მოითმინეთ, ჩემი ხელი იმ ადგილას მიადეთ, სადაც წიგნს დებთ... კარგია, კარგი, აი, აქ... რომ ადგილად გავერკვე.

ძირითადად, ეს იყო წიგნები მოგზაურობაზე, სხვადასხვა ხალხის წესჩეულებებზე, წიგნები საბურუებისმეტყველო ისტორიაზე და ბელეტრისტიკა, ისტორიისა და ფილოსოფიის სახელმძღვანელოები.

როცა სამუშაო, ბოლოსდაბოლოს, დასასრულს მიუახლოვდა, ბალიჩის მოეჩვენა, რომ მისი გარემომცველი წყვდიადი ისეთი გაუკალი აღარ იყო და მან თითქმის გამოიყვანა თავისი სამყარო ქაოსიდა. მცირე ხნით თითქოს გაირინდა, ისევ მასში შეჭრილი.

ახლა მთელ დღეებს ბიბლიოთეკაში ატარებდა, თაროებზე დალაგებული წიგნების ყდებს შუბლით მიყრდნობილი, თითქოსდა იმედი ჰქონდა, რომ მათთან შეხებით თავში გადაედვერებოდა ის, რაც იქ ეწერა. სცენები, ეპიზოდები, აღწერათა ნაწყვეტები მეხსიერებაში აღუდგბოდა მთელი გამომსახველობით, მკაფიოდ და აშკარად; უფრო მეტიც, ისევ იძებდა მხედველობის უნარს — საკუთარ სამყაროში რაღაც წვრილმანების დანახვის უნარს, რომლებიც განსაკუთრებით კარგად დახსომებოდა იმ ხანიდან, როცა თავის წიგნებს ხელახლა კითხულობდა: ოთხი შუქურის წითელი ჩირალდნები, რომლებიც პორტში განთიადისას ანათებდნენ; უდაბური ზღვა ერთადერთი გემით, რომლის კონტურები ფერფლისფერი გამთენის ცაზე იკვეთებოდა; ხეებით მოფენილ გორაზე, შემოდგომის დაისის ცეცხლისფერ ფონზე, ორი უშველებელი ყორნისფერი ცხენი, რომლებსაც თავები თივის ზვინში ჩაურგავთ.

მაგრამ დიდხანს ვერ გაძლი ამ მტანჯველ მდუმარებაში. მოისურგა, რომ მის სამყაროს ისევ შეეძინა ხმა და ეს ხმა, მის სმენას მიღწეული, უაბბობდა, როგორი იყო მისი სამყარო სინამდვილეში, და არა ბუნდოვან მოგონებებში.

ისევ განათავსა განცხადება გაზეთში, ამჯერად მკითხველის საძიებლად, და შემთხვევამ ვიღაც ყმაწვილი სენიორინა გაუგზვნა, რომელსაც ნამდვილი მოუსვენრობა შეჰქონდა. ამ დაცუცხოობელ არსებას ნახევარი ქვეყანა შემოევლო და თავისი შფოთიანობის გამო, რაც საუბრის მანერაშიც კი იგრძნობოდა, გაცელებულ ტოროლას ჰგავდა, რომელიც ხან აფრთხიალდება ისე, რომ თვითონაც არ იცის, სად უნდა გაფრინდეს, ხან უცებ მიწაზე დაეშვება და ფრთხების სულელური ტყლაშუნით ხტის, აქეთ-იქთ ტრიალებს და ბრუნავს.

კაბინეტში შეფრენილმა წამოისროლა:

— ტილდე პალოკინი. თქვენ?.. ა, ჰო, მე ხომ... ო, ღვთის გულისათვის, პროფესორო, არ გინდათ! მისმინეთ, თვალებით მასე ნუ აკეთებთ, მეშინა... არაფერია, არაფერი, მაპატიეთ, უკვე მივდივარ...

ასეთი იყო მისი პირველი გამოჩენა. თუმცა ის არ წასულა. მოხუცმა მსახურმა თვალებზე ცრემლმომ-

დგარმა აუხსნა, რომ ეს ადგილი მისთვის სწორედაც რომ შესაფერისი იყო. — მერედა ის საშიში არ არის? — რას ჰქვია საშიში! არაფერი მსგავსი! მართალია, ცოტა ახირებულია ამ წყეული წიგნების გამო. ჰო-ჰო, სწორედ წიგნების გამო, წყეულიმც იყოს ისნი... და თვითონაც, ამ საწყალმა მოხუცმა, აღარ იცის, ვინ არის — ქალი, თუ ჩვარი, რომელმაც მტვერი უნდა წმინდოს.

— ოღონდაც კარგად წაუკითხეთ...

სენიორინა ტილდე პალოკინიმ მას შეხედა, საჩვენებელი თითო მკერდში იტაკა და ჰკითხა:

— ვინ, მე?

ისეთი ხმით, რომ უფრო ნარნარა ხმას სამოთხეშიც ვერ იპოვიდით.

მაგრამ როცა პირველად წარუდგინა თავისი ხელოვნება ბალიჩის, ინტონაციების თამაშით, რეგისტრების ცვალებადობით, ხან ჩურჩულითა და ხან ყვირილზე გადასვლით, ხან გარინდებით და ერთ ნოტზე შეჩერებით, და ყოველივე ამას თან ახლდა მიმიკა, ისეთივე დაუცხოობით, რამდენადაც არა-საჭირო, საბრალო კაცმა თავში იტაცა ხელები და მოლად მოკუნტა, თითქოს ცდილობდა უამრავი გაცოფებული ძაღლისგან დაეცვა თავი.

— არა! არ გინდათ ასე! ღვთის გულისათვის, ასე არ გინდათ! — იღრიალა ბოლოს ბალიჩიმ.

— ცუდად ვკითხულობ? — გაოცდა სენიორინა პალოკინი და სახეზე საოცრად გულუბრყვილო გამომეტყველება აღებეჭდა.

— არა! მაგრამ ღვთის გულისათვის, ასე ხმამაღლა ნუ! რაც შეიძლება ხმადაბლა, სენიორინა, თითქმის უხმოდ! გახსოვდეთ, მე ხომ მხოლოდ თვალებით ვკითხულობდი!

— ძალიანაც ცუდი, პროფესორო! ხმამაღლა კითხვა სასარგებლოა. თუ ხმამაღლა არ წაიკითხავ, ჯობს საერთოდ არ წაიკითხო. მაგრამ, მომიტევეთ, რატომ გაქვთ ასეთი რეაქცია? მისმინეთ (თითქი წიგნზე ააკაგუნა). სუსტი ხმაა... ყრუ... წარმოიდგინეთ, პროფესორო, რომ გკოცნიოთ...

ბალიჩი გაქვავდა, გაფითრდა:

— მე გიკრძალავთ...

— ო, არა, მაპატიეთ! თქვენ რა, გეშინიათ, რომ მართლა გაკოცებთ? არ ვიზამ, არ ვიზამ! მხოლოდ მაგალითი მოვიყვანე, რომ უცებ მიმხვდარიყავით განსხვავებას. მაშ ასე, ვცდი თითქმის უხმოდ წაკითხვას. მაგრამ ალბათ შენიშნეთ, რომ როცა ასე ვკითხულობ, „ს“ ცოტა სტენია გამომდის, პროფესორო!

მორიგი მცდელობისას ბალიჩი სულ უფრო მეტად მოკუნტა. მაგრამ მიხვდა, რომ ამიერიდან იგივე დაემართებოდა ნებისმიერ მკითხველთან. ნებისმიერი უცხო ხმისგან მისი სამყარო სულ სხვანაირად წარუდგებოდა.

— სენიორინა, მისმინეთ... დიდად დამავალებთ, თუ ეცდებით და მხოლოდ თვალებით წაიკითხავთ, უხმოდ...

სენიორინა ტილდე პალოკინიმ ისევ თვალებგა-ფართოებულმა შეხედა.

— რა ბრძანეთ? უხმოდ? აბა, ასე როგორ? ჩემთვის?

— სწორედაც... თქვენთვის...

— დღდად გმადლობთ! — წამოენთო სენიორინა, — თქვენ რა, დამცინით? რა უნდა გავუკეთო თქვენს წიგნებს, თუ თქვენ ვერ შეძლებთ მათ მოსმენას?

— ახლავე აგიძსნიო, სენიორინა... — მშვიდად, ოდნავ მწარე ღიმილით უპასუხა ბალიჩიმ, — მე ის მანიჭებს სიხარულს, რომ ვიღაც კითხულობს მათ აქ, ჩემ მაგივრად... თქვენ ალბათ ვერ გაიგებთ ამ სიხარულს. მაგრამ უკვე გითხარით, ეს ჩემი სამყაროა, მე იმაზე ფიქრიც შევებას მდვრის, რომ ის დაუსახლებელი აღარ იქნება, აი, ასე... მე გავიგონებ, როგორ ფურცლავთ გვერდებს, ვიგრძნობ თქვენს სიჩუმეს და დროდადრო გითხავთ, რა ადგილას ხართ, თქვენ კი მეტყვით... ო, საკმარისია თუნდაც მინიშნება... მე თქვენ გონიერი წამოგყვებით... თქვენი ხმა, სენიორინა, ჩემთვის ყველაფერს აფუჭებს!

— მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, პროფესორო, რომ ულამაზესი ხმა მაქს! — უკმაყოფილოდ შეედავა სენიორინა.

— რასაკვირველია... ვიცი... — ნაჩერევად მიუგო ბალიჩიმ, — სულაც არ მსურდა თქვენი წყენინება. მაგრამ თქვენ ყველაფერი ს სხვანარად მიფერადებთ, გესმით? მე კი მინდა, რომ ჩემს სამყაროში არაფერი შეიცვალოს, რომ ყველაფერი ისევე დარჩეს... იკითხეთ, იკითხეთ... მე გეტყვით, რა უნდა წაიკითხოთ. თანახმა ხართ?

— კი ბატონო, თანახმა ვარ. მომეცით წიგნი.

საკმარისი იყო ბალიჩის ეჩვენებინა, რა წიგნი უნდა წაეკითხა, სენიორინა ტილდე პალოკინი ფეხის წვერებზე შემდგარი გამოძრებოდა კაბინეტიდან და მოხუც მსახურთან საჭორაოდ გარბოლა. ამ დროს ბალიჩი იმ წიგნების სამყაროში ცხოვრობდა, რომლიც მისოვის გოგონას შეერჩია და ამით ტკბებოდა. სიამოვნებით, რომელიც, მისი წარმოდგენით, გოგონასაც უნდა განეცადა. დროდადრო ეკითხებოდა:

— მშვენიერია, არ მეთანხმებით?

ან:

— უკვე გადაფურცლეთ?

მისი სუნთქვაც კი არ ესმოდა და წარმოიდგენდა, რომ ის აღარათ ღრმა კითხვაში ჩაიძირა და არ პასუხობს, რომ არ მოცდეს.

— ჰო, იკითხეთ, იკითხეთ... — ნახევრად ჩურჩულით ამზნებდა, თითქმის დამტკარი.

სანდახან კაბინეტში შემობრუნებული სენიორინა პალოკინი ბალიჩის ჩაფიქრებულს წაასწრებდა: სავარძელში იდაყვებზე დაყრდნობილი იჯდა და სახე ხელებში ჩაერგო.

— რაზე ჩაფიქრდით, პროფესორო?

— მე ვხედავ... — პასუხობდ ისეთი ხმით, რომელიც თითქოს შორეული ადგილებიდან მოისმოდა. მერე კი გამოფხიზლებული, ხვეწით დასძენდა:

— და მაინც მახსოვეს, რომ ისინი რცხილისა იყო!

— მაინც რა, პროფესორო?

— ხეები, ხეები გორაზე... აი, იმ ადგილას, ნახეთ... მესამე კარადაში, მეორე თაროზე... მგონი, ბოლოდან მეორე წიგნია...

— და გინდათ მოგიძებნოთ ეგ თქვენი რცხილის ხეები? — ეკითხებოდა სენიორინა შიშით, მაგრამ ჩაცინებით.

თუ დათანხმდებოდა ამ სიამოვნების მინიჭებაზე, ძიების დროს ლამის გლეჯდა ფურცლებს, მათი ნელა გადაფურცლის თხოვნით გაღიზიანებული. ეს ყველაფერი უკვე მოპტეზრებოდა. აქტიურ ცხოვრებას მიეჩია, ქროლვას, ქროლვას — მატარებლით, მანქანით, ველოსიპედით, გემით... სულ ეჩერებოდა! გრძნობდა, რომ უკვე სული ეტუთებოდა ამ ქაღალდის სამყაროში. ერთხელაც, როცა ბალიჩიმ წასაკითხად ვიღაცის საგზაო ჩანაწერები აურჩია ნორვეგიაზე, თავი ვედარ შეიკავა. ბალიჩის შეკითხვაზე, როგორ მოსწონს ის ადგილი, სადაც აღწერილია ტრონპეიმის ტაბარი, რომლის სიახლოებებსაც, ხეების მიღმა, სასაფლაოა გადაჭიმული, შაბათს საღამოობით კი გარდაცვლილთა მორწმუნე ახლობლებს ცოცხალი ყვავილების ახალი გაირგვინები მიაქვთ საფლავებზე, სენიორინა საშინლად გაფიცხდა და უპასუხა:

— მე კი გეუბნებით, არა! არა-მეორქი! არა! — იყვირა, — მსგავსი არაფერია! მე იქ ვიყავი, გასაგებია? და შემთბოლია გითხრათ, რომ იქ ყველაფერი სულ სხვაგვარადა, სულაც არა ასე, როგორც ამ წიგნშია აღწერილი!

ბალიჩი წამოდგა, მმვინვარებისგან სახედაფოთლილი:

— გიკრძალავთ იმის თქმას, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ამ წიგნში! — იღრიალა და ხელები მაღლა აღმართა, — ჩემთვის სულ ერთია, ყოფილხართ თუ არა იქ! იქ ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ამ წიგნშია, და წერტილი! ასე უნდა იყოს, და წერტილი დაესვას ამას! თქვენ გინდათ დამღუპოთ! წადით! წადით! აქ აღარაფერი გესაქმებათ! მომშორდით! წადით!

მარტო დარჩენილმა ვალერიანო ბალიჩიმ ხელის ცეცებით იპოვა წიგნი — კარის გაკეტვამდე სენიორინას ის იატაკზე მოესროლა — და სავარძელში ჩაეშვა; წიგნი გადაშალა, აკანკალებული ხელებით, სიყვარულით მიეფერა დაჭმუჭმილ ფურცლებს, მერე სახე ჩარგო შიგ და დიდხანს გაირინდა, ფიქრებით ტრონპეიმის სურათს მისჩერებოდა, მისი მარმარილოს ტაძრით, იქვე ახლოს სასაფლაოთი — გარდაცვლილთა ლვითისმოშიში ახლობლები შაბათს საღამოობით იქ ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით ჩადებიან — ყველაფერი ასეა, ზუსტად ასე, როგორც წიგნში წერია. და არ შეიძლება შეიცვალოს...

სიცივე, თოვლი, ეს ცოცხალი ყვავილები და ტაძრის ლურჯი ჩრდილი... არ შეიძლება შეიცვალოს. იქ ყველაფერი ზუსტად ასეა და წერტილი ამას... ეს მისი სამყაროა... მისი ქაღალდის სამყარო... მთელი მისი სამყარო...

თარგმა ლელა ზურებიანმა

ზეონაბ სახის



Emily Dickinson

* * *

Art thou the thing I wanted?
Begone — my Tooth has grown —
Supply the minor Palate
That has not starved so long —
I tell thee while I waited
The mystery of Food
Increased till I abjured it
And dine without Like God —

* * *

This is my letter to the World
That never wrote to Me —
The simple News that Nature told —
With tender Majesty

Her Message is committed
To Hands I cannot see
For love of Her — Sweet — countrymen —
Judge tenderly — of Me.

* * *

I DIED for beauty, but was scarce
Adjusted in the tomb,
When one who died for truth was lain
In an adjoining room.

He questioned softly why I failed?
“For beauty,” I replied.
And I for truth,—the two are one;
We brethren are,” he said.

And so, as kinsmen met a night,
We talked between the rooms,
Until the moss had reached our lips,
And covered up our names.

ემილი დიკინსონი

* * *

ეს შენგან მჭირდა ნდომით აკლება?
გაბრუნდი! ქბილი იგი მეცვალა —
არწყულე, ვისაც სწყურხარ ნაკლებად,
ვინც შენს შიმშილში ნაკლებ ეწვალა —

გაგიმხელ, ვიდრე ლოდინში მყავდი,
ნდომის იზარდა კვლავ მისტერია,
უარვყავ, რაიც მშიოდა და დღეს
ღვთის მსგავსად, ტრაპეზს რაც მაქვს, ბევრია —

* * *

ეს ჩემი ბარათი — სამყაროს,
არასეროს მე რომ არ ვახსოვარ —
ბუნების უნაზეს ხვაშიადს
ვუგზავნი, როგორაც სახსოვარს.

ის სათქმელს უხილავ ხელებით
მიბრუნებს იდუმალ იერით —
განმსაჯეთ სათუთად, რბილად, რომ
მეც ვიტქე ბუნებისმიერი.

* * *

მშვენების გამო გარდავიცვალე
და მოვწესრიგდი საფლავში მყარად,
როდესაც გვერდით დაკრძალეს მალე,
ვინც სიმართლისთვის გარდაიცვალა.

მან მკითხა: რისგან გჭირს სიკვდილიო,
სილამაზისგან, — ვუთხარი ჩუმად.
— მე სიმართლისთვის, თითქმის ერთია,
ძმებად ვითვლებით, — მან მიჩურჩულა.

და ვსაუბრობდით საფლავებს შორის
ვით ახლობლები, ძალზე ძვირფასი,
მაგრამ ჯერ იყო, ბაგეზე მოგვწვდა,
სახელს კი მერე გადევლო ხავსი.

ВОТ ОПЯТЬ ОКНО...

Вот опять окно,
Где опять не спят.
Может – пьют вино,
Может – так сидят.
Или просто – рук
Не разнимут двое.
В каждом доме, друг,
Есть окно такое.
Не от свеч, от ламп темнота зажглась:
От бессонных глаз!
Крик разлук и встреч –
Ты, окно в夜里!
Может – сотни свеч,
Может – три свечи...
Нет и нет уму
Моему покоя.
И в моем дому
Завелось такое.
Помолись, дружок, за бессонный дом,
За окно с огнем!

* * *

Моим стихам, написанным так рано,
Что и не знала я, что я - поэт,
Сорвавшимся, как брызги из фонтана,
Как искры из ракет,
Ворвавшимся, как маленькие черти,
В святилище, где сон и фимиам,
Моим стихам о юности и смерти
- Нечитанным стихам! -

Разбросанным в пыли по магазинам
(Где их никто не брал и не берет!),
Моим стихам, как драгоценным винам,
Настанет свой черед.

* * *

В лоб целовать — заботу стереть.
В лоб целую.
В глаза целовать — бессонницу снять.
В глаза целую.
В губы целовать — водой напоить.
В губы целую.
В лоб целовать — память стереть.
В лоб целую.

* * *

აი, კვლავ ფანჯარა,
სად ფხიზლობენ ისევ,
იქნებ სვამენ ღვინოს,
იქნებ სხედან ისე.

იქნებ ორნი ერთურთს
ვერ უშვებენ ხელებს,
ერთმანეთი ძლივსღა
დაიმარტოხელეს.

ფანჯარაა ბევრგან
სანთლის შუქით სავსე.
და ჩვენს სახლშიც, დახეთ,
დატრიალდა ასე.

და სანთელი ბნელში
აკამპამდა ლამის,
მირიადი იქნებ,
იქნებ მხოლოდ სამი...

მო, დავლოცოთ ყველა, —
ძილნაქცევი სახლი
და ციმციმი სანთლის!

* * *

ჩემს ლექსებს, ნათქვამს ისე ადრიან,
როს არც ვიცოდი, პოეტი მერქვა,
ამოფრქვეულებს შადრევნის შხეფად,
მაშხალის ფეთქვად,
ეშმაკუნებად შეჭრილებს ტაძრად
და დარჩენილებს მერე იქავე,
ლექსებს სიკვდილსა და სიცოცხლეზე,
წაუკითხავებს,

მიმობეულებს მტვრიან თაროზე,
სადაც არვისი დასწვდებათ ხელი,
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს,
მოუვათ ჯერი!..

* * *

შუბლზე კოცნა – წაშლაა ურვისა,
შუბლზე გკოცნი.

თვალში კოცნა – მოკვლაა წყურვილის,
თვალში გკოცნი.

ტუჩში კოცნა – მოკვლაა წყურვილის,
ტუჩში გკოცნი.

შუბლზე კოცნა – წაშლაა წსოვნისა,
შუბლზე გკოცნი.

* * *

Мне нравится, что вы больны не мной,
Мне нравится, что я больна не вами,
Что никогда тяжелый шар земной
Не упывает под нашими ногами.
Мне нравится, что можно быть смешной -
Распущенной - и не играть словами,
И не краснеть удущливой волной,
Слегка соприкоснувшись рукавами.

Мне нравится еще, что вы при мне
Спокойно обнимаете другую,
Не прочите мне в адском огне
Гореть за то, что я не вас целую.
Что имя нежное мое, мой нежный, не
Упоминаете ни днем, ни ночью _ всуе...
Что никогда в церковной тишине
Не пропоют над нами: аллилуйя!

Спасибо вам и сердцем и рукой
За то, что вы меня _ не зная сами! -
Так любите: за мой ночной покой,
За редкость встреч закатными часами,
За наши не-гулянья под луной,
За солнце, не у нас над головами,-
За то, что вы больны _ увы! _ не мной,
За то, что я больна _ увы! _ не вами!

Sylvia Plath

Child

Your clear eye is the one absolutely
beautiful thing.
I want to fill it with color and ducks,
The zoo of the new

Whose names you meditate ---
April snowdrop, Indian pipe,
Little
Stalk without wrinkle,
Pool in which images
Should be grand and classical

Not this troublous
Wringing of hands, this dark
Ceiling without a star.

* * *

მომწონს, რომ სენად მოგდებივართ აღარასოდეს, მომწონს, რომ არც მე მჭირდა თქვენი სენად მოდება, რომ დედამიწის მყარი ბურთი მთელი სიმძიმით ჩვენ ორს ფეხთაქვეშ აღარასდროს აგვიორთქლდება.

მომწონს, რომ ვიყო სასაცილო, დასაშვებია - ვიყო თავნება და სიტყვებმა არ გამახელოს, არ გამაწილოს კდემის ტალღამ, სუნთქვაშემკრავმა, თუ ოდნავ მოგელამუნებათ ჩემი სახელო.

მომწონს ისიც, რომ ჩემსავ თვალწინ, ჩემს დასანახად სრულიად მშვიდად სხვას ეხვევით და ეკონებით, არც მე მაგზავნით ჯოჯოხეთში იმისათვის, რომ თქვენ კი არადა, სულაც სულ სხვას ვეამბორები.

დღისით თუ დამით რომ ბერები ჩემი სახელის თქვენს ტუჩებს ურულად არასოდეს აღარ უვლიან, რომ არასოდეს ეკლესიის სიმყუდროვეში არ გვიგალობენ ჩვენ ორს არსად „ალილუას.“

გულით მადლობას გეუბნებით და ხელსაც გართმევთ, ეს იმისთვის, რომ სულაც თქვენდა უნებურადაც ასე გიყვარვართ: ღამე მშვიდი შემინარჩუნეთ და იმვიათად შეხვედრები დაისურადა.

მადლი მთვარეში არშემდგარი სეირნობისთვის, ჩვენ რომ არასდროს დაგვდგომია, იმ მზისოდენა, იმისთვის, სენად არასდროს რომ არ მოგდებივართ, იმისთვის, რომ არც მე მჭირს თქვენი სენად მოდება.

სილვია პლათი

ბავშვი

შენი კამკამა მზერა ერთი სრული მშვენიერებაა. მე მინდა ავავსო ის ფერადოვნებითა და იხვებით, ზოოპარკის ჩვილი ბინადრებით

რომლებზეც ფიქრობ -
აპრილის ენდელათი,
ინდური სალამურით,
პატარა
უნაოჭო ღეროთი,
გუბით, რომლის გამოსახულებებიც
უნდა იყოს დიდებული და კლასიკური.

არა ამ წუხილიანი
ხელების გადაგრეხით, ამ ბნელი
უვარსკვლავო ცით.

თარგმნა ზეინაბ სარიამ

აღმოჩნდ „ინერჯის“ კუთილი მცხვინძლები

ცეიცა ქიბოშვილი-
სახლიშვილი



სოფელი

გომბორი —

ხელისგაწვდენაზეა!..

ქალაქიარეთ გასვლას რა სჯობს, თუ გულით გეპატიუებიან და საქმესაც წაადგება... ასე დაგვპატიუეს ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქტორია გომბორის საჯარო სკოლაში.

ამა წლის 4 ივნისია, უკან მოვიტოვეთ ლილო, ნორიო-მარტოფის გადასახვევი, სართიჭალა... ლოჭინის ხიდი, რომლის დანახვაზეც გული რაღაცნაირად, უცნაურად შემიტოკდება ხოლმე; ვიცი, გაველიმებათ, მაგრამ მუდმივად ასეა... — „ლოჭინის ხევის პირას მწკრივად მდგარ, სიცხისგან დაოსებულ, საქონელგამოშვებულ ღვინის ურმებს შორის“... — ყოველთვის ილიას პეტრეს ვეძებ, ახლაც ვხდავ — თითქოს, ხევში წყალი გოლვისგან ისე მილეულიყო, რომ ძლივსდა მოიპარებოდა ქვათა შორის რიყეზედ...“

მარცხნივ გადაუხვიეთ — ფირნიშის ისარი მიგვანიშნებს, რომ სოფელ გომბორამდე 35 კილომეტრია. ნაწვიმარზე გამოსული მზე, მიწურული გაზაფხულის ფერდოვანი სიმწვანე თავისკენ გვიხმობს, გვახალ-ისებს და გვავიწყებს ყოველდღიურობას. მანქანას ცოტა ხნით ვაჩერებთ, გადმოვდივართ — ვტკბებით ბუნებით, გამჭვირვალე სუფთა ჰაერით... თეთრ-ვარდისფერში გადაპეტილ-გადაპრანჭული ასკილის ბუჩქი თავისკენ გვიხმობს... სამახსოვრო ფოტოებს ვიღებთ და მანქანაში ვსხდებით: თამარ შაიშმელაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ივანე ჯაფარიძე, ვასილ ბოსტაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი...

კაგრძელებთ გზას: ყველა მხრიდან თვალს გვაყოლებს რეზო ინანიშვილის „გომბორი“ და ისევ გვიყვება: „ჩემი ბავშვობის ეგზოტიკურ სამყაროს გვირგვინად ადგას სოფელი გომბორი. ზემოთაც მოგახსენეთ, ხაშმში ციება იცოდა, მუხროვანში და გომბორში — არა. ერთიც და მეორეც შშვენიერი სააგარაკო ადგილებია და გარეკახელთაგან, ვისაც კი ამის საშუალება ჰქონდა, აქ ატარებდნენ ზაფხულის ორ-სამ თვეს. მე ოთხი ზაფხული მაქს გომბორში გატარებული. მივდიოდით ხოლმე ურმით ან ფურგონით. კაცები მოგვევებოდნენ ცხენებით, გომბორამდე უნდა გაგვევლო უჯარმა, მერე პალდო, მერე ოთარაანთ კარი, სასადილო, ასკილაური და ბოლოს დილით ადრე გასულნი ხაშმიდან, მოსაღამოვებულზე ძლივას მიგაღწევდით გომბორს.

გზა აქ მართლაც უმშვენიერესი იყო, კარგად მოხრეშილი თელავის სამხედრო გზა, აქეთ-იქიდან ტყიანი მთებით, ციხე-ერმჟებით, ეკლესიებით, წყაროებით. რა თქმა უნდა, წყაროებთან ვჩერდებოდით, ერთ წყაროსთან დიდხანსაც — იქ ვსაღილობდით, რომ არ დაგმშულიყოვთ მალიან, მერე ისევ განვაგრძობდით გზას. ძალიან აღტაცებული ვიყავით ასკილაურის წყაროთი. აავსებდნენ დიდები ჭიქას და უფურებდნენ, როგორ იორთქლებოდა ჭიქა რამდენიმე წამში გომბორს შუაში ღელე ჩაუდის — გომბორულა. ორი ზაფხული წყალს გამოლმა მაქს გატარებული, ორი ზაფხული წყალს გაღმა, ეკლესის იქით, ვანმე ჭანტურიების სახლში. ეს სახლი იდგა მწვანიან შემაღლებაზე, რომლის ფერდობები ამოტყევებული იყო დიდი ხეებით — დიდი წიფლებით, მუხებით, ქორაფებით. წყალს გამოლმა ხრიოკი იყო, იდგა უმთავრესად აკაციები. იმ აკაციებში ბუდობდნენ ჩიტბატონები. ადიოდა გზა სასაფლაოსაკენ, სასაფლაოზე ყოველი

მხრიდან ჩანდა ლამაზი გოგონას მარმარილოს ქანდაკება. შეუძლებელია, გული არ შეგვუმშოდათ მისი დანახვისას „... გომბორის შთაბეჭდილებებით მაქვს დაწერილი ორი მოთხრობა: „ძახილი მთაში“ და „შუშის ნამსხვრევი“, კიდევ სხვებიც“.

...მობილურით, ჩვენი ერთ-ერთი მასპინძელი, შეიძლება ასეც ითქვას, – ამ შეხვედრის ავან-ჩავანი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუდენტების საყვარელი ლექტორი, რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული, სოფელ გომბორის ოთხი წლის მკვიდრი-მოაგარეცე ზურაბ ჯოსარიძე გვირეკავს, გვკითხულობს და გველოდება (იან)...

კვლავ ბ-ნ რეზოს მოვუხმობ:

„კვირაობით გომბორში იმართებოდა დიდი ბაზრობა. ჩამოდიოდნენ ფშავლები, ხევსურები, ოსები. გადმოდიოდნენ, რა თქმა უნდა, შიგნით კახეთიდანაც. იყო ხმაური და ყატყატი. პატარებს გამორჩეულად გვიზიდავდნენ ხევსურები, ჭრელ-ჭრელი მძიმე სამოსელით, ხმლებით, ფარებით. გაპყიდიდნენ გასაყიდს, ალბათ, ძირითადად, ერბოსა და კარაქს. დალევლენენ იქვე, ბაზარში, ღვინოს, შეხურდებოდნენ, შეზარხოშდებოდნენ, დათვრებოდნენ და საღამო ხანზე გაიმართებოდა კეჭნაობა. ერთი ათ წყვილზე მეტი უტევდა ერთმანეთს, იდგა ხმლებისა და ფარების ჯახაჯუხი, ნაპერწკლების ყრა, ძახილები, – „ასე“, „არ ას!“ გასდიოდათ სისხლი ხელებიდან და სახიდანაც. ხშირად მილიციაც ვეღარ ახერხებდა იმათ დაწყნარებას. მიიწვედნენ ერთმანეთზე, აელვარებდნენ თვალებსა და ხმლებს. თუ მეხსიერება არ მდალატობს, ზოგს ჯაჭვის პერანგიც ეცვა და მუზარადიც ეხურა.

ჩვენს უფროსებთან მეგობრობდნენ ხევსური კაცებიც და ქალებიც. ჩვენს აღტაცებას იწვევდნენ ლაპარაკითაც. და აი, ესაც არის იმის მიზეზი, რომ დღემდე დიდი სიყვარული და პატივისცემა მაქვს მთის ხალხებისა“.

...სკოლის ეზოში დირექტორი, ზურაბ ქსტაური, მე-4 კლასის დამრიგებელი, ჩვენი მოწვევის ინიციატორი, მარებ დიდებაშვილი, მოსწავლეები, მშობლები შემოგვეგებნენ; ვესტიბიული, საკლასო ოთახი, მაგიდები, იატაკიც კი ყვავილებითაა მორთულ-მოფენილი... გოგო-ბიჭები მოურიდებელი ინტერესით შეგვეურებენ, გვიღიმიან, ბაგშვერად დელავენ...

ლიტერატურულ მონტაჟში, რომელიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს, იყო კლასის დამრიგებელთან, ქ-ნ მარებ დიდებაშვილთან სიმბოლური დამშვიდობება და მადლიერების გამოხატვა; ლიტერატურულ ნაწილში ჩართული ჰქონდათ: თამარ შაიშმელაშვილის, თემურ ჩალაბაშვილის, მანანა ჩიტიშვილის, ვასილ ბოსტაშვილის, ჯუბა ლებელის ლექსები. ასევე სკეტჩები – გათანამედროვებული ლუარსაბი და დარეჯანი, ბებია ოლღა და ზურიკელა, რ. იანანიშვილის მოთხოვებიდან ნაწყვეტები; უფროსკლასელებმა ფანდურისა და საღამერის თანხლებით, დიდი სითბოთი შეასრულეს რამდენიმე სიმღერა, რითაც შეხვედრას პერი და ლაზათი შემატეს. მოსწავლეებს შორის საკამაოდ იყვნენ მკვიდრი აზერბაიჯანული ბავშვებიც, რომლებმაც თავი არ დაზოგეს, რათა საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოებინათ – გასაგები, კარგი ქართულით ესაუბრათ... ვფიქრობ, მათთან ქართულის მასწავლებლებს მეტი მუშაობა დასჭირდებათ, რათა ენობრივი პრიბლება მოიხსნას, რაც მათ საშუალებას მისცემთ, უფრო მეტად ინტეგრირებული იყნენ ჩვენს ენასთან, კულტურასა და ტრადიციებთან...

მასპინძლებს სიტყვით მიმართეს და საკუთარი ლექსები წაკუითხეს თამარ შაიშმელაშვილმა, თემურ ჩალაბაშვილმა, ივანე ჯაფარიძემ, ვასილ ბოსტაშვილმა. სამადლობელი სიტყვით გამოვიდნენ: ლეილა არჩე-მაშვილი, მარებ დიდებაშვილი, ზურაბ ქისტაური.

ჩემს გამოსვლაში გავიხსენე ენათმეცნიერი, მკვლევარი და მთარგმნელი უშანგ სახლთხუციშვილი, რომელმაც მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში შეკრიბა და მეცნიერულად დაამუშავა გარეკახეთის ტოპონიმები – გეოგრაფიული სახელები; წავუკითხე 60-ზე მეტი მისი შეკრებილი ტოპონიმები, რომელთაგან რამდენიმეს აქაც დაგასახელებ, მაგალითად: ახალპაკისი (სახნავი), ბარონის ტყე (აღრე დავით ერისთვაის ტყე) – აგარაკი, გომბორკა (მდინარე, აღრე კილმათ// კილმახი), დგნალიანი – ადგილი, ვერცხლისმიწა – (სახნავი, საძოვარი), კასაგორა (ბაღი, საძოვარი), კილმათის საყდარი (ნასაყდრალი), კრიახი (კლდე, გორა), მულინის ბაღი (ბაღი), როტნი (სათბი, საძოვარი), საკაუიას მთა (მთა), სალევიანო (ადგილი), სამთერია (სამითა), ნამბვლევი (კლდე), ფშლისწყლები (წყარო), შიხანი (კლდე), ჩარკვიანის წყარო (წყარო), ხუტორი (ნასახლარები) და სხვა.

მათი შეძახილებიდან აღმოჩნდა, რომ ბევრი მათგანი უკვე დაკარგულია, აღარც იხმარება, უკვე მივიწყებულია, ან სხვა, ახალი სახელწოდებითა შეცვლილი... შევახსენე, როგორც უფროსებს, ასევე უმცროსებსაც, რომ სამშობლო იმ ადგილიდან, კუთხიდან იწყება, საღაც იბადები, იზრდები, სამყაროს შეიცნობ, ამიტომაა საშური და სავალდებულო იმ ტოპონიმების აღწერა-შესწავლა, რომელშიც ცხოვრობ, რადგან



მომავალში, არცთუ კეთილმოსურნე სამეზობლოდან, არ „დაგვიმტკიცონ“ – ეს ადგილები ჩვენია, ოდით-გან აქ ვცხოვრობდითო... პედაგოგებს ვურჩიე, საზაფხულო არდადეგების დროს დაავალონ მოსწავლეებს გეოგრაფიული სახელწოდებების შეგროვება, ხალხური ლექსების, ზღაპრების, ანდაზების შეკრება, რათა ისწავლონ შრომა და პატივისცემა თავისი მიწისა და ხალხისა, გახდნენ თავისი ქვეყნის პატრიოტები; იკითხონ ბევრი – ქართული კლასიკური მწერლობის, თანამედროვე ავოტრების საუკეთესო ნიმუშები... თამარმა ბავშვებს და პედაგოგებს უურნალ „ანეულის“ ნომრები უსახსოვრა, დანარჩენებმა კი – წიგნები.

ცხადია, ღონისძიებას მეორე განყოფილებაც ჰქონდა, რომელიც ზურაბ ჯოხარიძის საკარმიდამოში აღინიშნა;

სკოლიდან წამოსულებმა აყუდებული, მაღალი აღმართი ავიარეთ, რომლის ორივე მხარეს წეები და მაღალი ბუჩქნარი მიუყენებოდა... ავივაკეთ თუ არა, მწვანეში ჩაფლულ ერთსართულიან, ბელეტაჟის ტიპის სახლს მივადექით... ენით აუწერელი ვრცელი ეზოთი;

შესასვლელში გატოტვილი კაკლის ზითა და მის ქვეშ მომლოდინედ მდგარი გრძელი ზის სკამით – სამეზობლოს შეკრების, სჯაბასის, წუთშესვენების მოსურნე... ეზოში ბალახი მუხლამდე გვწვდება (მასპინძელს არ მოუცელია, რათა ეს სილამაზე ხელშეუხებელი დაგვხვედროდა!), გადაჩითულია გვირილითა და ფურისულათი, მინდვრის ყვავილებით; გამომწვევად ქანაობს საქანელა, ონკანში წყაროს ციფი წყალი იწონებს თავს, ხეხილს – პატრონის საიმედო ხელი ატყვია...

ბ-ნ ზურაბის მითითებით, ქალბატონები სუფრის გაწყობას ამთავრებენ... ჩვენ ისევ ფოტოებს ვიღებთ, ფეხს ვითრევთ, შენობაში შესვლას არ ვჩქარობთ, თუმცა ფეხაკრეფით შემოპარული ბინდი, მადის აღმგრელი სუნი თავისას შვრება დაა... სუფრის გვირგვინია ნაღდი კახური ღვინო... ისმება სადლეგრძელოები, თანდათან ვიხსნებით და ლექსი, სიმღერა, ოხუნჯობა თავის ზენიტს აღწევს...

წამოსვლისას, ბ-ნი ზურაბი გვთხოვს, ახლად შელესილ დერეფნის ერთ-ერთ კედელზე დავტოვოთ ავტოგრაფები. იდეა ყველას მოგვწონს... რიგრიგობით მივდივართ კედელთან და, – მჯერა, რომ არა მარტო იმდღევანდელი თავყრილობა დარჩება მეხსიერებას ერთ კარგ მოვნებად, არამედ ჩვენს წარწერებსაც დიდხანს შეინახავს ეს მრავლისმნახველი, ძველებური ქართული ფუძე-კარი...

მაღლობა სოფელ გომბორის საჯარო სკოლის პედაგოლექტივს, დირექციას, მოსწავლეებს, მშობლებს, ბატონ ზურაბს, რომლებმაც საგზლად სიხარული, მაღლიერება და ბევრი საფიქრალი გამოგვატანეს.

ქორენები

თელა ანჯაფაჟიძე



ბიძაჩემი — ზურაბ ანჯაფარიძე

ბეჭე და ბიზე

ერთხელ ბებია ემზადებოდა დიდი წვეულებისთვის ფალიაშვილის ქუჩაზე... სად იყო მაშინ ტორტების და ტარტალეტკების კონაპერატივები... ერთადერთი იმედი გვქონდა, — ზეიკო ანჯაფარიძის... უნიჭირების ზეიკო, ჩვენი გვარის სიამაყე, ფილოსოფიასა და სოციოლოგიასთან ერთად, კულინარიულ ხელოვნებასაც ფლობდა...

საღამო იყო... ზეიკო მოვიდა, უცებ გამოაცხო ბისკვიტი და პარალელურად 40!!! ცალი ბეზე, ტორტის მოსართავად... ეს ბეზები ბებიამ ფანჯარაზე დააწყო და დავიძინეთ...

დილით ზურიკომ გამაღვიძა: ბეზე ხომ გიყვარსო?.. და შევიპარეთ სასტუმრო ოთახში და... სამი ბეზედა იყო დარჩენილი (დანარჩენი ზურიკოს უჭამია) და გავიყავით...

ბებიამ დილით რომ გაიღვიძა და ბეზე რომ ვერ ნახა, და მე... ზურიკოს ძალიან გაგვიძრაზდა.

— 40 ბეზე როგორ ჭამეთ?

მე დარცხვნილი ვიდექი...

ზურიკო კი ცოტა ხანს დაფიქრდა და ისტორიული ფრაზა — „ბეზე“ არ ვიცი, მაგრამ ბიზეს რომ ვმღვრი ამდენი წელი, მაგიტომ გაქვთ ბეზეო! — წარმოთქვა: და ამაყად შევიდა თავის ოთახში...

ჯინიანი გალიჩკა და ლეიბი...

როდესაც მინდა დავიტაბახო, ვამბობ, რომ კარგად ვცურავ... არა, ტყუილია, კარგად კი არა, ძალიან კარგად ვცურავ!

ზურიკომ იცოდა ყველაზე კარგი ცურვა... წვებოდა წყალზე, არ ინძრებოდა და საათობით ნებივრობდა. მამაჩემი — ჯემალიკო კი ხელებაც კი არ ხმარობდა ცურავისას.

აი, დედაჩემმა — გალიჩკამ კი ცურვა, პრაქტიკულად არ იცოდა... წყალზეც ვერ წვებოდა, ჰორიზონტალურად კი არა მოძრაობდა, არამედ ევერტიკალურად, მაგრამ, არ ეშინოდა და შორს მიცურავდა... მართალია, სახე ისეთი დაძაბული ჰქონდა, თითქოს ძალით შეაგდეს წყალში, მაგრამ არ ეშინოდა და „ბუიოკამდე“ მაინც აღწევდა. ჩვენ კი ნაპირიდან უვალთვალებდით, რამე რომ არ მოსვლოდა.

ერთხელაც, გალიჩკამ აღმოაჩინა, რომ ლეიბით შეუძლია „ბუიოკის“ იქით კი გაცუროს. აიღებდა გასაბერ მოწყობილობას და მიცურავდა ისე შორს, რომ გვეკარგებოდა. ზურიკომ რამდენჯერმე მთხოვა: უთხარი, ასე შორს ნე მიცურავსო! არ გასჭრა თხოვნამ. მერე უხსნიდა, ლეიბის რამე რომ დაემართოს, უკან ვერ გამოცურავო... არ გაჭრა ახსნამ, გალიჩკამ ერთი ფატალური ფრაზა „გვესროლა“: ზურიკო, რა კოშმარს მეუბნები, ცხოვრებაში არავის გასკდომია ლეიბი და რაღა მე მომივაო?! გავიდა ორი დღე. ყველანი პლაჟზე ვართ... გალიჩკამ ამაყად და დემონსტრაციულად ამოიდო თავისი გვირილებით მოხატული ლეიბი და გაცურა, გავიდა 10 წუთი და ზურიკოც შევეა.

— სად მიდიხარ-მეთქი? — ახლა მალე დედა-შენს ლეიბი ჩაეფუშება და.. გამოვიყვანო, მართლა არ დაიხრისო!

თურმე, ზურიკოს უცულლუტია, ჩუმად გაუხვრეტია ლეიბი?! კინაღამ გავგიუდით, მამაჩემი და მე გადავესვით დედას გადასარჩენად: დედაჩემი კი წევს ლეიბზე, რომელიც ნელ-ნელა იფუშება და ვითომცარაფერი, სულ არ „იღებს“ ჩვენს დახმარება... მერე გვითხრა: სულ ვიცოდიო, რომ ამით დამთავრდებოდა ყველაფერიო (ანუ, სამივე რომ ავისრულებდით ნატვრას და დავახრიბდით)!

მოკლედ, სანამ ზურიკომ პირადად არ მოუხადა ბოდიში, არ მისცა პატიოსანი სიტყვა, როდესაც „შოთა რუსთაველი“ სოხუმის პორტში შემოვიდოდა, ბარში წაიყვანდა და ახალ სათვალესაც უყიდდა, ისე, არაფრით არ მოგვევებოდა ნაპირზე. ბოლოს როგორც იქნა, დაგვთანხმდა გადარჩენაზე.

ამ ამბის მერე, ლეიბით ზღვაში აღარ შესულა...

(გაგრძელება შემდევ ნომერში)

ქვეყანაზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედი

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თამაზ (აკაკი) გიორგის მე ხმალაძე.

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია უერთდება მილოცვებს და თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთი ჩინებულ წარმომადგენელს, ჟურნალ „ანეულის“ სარედაქციო ჯგუფის წევრს, ულოცავს ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადების 70 წლისთავს.

1969 წლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვეყნდა თამაზ ხმალაძის პირველი მოთხრობა „მოლოდინი“, მას შემდეგ მისი ნაწარმოებები სისტემატურად იძეჭდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თამაზ ხმალაძის პროზაული კრებულები: „მოლოდინი“, „ორნი ღუმელთან“, „დღეთა ქარავანი“, „ათი ახალი მოთხრობა“... დიდი ადამიანური სიმართლით, ლარი დაალოგებით, დასამახსოვრებელი ხასიათებით, კოლორიტული სურათებით, თავანკარა ქართულით, მდიდარი ლექსიკით გამოირჩევა... ჭეშმარიტი მწერლური ოსტატობით ცოცხლდება თანამედროვე ყოფა, ქართული სოფელი თუ ქალაქი, საცხე პარმონითა და იდილიით, ტეივილითა თუ სიხარულით...

თამაზ ხმალაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რომანს „დროის მკვლელები“, რომელსაც თანამედროვე კრიტიკოსები მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად მიიჩნევთ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თამაზ ხმალაძის მოღვაწეობა საქართველოს რადიოში.

მისი საავტორო გადაცემები; „ენაი შემკული და

კურთხეული“, „დროება“, „პოეზიის ქარი“, „ლიტერატურა და სხვა“... იცავდნენ ქართულ ენასა და მწერლობას, ქართულ სულიერებას, სრულიად საქართველოს იცავდნენ...

საქართველოს რადიოში გადმოცემული რჩეული დიალოგები იძეჭდებოდა პრესაში, ცალკე წიგნებად გამოიცა სხვადასხვა გამომცემლობაში.

თამაზ ხმალაძე 1995 წლიდან ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირის ქიზიყ-პერეთის (ცენტრით სიღნაღში) განყოფილებას და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა ქიზიყში – უბატონო მხარეში აღორძინდეს ლიტერატურული და კულტურული ტრადიციები...

წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

იყო რამდენიმე უმაღლესი სასწავლების პროფესიონი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალის ჟურნალისტიკის კათედრის გამგე.

თამაზ ხმალაძე გიორგი ლეონიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, გურამ რჩეულიშვილის, ჟურნალ „დროშის“, ჟურნალ „ოლეს“, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და საქართველოს რადიოჟურნალისტთა ასოციაციის პრემიების ლაურეატია. დაჯილდობულია ღირსების ორდენითა და ღირსების მედლით.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რწმენითა და სიყვარულით ემსახურება ქვეყანას, მწერლობას და საჩინო წვლილიც შეაქვს მის განვითარებაში. „ანეულის“ რედაქცია ჩინებულ პროზაიკოსს, ქვეყანაზე ღრმად დაფიქრებულ შემოქმედს ახალ წარმატებებს უსურვებს!



ოდა თბილის

იაკობ ნიკოლაძის თხრობიდან ვიცით, რომ
დღი ფრანგ მოქანდაკეს ოგიუსტ როდებს ყველაფერი
საუკეთესო ადამიანში შრომასთან ჰქონდა დაკავ-
შირებული: „რაძღნად უფრო ბედნიერი იქნებოდა
ადამიანი, შრომა ცხოვრების მიზანს რომ წარმოად-
გენდეს და არა მის გამოსასყიდ საფასურს – მსჯ-
ელობდა იგი – ყოველი ზელოსანი შემოქმედი რომ
იყოს, დურგალი სიხარულით მიამაგრებდა ქაცებს
ჩიტის ბუდეებს, ქვის მთლელი სიყვარულით გამოწ-
ვადა კირს, მეფორნე კი ნებიურობით გაააჭივებდა
თავის ცხენებს... აბა, თქვით, არ იქნებოდა ეს იდე-
ალური საზოგადოება?“ „სიღრმე ყველაფერში: ეს
არის დიდი ღირსება, რომელიც უნდა იყოს ნების-
მიერ ნაწარმოებში. რაც უფრო ღრმად ჩასწვდებით
ბუნებას, მით უკეთესი“. „მოუსძინე რასაც ბუნება
გეუბნება და გააკეთე ერთი ოქტავით მაღლა“.

ბაგე ბაგეს ერწყმის, მამაკაცური – ქალურს. სართულები ერთ მთლიანობად იქცა. ვნება მატულობს, გულს ბაგა-ბუგი გაუდის. სისხლი თავის კენი მიიწვეს. ურუანტელი ჭალლისებრად განევრცობა მთელ სხეულში და...

მზისა და დედამიწის ბრუნვა ერთ ღერძზე დგება
— ეს ხომ პოლუსია — არა პოლუკია.

პლუსებისა და მინუსების ამბორი შხოლოდ ერთი,
იშვიათად ორი, განსაკუთრებულ შემთხვევაში სამი
წყვილის შეერთებით გვირგვინდება შეუცნობელის
სადაცომში...

იშვა მამრი, მდედრი. დასახლდნენ დაბებად, სოფლებად, ქალაქებად. და აღმოჩნდა, რომ ეს ჯერ მხოლოდ დაბადების პირებით საფუძული ყოფილა.

ის პირველადი პლუსებისა და მინუსების ამბორი დედამიწაზე ფეხის აღგმის შემდეგაც გრძელდება, ორონდ თვისისობრივად სხვა საფუძველზე.

სიცოცხლის ამგვარ აღქმას კენგურუ ბუნებრივი აგებულებით ეხმიანება. მას სხეულის გარეთაც აქვს მომზადებული ახლად შობილოთავის ცოცხალი ატვანი.

ჰასუნთქვისა და თვალებში მზერის ჩადგომის შემდეგ უკვე მიწიერ ცხოვრებაში გაერთიანებული მამრისა და მდედრის წყვილი ბუნებრივ გარემოში და თავის მიერვე ეგებულ საცხოვრებლებში ელის ახალსახლობას.

აი, ამგვარ შენარწყოთ ბიოლოგიურ გამამდი-
ლრებელ გარემოდ მოუვლინა განგებაზ კავკასიონს
შეუცულ ში თბილისი. მისი აღმართ-დაღმართებით,
მთაწმინდით, ნარიყალათი, ხარჯუხით, სოლოლაკითა
და ორთაჭალით, კრწანისით და ავლაბრით, ისან-
ითა და კალათი, ყოველივეთი, რაც მტკვარის



„როდენი“. კვერცხის ნაჭუჭი, ენდრო; 75X75;2006

ქლაკნილის მარჯვნივ და მარცხნივ იყრიდა თაგს უამთასვლაში.

აქ ქრისტიანი, მუსულმანი თუ იუდეველი გვერ-
დიგვერდ, ერთი-მეორის დაწერილი ღვთის კანონის
ბალებს თავთავიანთი გულისთქმით დაუწერელი
კანონების იმპროვიზირებულ კორიდორებს, აივნებსა
და გადასასვლელებს ურთავდნენ, რაც საბოლოოდ
ეწოების კოლორიტითა და ქალაქის პულსაცით
გაღიავნებული ისეთ სიცოცხლისუნარიან ღია გარე-
მოდ იქცა, რომ ვერცერთი სულიერი ვერ წვდებოდა
ამ წარმონაქმნის სიღრმესა და ზებუნებრივ დან-
იშნულებას.

ეს იზიდავდა მთელი მსოფლიოდან ხელოვანსა და მოგზაურს, ვაჭარს თუ სახელმწიფო მოხელეს, რომლებსაც წარმოდგენილ ურბანისტულ-სულიერ კონგლომერატს ჯერ განუცდელი სილადის მუხტის ახალ აქტოში მიღებაში აჰვავდა.

ყოველივე ამის შესისხლხორცების უნარის მასშტაბი განაპირობებს პიროვნების მეორედ შიბის ამა თუ იმ საფეხურს. ჩვენი დედაქალაქის სწორედ ამგვარ აღქმაში გამოიხატა დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის სიდიადე, რომელმაც მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით სრულად დაამარცხა საქართველოს ირგვლივ არსებული სხვადასხვა რჯულის მტერი, თავის მეფობის დამაგვირგვინებელ სტადიაში 1122 წელს აღებულ თბილისში არცერთ არაქართულ გენეტიკურ ერთობლიობას არამცუ ხელი არ ახლო, არამედ ყოფის პირობებიც კი გაუუმჯობესა, რათა ზემოთ გამოხატული ამ ისტორიულ-ეთნიკური თაიგულის მთლიანობა არ დარღვეულიყო.

აი, ამგვარ უხილავ განზომილებათა ენერგიის
მიმღები ერთეულების მეორედ შშობლად თვისებების
მქონე ქალაქად მოვლინა თბილისი კაცობრიო-

ბას. ამან გვიშვა უკვე შემდგომ უმაღლეს საფეხურზე ის სულმნათი მეუე თუ პოეტი, შინაური თუ სტუმარი, რომელისაც კაცობრიობა შხოლოდ სახელის ხსენებითაც კი ცნობს.

მაგრამ ქალაქი ხომ არ არის, მართლაც, ქალბატონი, რომელიც შობს რამდენიმე შეიძლს და ამით ამოწურავს გამჩენის ფუნქციას. ქალაქის ცხოვრება საუკუნეებით იზომება. აქედან გამომდინარე, მის შემადგენელ ნაწილებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ: დაწყებული უბნებით და ნაგებობებით და დამთავრებული ფლორის ზრდილი თუ მცირე ელემენტებით. მდედრის გარსი – წყლისაგან განსხვავებით, რომელიც ჩვენ სამეანო პრაქტიკაში ცხრა თვის მკებავისა და დამცველის ფუნქციის ამოწურვისთანავე იღვრება (განვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებში დედის პლაცენტა ფართოდ გამოიყენება ფარმაცევტულ წარმოებაში), ქალაქის ყოველივე შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა აღნიშნული ფუნქციონირებისათვის განახლებად სასიათს უნდა ატარებდეს. ასეთი მრავალჯერად პულსაციაზე სწორებისათვის კი ალბათ ყველაზე კარგი ორიენტირი დედა-ბუნება არის, სადაც ათასწლეულების განმავლობაში ქვეყნის აღმავლობისა თუ დაცემის, მოსახლეობის ბატონობისა თუ ტყვეობის, საზოგადოებრივი აგებულების ნებისმიერი მოდელის არსებობის ვითარებაში ყოველ გაზაფხულს მდინარეებში ნაკადი მომეტებულად ჩქეფს და ამრავლებს ფაუნას, ნარგავები კი კვირტებით იმოსებიან და შემოდგომის დადგომისას უმეტესი მათგანი შეიმოსება რა ოქრო – მეწამულში, მწიფე ნაყოფს იძლევა.

ამგვარად გამოხატავს ფლორის სამყარო წელიწადის დღეთა მონაცემებისთვის შესაბამისობას. ამიტომ არ შეიძლება არ აღნიშნოს დედამიწაზე ცოცხალ არსებათა მდედრობითი ნაწილის ფიზიოლოგიის უშუალოდ მოვარის ციკლურობისათვის კავშირის ფაქტურიც. ეს უკანასკნელი მიკროგანზომილებაში იმეორებს პლაცენტის დაღვრის ელემენტს უნაყოფოდ. ჩემის აზრით კი, სწორედ ამ ვითომდა უზრიშვნელო მოვლენათა კრებითი ფორმის სისტემაში მოყვანა დაედო საფუძვლად ევროპელი სოციალისტური და მარქსისტული ორორტიკოსების მოძღვრებას, რომლებმაც აღნიშნული პრობლემატიკა მასების სტომაქის დაქმაყოფილებასთან ტანდემში ერთ მთლიან სწავლებაში მოაქციეს. ამას ადასტურებს სიტყვა „კომუნ-ისტის“ დამარცვლული თარგმანი ინგლისურიდან – „მთვარის აღმოსავლური მოსვლა“.

აქედან გამომდინარე ოდნავ გაუგებარია რუსულ ლექსიკაში არსებული სიტყვა „მოლოკოს“ უარგონული მნიშვნელობა, რომელსაც ხმარობენ რაიმე მიზანს აცდენილი ნასროლის მიმართ, როდესაც სწორედ მამრისა და მდედრის შეერთებული პორმონების შემთხვევაში ჩნდება ჩანასახი, რომლის სრული ზრდის დასრულებისთანავე ადგილი აქვს კიდევ ერთ დვთის მიერ ნაბოძებ სასწაულს – დედის მეურდში დგება მომავალი ახალი სიცოცხლის მასაზრდობებელი რძე.

ცივილიზაციამ მსოფლიოს მრავალ ქალაქში დაამკვიდრა ზემოთ აღნიშნულ უნიკალურ ღირებულებათა კერძები, სადაც ადგილობრივი და სტუმრად მუოფი ბოჭემა საზრდოს პპოულობდა. მაგრამ, ტექნოციტული აღმაღლობით ხასაზრდოებმა კაპიტალისტური წარმოების ზრდამ თავისი წონადი კორექტივები შეიტანა ღირებულებათა სკალაში. ამან უმაღლე ჰპოვა პირდაპირი ასახვა წამყვანი ქვეყნების ცხოვრებაშიც. მაგალითად, პარიზის ახლოს მდებარე სევრში 1875 წელს დარსდა საზომთა და წონის საერთაშორისო ბიურო, სადაც იმ დროისათვის ცნობილ ერთეულთა ეტალონები იქნა თავმოყრილი. ასეთივე დანიშნულების პალატა შექმნა 1893 წელს რუსეთში დიმიტრი მენდელევმა.

თუ ქართული და, კერძოდ, თბილისური ცხოვრების წესი საუკუნეების განმავლობაში იზიდავდა სტუმრებს თავისი სულითა და პოეტურობით, ცხოვრების განვითარების ტექნიკური მხარე ბევრად მნელად იკიდებდა ფეხს ჩვენში, რაც ქართული ენის ნაკლებად განვითარებაშიც ისახება ამ მიმართებით. ასეთი დანაკლისის შემავსებლად და განმავითარებლად მოევლინა ჩვენს საშობლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ილა ჭავჭავაძის საქმის გამგრძელებელმა ივანე ჯავახიშვილმა მოცემული განხილვადი თემა აიყვანა საქართველოსათვის ჯერ არნახულ საფეხურზე. მან დავით აღმაშენებლის ხსნების დღეს გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში მოიწვია რუსეთსა თუ ევროპის სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი მეცნიერული მოწინავე ძალები და მათი ერთობლიობისაგან შეადგინა ისეთი მყარი საგანმანათლებლო გუნდი, რომელიც ტოლს არ უდებდა მსოფლიოს იმდორინდელ მოწინავე მეცნიერულ აზრს არცერთ დარგში.

ეს იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თბილისში ჩამოსული ნიჭიერი თვითნაბადი პოტენციალი, რომელიც გაიზარდა და განიმისჭვალა გარკვეულ დონემდე ადგილობრივი მუხტით, ამის შემდგომ ბუნებრივი შერჩევის გზით (XIX საუკუნის თავადაზნაურობისა და შეძლებულ მეწარმე-ვაჭართა ოჯახები საკუთარი სახსრებით უმართავდნენ ხელს ნიჭიერ ახალგაზრდებს) გაიგზავნა საზღვარგარეთ, იქ დაიხვეწა, მიიღო ორგანიზებულობა და ცოდნითა და ერუდიცით დაპენტილი ივანე ჯავახიშვილის მიერ იქნა ერთ უმდლავრეს საგანმანათლებლო სისტემაში მოყვანილი. ეს ბირთვი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მნიშვნელზე აწარმოებდა ჩვენი დედაქალაქისა და სრულად ქვეყნის უნიკალურ ეროვნულ ინტელექტუალურ არტერიებზე დაყრდნობით მაღალი აზრის დონორობას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს მიღმა.

თუ ძეობისას, ჩვენ ადათის თანახმად, თოვთის გასროლით აღვნიშნავთ ხოლმე, ამგვარი მასშტაბის „მშობიარობების“ ზოგჯერ ბუნება მიწისძვრით, ხოლო კაცთა მოდგმა ომგბითაც კი ეხმიანება.

ამიტომ ნუ დაგვწყდება გული და ნუ აღვიქვამთ განდევნილად პეტრე იბერს, შოთას, ვაჟას, ვოლტერს, პაგანინის, აინშტაინს თუ ტოლსტიოს და მათ დარმავალ სხვა სულმნათს. მათ დაიმსახურეს მეორეთ

შობა და ამიტომ მათი ადგილი სხვა განზომილებაში – ბუნების – ფლორისა და ფაუნის წიაღში უმაღლეს წევრებად განცხოობა დაიმსახურეს. ამგვარ ღვთისნაბად პიროვნებებს მოსახამად ძალზე დამშვენებდა დიდი ტრადიციისა და შინაარსის გამომსატველი მწყემსთა სამოსი „ნაბადი“. თუმცა მოცემული თემის თვალსაწიერიდან თანამედროვე მეგაპოლისებში სამაგალითო ბევრი არაფერია, მაინც აღსანიშნავია ერთი გარემოება: დიდ ქალაქებში მაცხოვრებელი საშუალო რანგის ინჟინრის ოჯახებისაც კი, საკუთრივ ქალაქის გარეული ფართი აქვს მხოლოდ ნაქირავები, ხოლო მუდმივ საცხოვრებლად ქალაქის გარეუბნებს ირჩევენ, რომ არაფერი ვთქვათ შეძლებული ოჯახების ძვირად ღირებულ სასახლეებსა და რანჩოებზე.

ყოველივე ამის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა, როდესაც ადამიანი, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, სახელისა და გვარის სანაცვლოდ, ფსევდონიმს ირჩევს. საკუთარი თავის საზოგადოებისათვის ახლად წარდგენის ამგვარ ფორმას უმთავრესად ხელოვნების სფეროში მოღვაწე პიროვნებები მიმართავნ ხოლმე. მაგრამ არსებობს მასისაგან ნაკლებად გამორჩეული ფენაც, რომლებსაც ასაკთან ერთად შეხედულებები ეცვლება. ამგვარ მსოფლიმსედველური დეტერმინიზმის ამსახველ საშუალებად შესაძლოა, გამოდგეს საკუთარი სახელი. დასავლურ ცივილიზაციაში ბავშვს დაბადებისთანავე არქემენი სახელს, რომელთა შორის ერთ-ერთი მის ზრდასთან ერთად ძირითადად მკვიდრდება. ჩვენშიდაც ახალგაზრდას, იმ შემთხვევაში, თუ მას არ მოსწონს მშობლების მიერ დარქმეული სახელი, აქვს საშუალება, პასპორტის მიღების ასაკის დადგომისას თვითონვე აირჩიოს თავისთვის მოსაწონი სახელი, რომელიც მისთვის უფრო მისაღები არის. ამგვარი პრაქტიკის გაღვივება უთუოდ შეუწყობს ხელს საზოგადოებაში ინდივიდუალიზმის დანერგვას.

ღმერობა აღუდგინოს თბილისის ქუჩებისა და მოენდების, უბნებისა და სანაპიროების, ლანდშაფტისა და აკვატორიის ერთობლიობას ეს ხელოუქმნელი აურა, თვალით უხილავი მიკროკაბილარული სიცოცხლის მშობელი უმაღლესი განზომილების თვისებები, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს საქართველოს დედაქალაქის უნიკალურობისა და განუმეორებლობის ბუნებრივი თვისებების რეინკარნაციას.

თბილისის დილა

ყოველ ადრიან დილით, 6 საათზე, როდესაც საქართველოში უმეტესობას ჯერ კიდევ სძინავს, არავით ზღვის პორტებში ჩქეფს შრომა, გერმანიაში კი იწყება სამუშაო დღე. ამ დროს იეზიდი მოხუცი ბაბო აიშა* იწყებს გუშინ გვიან დუქნებიდან დაბრუნებულ „მკვიდრთა“ მიერ დაბინძურებული ქალაქის დაგვას. ადგილობრივი ოფისები კი ფუნქციონირებას 10–11 საათისათვის იწყებენ, როდესაც გერმანელები უკვე შესვენებაზე მიდიან.

*აიშა – თბილისელი იეზიდი მეეზოვის მცირეწლოვანი გოგონა

გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „მცველი გრაალისა“

გამზირს ხეეტავს აისორი – არის სწორი?

ავეჯს ქამრით კრავს იეზიდი – ტვირთის მზიდი.

მწვანილს ყიდის შენე თათარი – ხო, მართალი.

სომხის ქისა ბერავს ქაფს – ყალბ ალაყაფს.

ჩვენი დროის გმირი? – „ქინძურა“ –

ხორცმეტი, ქალის კორსეტი,

მფლანგველი, გველი, არაფრის მქნელი,

უქნარა, წურბელა და სისხლის მსმელი!

ვინ არის აქ დიასახლისი? – მენზურა!

კალატოზს – გონიო. თონე – მარდ ხაბაზს,

გუთანი – მხენელს და დურგალს კი – ურო,

მეღვინეს – ჭური, სალესი – ხარატს,

ფალია – ჩუბინს, ფარგალი – ხუროს.

ნაბახუსევს ღვინით,

დანაყრებულს ხილით,

და გაბანგულს ძილით,

გამეღვიძა დილით!

დიდი კაცი

„საქმენი მისი დღი იყვნეს ქვეყანასა ზედა და იყო კაცი აზნაური მზისა აღმოსავლისთაგანი“ (ამბავი იობისა, ბიბლია, თავი 1).

„ზეობის მოპოვებას თაობები სჭირდება, მის დაკარგვას კი ერთი ქალამნის დაცვეთის დროც ჰყოფნისონ“, – ბრძანებდა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ლევან გოთუა.

მიუხედავად დღევანდელი დუხშირი ყოფისა, ჩვენს ღვთივკურთხეულ სამშობლოში ზნეობრივ, სპეტაკ ადამიანებს რა გამოლევს, ერთი მათგანი გახლავთ წმ. იოანე მოწყალის სახელობის პრივატ კლინიკის ხელმძღვანელი, კარდიოლოგი ბატონი გიორგი გოგიშვილი.

მრავალ ოპერაციაგადატანილს მსურს, მადლობა ვუძღვნა ბატონ გიორგის.

ერთხელ, მორიგი ვიზიტის შემდეგ, გულწრფელად ვუთხარი: შვილი არა მყავს, მაგრამ, თუ ვისურვებდი, მხოლოდ თქვენნაირ შვილს ვინატრებდი-მეთქი.

– უზომოდ მადლობელი ვარ. ასეთი რამ ჩემთვის ჯერ არავის უთქვაშსო.

ბატონო გიორგი! მიიღეთ ჩემი მოკრძალებული მადლობა იმ სიკეთისათვის, უხვად რომ უწილადებთ ხოლმე პაციენტებს.

ლუიზა ბოჩკოვა-ზვიჩია,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი

ჯუმბერ ჯიშკარიანი წყალტუბოს საპატიო მოქალაქეა



ცნობილი სპელეოლოგი და ურნალისტი, „პრომეტეუს“ მღვიმის აღმოჩენის ჯუმბერ ჯიშკარიანი წყალტუბოს საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ჯუმბერ ჯიშკარიანმა მთელი ცნოვრება სპელეოლოგიას მიუძღვნა. მისი უშუალო მონაწილეობით იქნა შესწავლილი 300-ზე მეტი მღვიმე, შახტი და უფსკრული, რომელთა შორის აღსანიშნავია ათონის მღვიმე, რომელიც პირველად მან აგება.

ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორისათვის ღირსასახსოვარი აღმოჩნდა 1984 წელი. ჯუმბერ ჯიშკარიანის ხელმძღვანელობით გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეორაზმა წყალტუბოს მახლობლად, სოფელ ყუმისთავში აღმოჩინია ე.წ. პრომეტეს მღვიმე, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი და უნიკალურია ევროპაში.

მღვიმების კეთილმოწყობის საქმეში დაგროვილი მდიდარი გამოცდილების გაცნობის მიზნით, იგი 1999 წელს მიავლინეს აშშ-ში, სადაც აისრულა დიდი ხნის ოცნება – მოინახულა მსოფლიოში

უგრძესი მამონტის მღვიმე კენტუკის შტატში, მსოფლიოს ულამაზესი კარლისადის მღვიმე ნიუ-მექინიკში, „დაკარგული ზღვის მღვიმე“ მსოფლიოში უდიდესი მიწისქეშა ტბით ტენისის შტატში და სხვ. ამ მოგზაურობის შესახებ მან საინტერესო წერილები დაბეჭდა ურნალ-გაზეთებში. გამოსაცემად მოამზადა წიგნი – „ამერიკის მიწისქვეშეთში“.

ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთის „დავითის ფარის“ ფურცლებზე და უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ურნალში „თანამემამულე“ (ლონდონი) სისტემატურად იბეჭდებოდა ბატონი ჯუმბერის წერილები. სწორედ ამერიკაში მომზადებული წერილები დაედო საფუძვლად ჯერ დაუსტამბავ წიგნს – „ფიქრები საქართველოზე. ფრაგმენტები ამერიკული დღიურებიდან“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯუმბერ ჯიშკარიანის წიგნის „ჩვენი ოტას“ გამოცემა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჯუმბერ ჯიშკარიანის ბატონ ოტა იოსელიანთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა და პირველი, ვისაც ჯუმბერმა ახლად აღმოჩნდილი მღვიმე აჩვენა, სწორედ ოტა იოსელიანი იყო, რომელმაც მიწისქვეშეთის სილამაზის ხილვით აღტაცება მხოლოდ ერთ ფრაზაში გამოხატა: „გალაკტიონს რომ ეს ენახა, ნიკორწმინდას სხვანაირად დაწერდა“.

ლიტერატურულ ურნალ „ანეულის“ რედაქცია რედაქციის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და სარედაქციო ჯგუფის წევრს – ჯუმბერ ჯიშკარიანს ულიცავს წყალტუბოს საპატიო მოქალაქედ არჩევას, სულის სიმწნევესა და ჯანმრთელობას უსურვებს სამომავლო დიდი საქმების, შემოქმედებითი გეგმების აღსარელებლად!

იმპერატორი გასიკ ლვილებიდან
მომოვებები რევაზ ინიციატივა
ივანე ჯაფარიძე –
ხახვაძე გიორგი რეზუართან
(გაგრძელება)

თამაზ ხელაპა – 70:
ევეფანიაზე დროიდ
აუტიკრებული გამოქვეყნი

გადაზ გვალია –
რევაზ ინიციატივა
„ავაკოტის ხელი“
(გაცემა)

საღობა გოგოლაპა –
ახალი ლექსიგი

კასა შეაძლივავილის პოვისა
თაგილისები
ნო. ღიორგი უილიამს
სახალონის ტაძარი ვერატე

მარაპ აგასაპა – წყა თაგილის



მნიული – გაზიარებულის ხნიული